

ლიტერატურული გაზეთი

№7 (215) 6 - 19 აპრილი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ნინო სადღობელაშვილი

პერცხლის სამაჯური

ჩემს მასწავლებლებს,
ვინც თავგანწირვა მასწავლა

იატაკიდან რომ ამოსკდა შემზარავი ხმა, გეგონება, ვილაცამ გიგანტური ბორჯომის ბოთლი გახსნა და იქიდან იბუთქაო, იმ ხმას თვალისდახამხამებაში მოჰყვა ათასნაირი წკრიალ-ღრჭიალი — სკოლის შენობა შეზანზარდა და ტალღაზე შემოსკუპებული ხომალდით დაირწა. ეს ყველაფერი გაგრძელდა დაახლოებით 3-4 წამი, მაგრამ მასაც და, მგონი, ყველას, ვინც მერე ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდა, მოეჩვენა, რომ ამასობაში საუკუნეზე მეტი გავიდა...

ნანა მასმა უცებ ჩაბლუჯა ეს ამდენი ბავშვი (ან როგორ დაიტია მკლავებში), მოუსვა ყველას ხელი და გაარბენინა ჯერ კლასიდან, მერე დერეფნიდან; ძალიან ორგანიზებულად გამოუვიდა ნანა მასს, და რაც მთავარია, ისეთ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მის შემხედვარეს სხვებსაც მოერიდათ პანიკის აწევა, ჩაუქროლეს სხვა საკლასო ოთახებს, დაეშენენ კიბეზე — შორიდან ალბათ ბელურების გუნდს გავდნენ, რომელიღაც უფრო დიდი ფრინველი უკან მოუხედავად რომ მიაფრთხილებდათ ქვევით.

მეორე სართულზე დრაკონმიხატული საკლასო ოთახის კარს რომ გაუსწორდნენ, უცებ გაახსენდა ამას და, ერთი კი შეჰყვირა:

— ნანა მას, თქვენი შვილი? არ გამოგყავთ?

ნანა მასი არ გაჩერებულა, არც კი მოტრიალებულა, ისე უპასუხა სხაპასხუპით:

— მაგას თავისი მასწავლებელი გამოიყვანს, ჩემი შვილები ეხლა თქვენ ხართ.

და, კარშიც გაცვივდნენ.

იმ მიწისძვრას კი გადაურჩა მაშინ სკოლის შენობაც და მთელი ქალაქიც. ერთადერთი დანაკლისი განიცადეს: ერთმა ბიჭმა იმ ორომტრიალში ვერცხლის პანანინა სამაჯური დაკარგა. ალბათ, სიჩქარეში ისე ჩაბლუჯა ნანა მასმა, რომ სამაჯური შეუმჩნევლად შეეხსნა. ეზოში მარტო ეს ბიჭი ატირდა და, ნანა მასმა მიზეზი რომ ჰკითხა, მსუბუქად მიიკრა მისი თავი მკერდზე და შეპირდა — შენ ეგ არ იდარდო, მე გაჩუქებ ახალსო.

მართლა აჩუქა. უფრო მსხვილი და უფრო გრძელი — მაჯა რომ გაეზრდებოდა, მაშინაც შემოწვდებოდა.

II-III

ეკა კვიციანი

მოაქვთ ღამეებს უთვალავი თოვლის ფანტელი,
სველი ფიქრების სუსხიანი კორიანტელი.
ვდგავარ ყინვაში გამხელილი, შეუმოსავი,
და მეშინია, შენი ქოხი ისე შორს არი,
სადაც ვგზავნიდი აღსარებებს, ცრემლის ბარათებს,
რომ მიდიოდნენ არსად, ანდა სხვა მისამართზე,
ახლაც არ ვიცი, შეუცვალათ გეზი რა ქარმა,
დღეს მხოლოდ ერთს გთხოვ, ვიდრე ეჭვის ზვავი დამფარავს —
ცეცხლის ალები იმ თვალების და იმ ტუჩების,
ტკივილად მენტოს, ნურასოდეს გამიყუჩდები...

VII

ტარიელ ჭანტურია

...არც ნაკლები და არც მეტი —
ზუსტად თერთმეტი წელია —
იმ სიყვარულით მიყვარხარ,
ქე რო წიგნებში წერია...

შენზე ფიქრები — ფილმია! —
დღეში ცხრა, ათი სერია...
საქმე სიკვდილზე თუ მიდგა,
ყოველთვის ჩემი ჯერია!

ფიქრში ერთად ვართ — ოდა გვაქვს,
ოჯახი, თბილი კერია...
რატომღაც მუდამ მალე და
ცუდად მთავრდება სერია...

ერთად არასდროს ვწოლილვართ,
არც ერთად არ გვიმღერია...
...არ ვიცი, რით დასრულდება
ჩემი ტანჯული სერია...

IV-V

გივი ალხაზიშვილი

ყორნების გადაფრენის ფონზე...

ხეებზე თალხი გამოფინეს
ყორნებმა ყრანტალის თანხლებით
და ბნელი ფრთები მამყოფინეს,
ფრთები გიშრისფრად ახლები.
ვისია ჩემი სიმარტოვე,
ჩემი წინაპრების ნაქონი,
თუ გინდა წადი და იმათხოვრე,
ყველაფერს მოგცემენ გაქონილს
და თუ რამ დამირჩა ჩემებური,
სიტყვა და ჩვევები პროსოდის,
ყოველთვის მიყვარს დღე მეფური,
გულს არ მეხატება კროსვორდი.
არ უყვართ არავინ, ვინც იშვა სიახლით,
ყოველდღე რომ იცვლის სამოსელს,
გეძებს მწარე სიტყვა, გულში რომ მიახლი
და ის არ წააგავს „პარნასზე“ ამომსვლელს.
მოჩანს ფოთლებზე დროის ფერადები —
უცნობი ღმერთის ფაქსიმილე,
შენამდე ყოველთვის მრჩება ასი მილი,
და სულსაც ყოველთვის ასი მილევს!

VIII-IX

#პროზა

#ინტერვიუ

#პოეზია

#თარგმანი

#რეცენზია



დასაწყისი პირველ გვერდზე

ნანა მასს ორი ბიჭი ჰყავდა და ერთი ქმარი. თუმცა, მავანი ხმები ამბობდნენ, ის უფროსი ბიჭი, ალექსანდრე, ამ ქმრისა არ არის, ეს ქმარი რომ ნანა მასთან მოვიდა, ის ბიჭი უკვე მუცელში ეჯდაო.

„მოვიდა“ ანუ ჩაესია. თუმცა, ვის უნდა ჩასიძებოდა ნანა მასის ქმარი, როცა უფროსი შინ არავინ დახვდებოდა — ქალის მშობლებიდან ცოცხალი მხოლოდ მოხუცი მამა იყო და მას მერე, რაც ერთადერთი შვილი ქალაქში დააბინავა, თვითონ ზემო იმერეთის ერთ მიკარგულ სოფელში გადაცხოვრდა.

ჰოდა, ასეთ სიტუაციაში ჯობია ვთქვათ, „ჩაუქმარდა“, კი არ ჩაესია.

რაც იყო, იყო, და ნანა მასი კი თავის ქმარს დიდ პატივს სცემდა. ეს კაცი არც ერთ მის მოსწავლეს პირადად არასდროს უნახავს, მაგრამ ესეც გადმოცემით იცოდნენ. კარგად მუშაობდა სკოლის ჭორ-ბიურო და მტყუნ-მართალ-ოფისი.

ნანა მასი სკოლაში ბავშვებს უფრო უყვარდათ, ვიდრე უფროსებს. ამას ვინმე სისუსტეში ჩაუთვლის, მაგრამ შეცდება — ყველაფრის მიზეზი ნანა მასის სიმართლის მოყვარეობა იყო. ჰოდა, ვის გაუგია, ასეთი ადამიანი ყველასთვის მისაღები იყოს, ადვილად გასაგები და საყვარელი!

ოცნებობდა, საკუთარი სკოლა ჰქონოდა. სადმე, ქალაქის შორიანხლოს, დიდ და ლამაზ ეზოში. საავტორო პროგრამაც კი შეედგინა და კვირა არ გავიდოდა, ამ პროგრამისთვის ისე ბეჯითად არ გადაეცლოთ ვალი, გეგონება, დღეს რაღაა და ხვალ-დღეს მის განხორციელებას იწყებო — ხან რამეს ამოიღებდა, ხან რამეს ჩაამატებდა. ამუშავებდა დიდი მონდომებით და, რაც მთავარია, გაუნელბელი იმედით.

თუმცა, ვიდრე ამ იდეებს და მეთოდებს იმ საოცნებო სკოლაში დანერგავდა, ჯერ თავის გაკვეთილებზე ატარებდა რეპეტიციებს და ამიტომ იყო, რომ ისინი ძალიან საინტერესო გამოსდიოდა. დაინყებდა საპროგრამო სავალდებულო ტექსტით და ისე შემჩნევლად და ოსტატურად გადაუხვევდა შეუცნობლის ლაბირინთებში, რომ მოსწავლეები მაშინდა მოდიოდნენ აზრზე, როცა ამ შემეცნების უღრანი ტყის ჩრდილებში ამოყოფდნენ თავს.

მერე იწყებოდა კითხვები და პასუხები, კითხვები და პასუხები გაუთავებლად (რაც, ხანდახან, პირველყოფილი ტომების შერკინებას ემსგავსებოდა — ქვის ცულებით და გაურანდავი მშვილდ-ისრებით) და ნანა მასიც გახვითქული იგერიებდა ამ შემტევებს და გულის სიღრმეში სამინლად უხაროდა რაღაც, რისთვისაც ჯერ სახელი ვერ დაერქმია...

— თქვენ გგონიათ, რახან თავშესაფარში დღეობს ნერა, გარეთ კიდევ ბომბები ცვიოდა და ყოველ წამს სიკვდილს ელოდნენ, ეს მის ფსიქიკას არ შეცვლიდა? და, ყველაფერი რომ სხვაგვარად დამთავრებულიყო და ის გოგო ცოცხალი გადარჩენილიყო, ისევე ისეთი იქნებოდა? — ლაქადაქერცლილი ფრჩხილებით ჩაფრენია ნითური გოგო მერხის კიდეს და ნესტობდაბერილი ეკითხება ნანა მასს.

— მგონია და მეტიც. მჯერა, რომ ასე იქნებოდა, და ცოცხალი რომ გადარჩენილიყო, პირველი ის გამოვიდოდა ინიციატივით, შეენდოთ გერმანელებისთვის ის აურონელი სისხლიკე! — ნანა მასი ცდილობს, არ ალღედეს. სპილოსძვლისფერ კამეას ინვალებს გულისპირზე.

— როგორ, ერთხელ მაინც არ მოუნდებოდა შურისძიება? ერთადერთხელ მაინც, თავის და-ძმების გამო მაინც? არ არსებობს, მას, ეგეთი სიყვარული. გვატყუებთ თქვენ. ადამიანს შური და შურისძიება ამოძრავებს, — ნითურ გოგოს ნანა მასის სიმშვიდე ჭორფლებად შლის, ნაწილებად ანგრევს.

— ამდენი საიდან იცი? რა გიცხოვრია, რომ ეგრე თქმის უფლებას აძლევ თავს, თან ეგეთი დამაჯერებლობით? რამდენი მაგალითი ვიცი, როცა შური და ბოღმა უძღური აღმოჩნდა სიყვარულის წინაშე. აი, ოღლა გურამიშვილი გაიხსენე, ზუსტად წინა თვეში არ ვისწავლეთ? როგორ მოიქცა ილიას მკვლელების სასამართლოზე? რა ითხოვა მოსამართლის წინაშე? — მას, მე ლექსი დავეწერე შურზე, —

უცებ მეორე ამბობს, ის, ვერცხლისსამაჯურიანი, ვინც ნანა მასის ხელში გაიზარდა პირველი კლასიდან და ვისზეც ნანა მასმა ყველაფერი იცის.

მაგალითად, ის, რომ ამას ის ნითური გოგო უყვარს — რაც ის გოგო სკოლის ეზოში გამოჩნდა, იმ ნითიდან.

— შურზე რამ დაგანერინა, ბიჭო! — ხორხოცებენ სხვები.

— დღეს არა, მერე ნამიკითხე, — უცებ აბოლოებს ლექსის თემას ნანა მასი და კითხვა-პასუხის შეტაკებას აგრძელებს.

ასე ხშირად ხდება. თითქმის ყოველდღე.

ვერცხლისსამაჯურიანი ნანა მასის საყვარელი მოსწავლეა. შეიძლება ითქვას — ყველაზე საყვარელიც. ეს სიყვარული ორმხრივია — ანუ, ბიჭსაც გული ნანა მასზე აქვს შევარდნილი, რადგან მასში იმაზე მეტს ხედავს, ვიდრე დედამისში ან მამამისში. ეს რაღაც ყოვლისმომცველია.

ნინო სადღობელაშვილი

ვერცხლის სამაჯური



ვერჯერობით ამას ჰქვია მთელი სამყარო. ამ ბოლო დროს კი რაღაც ხდება. ახლა, როცა ყველაზე მეტად სჭირდება ნანა მასის სახით თანამოაზრე, როცა ლამის აგრესიით მისი ყურადღების მოპოვებისთვის იბრძვის, თითქოს განგებ, მარტო რომ დატოვოს და კისერი მოატეხინოს — ნანა მასი შიგნიდან კრავს ხელს, უხილავად იშორებს, ზედაც არ უყურებს.

ახლა, ახლა, როცა ყველაზე მეტად უჭირს!.. ვერცხლისსამაჯურიანი ფანჯარაში იყურება. აქედან ადრე მთის ბორცვი ჩანდა და იმ ბორცვის გადაღმა ძმათა სასაფლაო იყო. ახლა მალალსართულიანი მშენებარე კორპუსის ზურგი ამოეფარა ბორცვსაც და იმ ძმათა სასაფლაოსაც, რომელშიც, მარტო ერთ ზამთარს ერთმანეთის მიყოლებით იმდენი ბიჭი ჩაანვიწესეს, გეგონება სადმე მწვერვალზე მოყინული მთამსვლელების გუნდი ეპოვათ და ყველასთვის ერთად მიეჩინათ თბილი ადგილი — გასაღობად და გასაცოცხლებლად...

ვერცხლისსამაჯურიანის მამაც იქ იწვა, მასაც ზუსტად ასე უთხრეს, როცა იმ ბორცვზე პირველად აიყვანეს — თბილად ნევს მამამენი, ისეთი გაყინული იყო, რომ თვითონ აირჩია აქ ყოფნა და ჩვენც ვეღარ დავუშალებთ...

ვიდრე ზარი დაირეკება, საკლასო ოთახის კარი იღება, სასწავლო ნაწილის გამგის მკაცრი, უფრო მეტიც — დაუნდობელი სახე ჩნდება კარში, სახე ნაჯახივით ნანა მასისკენ ტრიალდება და ამბობს: — სასწრაფოდ, დირექტორის კაბინეტში!

ალექსანდრე ნანა მასის უფროსი შვილია, ვერცხლისსამაჯურიანზე ორი წლით დიდი. ამსიგრძე სახელს მხოლოდ ნანა მასი ეძახის, ისიც, როცა მკაცრად უნდა უთხრას რამე. დანარჩენები ალეთი იცნობენ.

ვერცხლისსამაჯურიანს პირველივე კლასიდან რაღაცნაირი რიდი აქვს ამ ბიჭის, არამხოლოდ იმიტომ, რომ ის ნანა მასის შვილია, არც იმიტომ, რომ ალექსანდრე უფროსია. არა, რაღაც არის ამ ბიჭში ისეთი, რაც ყრუდ, გაუგებრად იზიდავს ვერცხლისსამაჯურიანს. ამას ალექსანდრე და ამიტომ, როცა ეს წინ ჩაუვლის, ისაც მრავალაზროვნად იბადრება, თითქოს თავს აწონებს. ოღონდ, ძალიან მკაფიოდ იცავს მანძილს. ეს მანძილი ზემოდან ქვემოთაა, ანუ, ვერცხლისსამაჯურიანმა აღმართი უნდა აიაროს, ცოტა გულიც ამოიჯინოს, რომ ალემდე მივიდეს.

ცხადია, სულ სხვა აღმართზეა აქ ლაპარაკი. ბიჭებმა იციან, ეს რასაც ნიშნავს. ალემ იცის ვერცხლისსამაჯურიანის სახელი, მაგრამ არასდროს სახელით არ მიუმართავს, მით უმეტეს, რამე მოფერებით არ უკადრებია, მაშინ, როცა მამის სიკვდილის მერე ზოგი ისეთ გულისამრევე

სიღრმეში მოსწონდა კიდევ. ოღონდ, ალექსანდრე იცავდა წესებს და, სხვებთან თავის-წამდვილ სახელს ეძახდა.

ვერცხლისსამაჯურიანს ძალიანაც უხაროდა ალექსანდრე სიახლოვე, მეტიც — ამით ფარულად ამაყოფდა. როცა თანაკლასელები ან სხვა მოსწავლეები მასთან ერთად დაინახავდნენ — ეჩვენებოდა, რომ ზოგიერთს შურდა კიდევ მისი, რადგან, როგორც ვთქვით, ალექსანდრე იყო რაღაც, რაც აუხსნელად და თან მკაფიოდ, ადამიანებს თავისკენ იზიდავდა, თუმცა მხოლოდ ადამიანებს კი არა, ყველა სულიერს, რასაც მოძრაობა შეეძლო — კატებს, ძაღლებს, ჩიტებსაც კი. შეიძლება, ვეფხვებს და ნიანგებსაც, მაგრამ, აბა, სად გადაეყრებოდა „ვასიკო“ ალექსანდრე ვეფხვებს და ნიანგებს?!

მიზიდვით კი იზიდავდა, მაგრამ ბოლოს ალექსანდრე, ვისთვის დაედო თავი სიახლოვის პატივი და ვისთვის — არა. ვერცხლისსამაჯურიანი იმ სასურველ უმცირესობაში მოხვდა.

ნითური გოგო რომ მათ სკოლაში გადმოვიდა, „ვასიკოს“ ცხოვრებაში სამუდამოდ შეიცვალა რაღაც. ამას მერე მიხვდა, დიდი ხნის მერე, თუმცა, თავდაპირველად მხოლოდ ყრუდ და გულის მეორე მხარეს იგრძნო ეს ცვლილება. ნითური უკარება აღმოჩნდა, ცოტათი უცნაური — მოსწონდა რომ ასე იქცეოდა თუ მართლა ასეთი იყო, ეს ვერცხლისსამაჯურიანს ვერ გაერკვია, მაგრამ ყველას მუდმივად კრიჭაში ედგა, ყველაფერს ეწინააღმდეგებოდა, თითქოს დაბადების ნუთიდან ვილაცაზე გაბრაზდა და ახლა ცხოვრებას ამ ბრაზით აგრძელებდა, თუმცა, ესეც თავისებურად აღიზიანებდა „ვასიკოს“ გულის მეორე მხარეს, უფრო მეტად აინტერესებდა, იმ ბრაზის იქით რა იყო, რა განცდები, რა შთაბეჭდილებები, არადა, გრძნობდა, რომ იყო რაღაც, საიდუმლოს მსგავსი, მთელი ტანით გრძნობდა და ამ დროს მიხვდა, რომ მსმენელი სჭირდებოდა. ვინმესთვის თავისი დარდი რომ არ გაეზიარებინა, გული გაუსკდებოდა.

ეს ვინმე ალექსანდრეა. ძუნწად მოუყვა. მოსაყოლივ დიდი არაფერი იყო. ერთი-ორი სიტყვით თავისი გრძნობების გამოხატვაც სცადა. ალექსანდრე მოუხსინა. თან მობილურში ჩიჩქნიდა რაღაცას.

— მერე? რას აპირებ? — ჰკითხა უცებ, ტელეფონიდან თავი რომ ასწია და, სულ დააბნია ისედაც ყველაფრის გამო ჭარხალივით ალაჟღაჟებულ ვერცხლისსამაჯურიანი. ახლა სულ არ იყო მზად კითხვებზე პასუხის გასაცემად. პირიქით, პასუხები აქეთ სჭირდებოდა რაღაც-რაღაცებზე.

— არ ვიცი, — ქურთუკში აიწურა. — გინდა, დაველაპარაკო? — ალექსანდრე ხუმრობდა.

— არა! — ლამის იყვირა „ვასიკომ“.

— კარგი, — მხრები აიჩჩრა ალექსანდრე, ორი წუთის მერე კი თქვა, — დედაჩემს უთხარი.

ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ვერცხლისსამაჯურიანს ნერწყვი გადასცდა და დაასლოკინა. ისევე ალექსანდრე:

— ქალია და ქალებმა უფრო იციან გოგოების ამბები. გიჩვენებ რამეს.

დამაჯერებელი არგუმენტი იყო.

— რა იყო, არ ენდობი? — ჩაიცინა ალექსანდრე და ელამი თვალი ზედ შუბლზე მიაბჯინა.

— ვის, ნანა მასს? — აღმოხდა „ვასიკოს“.

— ჰო, ნანა მასს. შენ მაგრად უყვარხარ.

— რა იცი?

— რა რა ვიცი. დედაჩემია და ვიცი.

ეს „დედაჩემი“ ორჯერ რომ თქვა, ორივეჯერ რაღაცნაირად, ძალიან გამოკვეთა ალექსანდრე ვერცხლისსამაჯურიანს ჯერ მოეჩვენა, რომ ამით თავის რჩევას სანდოობას სძენდა, თავის თავსაც და, საერთოდ ყველაფერს, რაც მის ირგვლივ იყო. მერე იფიქრა, ხომ არ მამაყივებს, ალექსანდრე არ არის, ცნობილი მშობლებით რომ მოაქვთ ხოლმე თავი.

— და, რა იცი, რო გიყვარს? — უცებ საკონტროლო ესროლა ალექსანდრე. „ვასიკოს“ სუნთქვა შეეკრა.

— მინდა, რომ ეს სამაჯური ვაჩუქო. სხვისთვის ვერავისთვის გავიმეტებდი.

ზუსტი პასუხი იყო. როგორც სასამართლო პროცესზე იტყვიან — ალექსანდრე ატებით კითხვებით აღარ ჰქონდა. და თქვა: — აჩუქე მერე.



 ვერც ჩვენ დათვლით, და ალბათ ველარც
 თვითონ დათვლის,
 მზე რამდენჯერ ჩაღებდა და რამდენჯერ აღმოხდა!
 მოიარა, რაც ქვეყნად კატორღა და ციხეა —
 ყველა კოლონიაში სხვადასხვა დროს მოხვდა!
 უკან დარჩა ას სამი წელი ტანჯვა-წამების...
 მეცოდება ეს კაცი! — ვერაფრით ვერ მოკვდა!

დიდებული ექიმი! უფრო კარგი — ვექილი!
 მართლა, ცოდვა არაა? — ვერაფრით ვერ მოკვდა...
 გაისტუმრა სუყველა, ვინც კი ყავდა ძმაკაცი,
 ნათესავი, მოყვარე, მეზობელი, მოგვარე!
 გული გვტყვივა მეც, მასაც —
 ვერაფრით ვერ მოკვდა...

ცოდვა იყო ნამდვილად ალბათ მათუსალა... —
 თავისიანს, ვერავის რომ ვერ აძლევდა სალამს...
 ვერ იქნა, ვერ წავიდა, ვერ დაუსხლტა სევდას,
 ცხრაას სამოცდაცხრა წლის არ შესრულდა სანამ!
 არა, ასე მარტო მე არ ვფიქრობ და ვწუხვარ —
 ეს ასე თქვა ეკამ და ეს ასე თქვა ანამ...

...გაჩენილი ტანჯვისთვის,
 სხვების სამსახურისთვის,
 დიდებული ქართველი — ჩვენი მათუსალა —
 სულ ამ დღეში იქნება, თავის ტანჯულ შვილებთან
 და იმათთან დარჩენას არ გადაწყვეტს სანამ...

კი ბატონო! კი ძმაო! მოგვწონს მისი რეკორდი,
 მაგრამ ცოდვა არაა? — არ იქნა... ვერ მოკვდა!

?????

969 წელი იცოცხლო მათუსალამ!
 ამხელა სიცოცხლის გზაზე
 რამდენ კაცს ეტყოდა სალამს!
 რამდენ კაცს გააცილებდა
 ალბათ მათუსალას ცრემლი!
 რა წესი ჰქონდა სიცოცხლეს —
 აცრილი თუ აუცრელი!
 ტკივილებიც ჰქონდა ალბათ!
 მონატრების დარდი მწარე...
 დადიოდა? — ამ ხნის კაცი
 ზოგჯერ შინ და ზოგჯერ გარეთ!
 ვინმეს ეთამაშებოდა?
 იყო ნეტა მაშინ კარტი? —
 საუკუნეების დროში
 დაგროვილი — ჩემს მტერს დარდი...
 რომ არ ყავდა შვილი, რძალი,
 შვილთაშვილი, და, ძმა, სიძე... —
 მაგ საცოდავს არასოდეს
 უფიქრია სუიციდზე?
 ...
 ბოლოს მაინც ჩაიარა
 წელმა — ცხრაას სამოცდაცხრამ...
 ისიც — ერთი, ერთადერთი
 უბედური — ჩაქრა... დაცხრა...

!

— საით, ჩემო საქართველო!
 საით, საით, ერო! —
 შე საბრალო, შე მსოფლიო
 აუტსაიდერო!
 ჩემო გულო! ჩემო ტვინო!
 სახლო! კარო! ქერო!
 ჩემო უ-უ-საყვარელსო
 აუტსაიდერო!

პოეზია: პო, პაუნდი,
 შოთა, ვაჟა, პლატი, ფროსტი...
პრეპარატი: ლიპრიმარი,
 კოპლავიქსი, ტამსაპროსტი...
ჰარმონია: ბეთჰოვენი,
 ხან — შოპენი, ხან — მოცარტი...
თამაშები: ხან — ჭადრაკი,
 უფრო მაინც — ნარდი, კარტი...
სიმღერები: კრიმანჭული,
 ზოგჯერ — რერო, ზოგჯერ — „აბბა“...

დედას უტნავს ამ ყველაფერს
 ერთი კაი ქალის კაბა...

შაბათის დღია

— თუ შეიძლება, კალენდარს
 დღეს მე მოვახვე ფურცელს —
 მეც ვფიქრობ ბედისწერაზე,
 გამართლებაზე... ფულზე!
 თუკი უფალმა ინება,
 თუკი ისურვა ღმერთმა,
 დედამოკლული სატანა
 ვერ ჩამომიგდებს ღერ თმას...



ტარიელ ქანტურია

თუ სუბიექტი გახდები
 ღვთაებრივ გამართლების,
 ფლეშიც შენია, ძმაო, და
 ოხერი კამათლებიც!
 ...მეც ვფიქრობ კარგ ცხოვრებაზე,
 დღეებზე დიდებულზე!
 ვნახავ, რა როგორ იქნება —
 დღეს მე მოვახვე ფურცელს...

ანგარიში

...მამაც ვარ, დედაც ვარ, ძმაც ვარ და დაც ვარ!
 მონაც ვარ, ბატონიც, დარაჯიც, დაცვაც...

პოეტიც, მკითხველიც, ბებერიც, ბავშვიც!
 რა ხნის ვარ? რა ჭკუის? — ისა ვარ, რაც ვარ...

ქვეყანამ ჩემმა და ერმა და ბერმა —
 არ ვღირდი, ეტყობა — ჯვარს რომ არ მაცვა...

კარგა ხანს ვათრიე მორჩილად, მშვიდად
 ტვირთი, რაც სუსტ მხრებზე დღემუდამ მანვა...

...ვვლახნი და ვერაფრით შევძელი ბოლოს
 ნანერის დახვევა, ნაფიქრის დანვა...

ალამიანი

— სიცოცხლეს და სიკვდილს შუა
 ცუდად რომ ვარ გაჩხერილი —
 ვფიქრობ, იქნებ დასასჯელად
 ვყავარ უფალს გაჩენილი!
 გადის დღე და
 გადის თვე და
 გადის წელი,
 გადის წლები...
 ბოლო დარდი: ეს სამოთხე
 არ აღმოჩნდებოდეს ბლეფი!

პარლამია შიტი

— ეს ცრუ კრიტიკოსები —
 ეს კრიტიკის ქაქები —
 რას მოეკიდებიან
 შენს მართალ წიგნს გაგებით!
 სხვაა მათი სამყარო —
 ლალატი და კაკებე!
 რად მოეკიდებიან
 ნამდვილ მწერალს გაგებით!

ბედი არადროს მიმართლებს! —
 კი არ მიგყავარ — მიმართევს!
 ცრემლებით მიცვლის ღიმილებს,
 ტყუილით მიცვლის სიმართლეს!
 მე სულ ტყუილად ვფიქრობ, რომ
 იმათ აგიუბებს, იმათ რევს!
 წინათაც, ახლაც — ყოველთვის
 მე მიცვლის ტყვილით სიმართლეს!

!!

ნეტამც, მამა საწყალი
 ისევ გადამისახლონ,
 ოლონდ — მეც წამიყვანონ! —
 იქვე... მასთან... მის ახლოს!
 ნეტამც, დედაც საწყალი
 ისევ გადამისახლონ,
 ოლონდ — მეც წამიყვანონ! —
 მასთან... იქვე... მის ახლოს!
 ...უნდა ალბათ პირჯვარი
 ბევრჯერ გადავისახო...
 — დედა! მამა! — ფიქრებში
 უნდა დიდხანს ვიძახო...
 ...მადლი უფალს — პირჯვარი
 უნდა გადავისახო...

ქრისტეშობაა, ძვირფასო —
 ოცდახუთია დეკემბრის!
 ხარობენ ჩვენი შვილები —
 ეწყებათ არდადეგები!
 აცივდა, ყველას — ჯუბები,
 ყველას — ღუნღულა თექები!
 გაყინულია რუები.
 არსად — ღვია და დეკები!

სულ არ გაგეშვი, ნეტა —
 მაგ ნანანავებით დეგები!
 სადმე ჩამწუმქრავს ზამთარი —
 თოვლი და თოვლი დეკემბრის!
 ცოტა ჩემთვისაც ილოცე —
 ცოცხალი დავრჩე ეგების!
 რას იზამ! — სიყვარულესაც
 აქვს ზოგჯერ არდადეგები!

ბეთლემში შუქი ბრდღვიალებს —
 ოცდახუთია დეკემბრის!

პარლამია შიტი

— სჯობს მრავალტანჯულ ღვიძილს სიზმრებიანი ძილი:
 გახარებული დედა... შეყვარებული შვილი...
 პაპანაქების ნაცვლად — შვების მომგვრელი ჩრდილი —
 უზრდელი მტერი შენი — დღეს მობოდიშე ზრდილი...
 ...სჯობს მრავალტანჯულ ღვიძილს სიზმრებიანი ძილი...
 ცხოვრებისეულ მწარეს — სიზმრისეული ტკბილი...
 მტკივანი კბილის ნაცვლად — უცებ მოცვლილი კბილი,
 ხმელა პურს, სულაც შიმშილს — მწვადი და ჩახობილი...
 კანკალს, გაყინულ ხელფეხს — ლაღი დარბაზი თბილი —
 სჯობს მრავალტანჯულ ღვიძილს სიზმრებიანი ძილი!
 კარგია? როგორ ფიქრობ — დანამებული ცილი...
 არ ჯობს? — მთელი დღე შიმშილს — ათასნაირი ხილი,
 არ სჯობს? — ამ სასტიკ ვალებს! — გქონდეს ბიზნესში
 წილი!
 შენს ჭერჩამოშლილ ბინას არ სჯობს? — კამკაში ვილის!
 არ სჯობს? მაგ ფეხით ნანნალს —
 დააქროლებდე ვილისს...
 სჯობს — მენდე — ტანჯულ ღვიძილს
 შვების მომგვრელი ძილი —
 სიზმრებიანი ძილი...

აბაღაზა

ისე მინდა, ისე, ისე,
 დრო რომ წელა გავიდეს!
 ისე მინდა, ისე, ისე,
 დრო რომ ჩქარა გავიდეს!

დრომ ვის უნდა გაუგონოს,
 ვის ჭკუაზე იაროს —
 დრომ ამ პარტერს უსმინოს? თუ
 ეგერ, პირველ იარუსს!

ისე, მართლა რომელი ჯობს —
 დრო — ჩქარი? თუ — დრო — წელი
 (გამახსენდა: დროს ლანძღავდა
 თურმე არნო ონელი...)

მეც ვწონი, ვზომავ ზოგჯერ
 ჩემი სიცოცხლის რესურსს —
 მინდა ვიცოდე რაღაც —
 რა უნდა ჩემს ბედს, რა სურს! —
 რამდენი დამრჩა — წელი?
 თვე? დღე? წუთი და წამი!
 როდის იქნება! — დღისით?
 მე მიჩვევია ღამით...
 ...
 სამად დაშლილი ერთი...
 ერთად ქცეული სამი...
 ...
 ლექსი? პოეზია? წიგნი? —
 მოდი, გავერთოთ რამით!

ტურისტული ჩანაწერი ლექსად

მართლა უცნაური,
 მართლა დიდებული,
 მართლა სასწაული —
პარიზი!
 აქ კოჭლი სიარულს
 იწყებს ნაღმა,
 აქ დამბლიანს უქრება
 პარეზი!
 სენას არა აქვს
 გაღმა და გამოღმა,
 ეიფელს არა აქვს
 მალა და დაბლა!

ქალაქი ყველასი,
ქალაქი არვისი,
ტურისტის — მუზეუმი,
მშვიდისთვის — ტაბლა!

მე და ჰამლეტ ჭიპაშვილი
მე და გურამ ფანჯიკიძე
ვკამათობთ და პარიზს
ვადარებთ თბილისს!
გენყინს და გვიხარია,
გენყინს და გვიხარია —
ხვალ უნდა თბილისში
დავბრუნდეთ დილით!

როგორცა ჩანს, ეს ცხოვრება
უნდა ჩამოვამთავრო!
რა შევმატე ან ჩემს ოჯახს,
ან ნიგნების ამ თაროს!
რას ვუტოვებ ან ეკუნას,
ან სალომეს, ან თამროს,
რას ვუტოვებ ან ანანოს,
ან სანდროს და ან ტაროს!
ვეჭვობ: უკანასკნელი ხარ,
მეოთხმოცე ზამთარო...

შენც გმორდები, შე სანყალო —
გულო ტყვიავამტარო...

ნაპროზი?

— სანყალოს გული საგულეში
იშვიათად უდგება!
უჭირს — კარგი ლანძღვისაგან
ვეღარ არჩევს ცუდ ქებას!
სხვების გაჭირვების მნახველს
გული ვერ ეთუთქება!
თანაც გული საგულეში
იშვიათად უდგება!
ცოდვაა, ჰო! საგულეში
გული აღარ უდგება! —
აღარ, ვეღარ უდგება!

ხალხი რომ არ შევშალო და
თვითონ რომ არ შევიშალო,
ოდესმე რომ სადმე ვინმეს
ვინმეში არ შევეშალო,
უცებ რომ არ წამშალონ და
ხელიც რომ ვერ შემეშალონ,
თქვენდა დამრჩით მხსნელ-მფარველად
აქეთ — შვილო, იქეთ — რძალო!

ღმერთო; ღმერთო, რწმენა ჩემო,
გვედრებით, ბრძანე, თქვი, რა,
როგორი იქნება ეს დღე,
ან, საერთოდ, მთელი კვირა!
რა მოხდება, ჩვენს იმედებს
ეშმა ფეხით ვეღარ შესდგება!
როგორი იქნება თუნდაც
უმშვენიერესი ეს დღე!
როგორ დავიჯერო, თითქო
შენ გასურდა და ვერ შესძელი!
იქნებ მითხრა, რა იქნება
ჩემთვის ეს დღე, თვე და წელი...
იმ უსაზღვრო სიკეთეში
რა იქნება ჩვენი წილი,
რა იქნება ჩვენი დღე და
ჩვენი თვე და ჩვენი წელი!
სად და როგორ ისრიალებს
სატანა და მისი ცელი!
ჩვენ შენს მობრძანებას, ღმერთო,
მუხლმოყრილი მუდამ ველით!
რა ხანია, ღმერთო ჩემო,
საქართველო ლამის კვდება!
არ მომხედავ? — მე ამაზე
ფიქრით გული გამისკდება...

**ანდერძი ტარიელისა
ნანყვეტი**

როგორაა ჩემი საქმე! —
ახლა მაინც თუ ვწერ კარგად;
ჯერ ხომ არ უღალატია
ჩემს ხერხემალს — ნამდვილ კარკასს;
ხომ არ ვანყენინე ვინმეს —
მართლა კარგ ქალს, მართლა კარგ კაცს...
ან ის ხალხი — რომ დაეკარგე —
ხომ სიმართლით დამეკარგა...

მართლა, ისე, რატომ არ მაქვს
ან მანქანა, ან გარაჟი...
რატომ არ მაქვს მეც გახსნილი
ჩვენს ბანკებში ანგარიში!

რატომ მე ვერ ვეხმარები
ან შინაურს, ან გარეშს,
რად არა ვარ დღეს — პარიზში,
ხვალ — ბონში, ზეგ — ანკარაში...
.....

ორი ოქტომბერი

შედი ოთახში და კარი
გამოიბეკეტე!
გაირკვა, რომ შენი ესმის
მხოლოდ ამ ოთხ კედელს!
რაც გტკივა და რაც განუხებს,
ძალიან გავს ართრიტს!
არაუშავს — მაგ ტკივილსაც
გაინელებ **სარტრიო...**
მერე რა, რომ მკითხველებში
აღარა გაქვს ბლატი —
თავად შენც ხომ მკითხველი ხარ —
ჰა შენ **კიტსი... პლათი...**
შეუკურთხე დედებს დედა —
ნაიბეგბედერე,
სარტრი გეტყვის, რა იქნება
ამ ყველაფრის მერე.
კიდევ ერთხელ გადაშალე
დ. გურამიშვილი...
დაწევი და წამოიწყე
ის — **მთავარი ძილი...**

ქუჩიდან გამოყოფილი ლექსსრომტი

ჩემს წინ გოგონა მიდის
ჩქარი ნაბიჯით მიდის
ან პერსონაჟი ზღაპრის
ან კიდევ გმირი მითის
უპომადებო ტუჩი
და უბეჭდებო თითი
ხმა უმშვენიერესი
თითქო ჟღერტულეებს ჩიტი
დედოფალია თითქოს
პატრონი პირამიდის
ნეტავი ვისთან მიდის,
ნეტავი რატომ მიდის,
ქუდი უბრალო შალის
კაბაც უბრალო ჩითის
მარცხენა ხელში წიგნი
თუ არ შემოღება — ჟიდი
სახე მთლად მიამიტი
ნეტავი საით მიდის
ნეტავი ვისთან მიდის
ნეტავი რატომ მიდის

ერთი ცული დღე

წინ მედო პრუსტის შედეგრი —
ვფურცლე, ვფურცლე და ვფურცლე,
და ყოველ გადაფურცვლაზე
ვფიქრობდი მხოლოდ ფულზე!
იმის ნაცვლად, რომ მეფიქრა
შედეგზე დიდებულზე,
არ ვიცი, რატომ — რატომღაც
ვფიქრობდი მხოლოდ ფულზე!
არა პლანეტა, სამშობლო,
სახლი, კარი და ფუძე —
სხვა იყო ფიქრის საგანი —
ვფიქრობდი მხოლოდ ფულზე!
სანყალი ჩვენი პლანეტა! —
ეს ხალხი მოფუსფუსე
ფიქრობს დღემუდამ ფულზე და
ფულზე და მხოლოდ ფულზე...
მე იმ ერთმა დღემ მომკლა და,
ვინც მუდამ ფულზე ფიქრობს —
არ იცის, მთელ ცხოვრებას რომ
უღვთოდ, უაზროდ იქრობს...

ჰან გუზანავიან, ჰან!

— რაც მე ამ ჯოჯოხეთის
ბინძურ ქვაბში ვიხარმე —
რას მსდევ, რას მეჯობრები,
ბოლო-ბოლო ვინ ხარ შენ!

ხომ ამდენი ვინვალე,
ხომ ამდენი ვიტანჯე —
ჩუმად, სიტყვის უთქმელად
ამ სატანჯველს ვიტან ჯერ...

არ არსებობს პარტია,
ერთხელ მაინც არ შეძერე!
ან შენს სვილებს რას ერჩი,
ან შენს სულს და ან შენს ძვლებს!

დაეტიე შენს ტრაკზე,
ნუ მსდევ, ნუ მეჯობრები! —
გინდა? გადმოგილაგო
ფაქტები და ციფრები!

თუმცა მე — სხვა ფიქრი მკლავს! —
მე შენ — არ მეფიქრები!..
მე — სულ ასე ვიცხოვრებ!
შენ — სულ მასე იქნები!

ტირადა

შენზე უკეთ, სხვებზეც უკეთ
ვიცი მე ეს! მართლა-მართლა! —
საკუთარი თავის, დიახ,
საკუთარი თავის მართვა!

ის, რაც წელან მე მითხარი,
არ გაიმეორო! არ თქვა!
შენ არ იცი, რა ძნელია
და ადვილიც — თავის მართვა!

გაგაგიჟა ჩათლახობამ
და უნამუსობამ მათმა?! —
სწორედ ამ დროს გჭირდება კაცს
საკუთარი თავის მართვა!

ჟამი რომ დგას კრიზისული! —
ქნა თუ არ ქნა! თქვა თუ არ თქვა! —
ამ დროს უნდა შეძლოს კაცმა,
ამ დროს უნდა შეძლოს ქალმა,
ამ დროს უნდა შეძლოს ერმა
საკუთარი თავის მართვა...

მთავარი თავსატანსი

— ჰო, ვიცი, ბევრი რამე იცით! მაგრამ თუ იცით,
სიცოცხლის მეტრე — რად მიმართავს კაცი სუიციდს!
სიცოცხლე სიკვდილს რისთვის უხმობს დასახმარებლად,
ან დახმარებლად რად ითვლება დასამარება...
— კამათი გიყვართ, მე კი ახლა კამათი არ მსურს!
ადროვეთ სიკვდილს! —
მაგ კითხვაზე ის გაგცემთ პასუხს...

ფერადასული ლექსსრომტი

აღარ მახსოვს, როდის იყო
და ის ბრძოლა როდის მოხდა —
რომ აძგერა ერეკლემ და
ჩამოაგდო მათი კოხტა!
...რა იმედი იყო მაინც
სანყალოთა და ღარიბ ქობთა!
რა სახელიც ჩვენი ჰქონდა —
ასჯერ მეტი — მტრებში ქუხდა!

შეიცვალნენ მერმე დრონი! —
ტახტი მისი — გახდა „ტრონი!“
და ერეკლეს საბრძანებელს
გამოუჩნდა სხვა პატრონი!
„დასასრული!“ — წაენერა
ხრმალთა ლაპლავს, ცხენთა რონინს!
„ჟამი, დიდებულო მეფე!“
„დრონი, ჩემო კარგო, დრონი!“

თოფი — ავი მუსაიფი —
ექსპონატი მუზეუმის!
დაიღალა ბრჭყალი ლომის,
დაიშრიტა მუზა ომის,
აღარ ჰქონდა ქართველს თავი
აღარც ბრძოლის, აღარც შრომის...

...ჟამის ფარდას მიეფარა
სხვა ათინა და სხვა რომი...

ტერუელი
ტარიელი
დარიალი
დორეული
მილიონი
მილეული
მორიელი
მორეული
შინაური
გარეული
შხამში ცრემლი
გარეული
დასამარხი დამარხული
დასალევი დალეული
ალაგალაგ შხამსამსალა
ალაგალაგ გოლეული
ეს ცხოვრება, ბოლო-ბოლო —
დასასრული გალეული
ბოსტონელი, ლონდონელი,
პარიზელი, რომაელი,
მთელი დღე და მთელი ღამე
მფარველებად რო მოელი...
დარიალი
ტერუელი
ტირილი და ტარიელი...



დასასრული

— ჰოდა, რა გრჯიდა საამისოდ? რატომ გგონია, რომ შური კარგია, ან მადლობას რაღატომ უხვდი?

— რა უნდა ეპასუხა? ან საერთოდ, რატომ ითხოვდნენ მისგან მუდმივად პასუხებს?

— შენ გგონია, შური ძალაა? ან უმოკლესი გზა მიზნის მისაღწევად? — ნანა მასი თავის თავს ელაპარაკებოდა. ამიტომ, ბიჭს არც უცდია შეენყვებინებინა, — ოდესღაც მეც შემშურდა ერთი კაცის. ის ისეთი ძლიერი იყო, ისეთი შესანიშნავი, ჭკვიანი, ყველაფერი ჰქონდა, ნაკლის გარდა. და მე ვიფიქრე — რატომ არ უნდა იყოს ის კაცი ჩემი? რატომ არ უნდა ფვლოდებოდა ამ საუნჯეს? გესმის ჩემი? — უმწეოდ ამოხედა ბიჭს.

ბიჭს ესმოდა. ნანა მასი მიხვდა და განაგრძო:

— ავდექი და, ამ ჩემს შურს გავეყვი, ნადირი რომ კვალს იპოვის თოვლში, და გაყვება, ხომ გესმის, აი, ეგრე. და მოვიპოვე, რაც მინდოდა. მაგრამ, როგორც კი მოვიპოვე, მაშინვე მივხვდი, რომ მთავარი რამე არ მქონია — სიყვარული. და შურს კი იმის ძალა არა აქვს, სიყვარულად იქცეს. მაშინ ყველაფერი უნდა გაიღო ამისთვის. შენ შეგიძლია, ყველაფერი გაიღო?

— შემიძლია! — თვითონვე ეუცხოვა ბიჭს საკუთარი ხმა, მაგრამ ისეთი დარწმუნებით თქვა, რომ ნანა მასს გაეღიმა.

— რა კარგი ბიჭი ხარ!..

ოთახში გამჭვირვალე ჰაერი იდგა. ვერცხლისსამაჯურიანს მოეჩვენა, რომ ნანა მასიც კი ბრწყინავდა ამ ჰაერის შუქზე.

— ეგ სული არ ჩაიქრო, ეხლა რაც გაქვს, არავითარ შემთხვევაში! — თქვა ბოლოს, რომ ნამოდგა, — და, ალზე არ გაბრაზდე, გთხოვ. ის ძალიან კეთილია. უბრალოდ, ჰგონია რომ ყველამ თავისით უნდა ისწავლოს ცხოვრება. ასეთი ურჯუკია.

ისევ გაიღიმა. ეს იმ შემთხვევამდე ათი დღით ადრე მოხდა.

სკოლიდან დაბრუნებულმა ნანა მასმა იცოდა, რომ ალექსი იყო. კარიც ღია დახვდა. ზღურბლს რომ გადააბიჯა, რაღაც-ნაირად, ტანჯვით აითრია ნაბიჯები.

ალექსის ოთახში, სანოლზე პირქვე იწვა, გაუხდელად, ფეხსაცმელებით. მეორე ოთახში მეორე ბიჭი იჯდა კომპიუტერთან. სქელი ყურსასმენები ჩამოეცვა და თავფეხიანად მონიტორში იყო შემძვრალი.

ფრთხილად შეალო ალექსის ოთახის კარი. იდგა ცოტახანს. ვერაფრით იპოვა ვერცერთი შესაფერისი სიტყვა, მთელ ტანში გაუდაბურებული სიჩუმე რომ როგორმე დაეძლია.

ისევ ალექსი უშველა. თავი არც აუნევიდა, ბალიშში ჩაიბურტყუნა:

— რაც გითხრეს, ყველაფერი დაიჯერე?

— გადმობრუნდი... — როგორც იქნა, მიხვდა ნანა მასი, რაც უნდოდა პირველ რიგში შვილისგან.

ალექსი გადმოტრიალდა. ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა. ხელნახევრადამდე ძარღვები დასკდომამდე დაბურცვოდა. არაფერს მალავდა დედის წინაშე.

— გუშინ სად იყავი? — ჩურჩულით ჰკითხა ნანა მასმა. მეტი ხმა, რომ მოგეკლა, აღარ ამოსდიოდა.

— დამბებზე. ჩემს კატერს ვანყობდი. — სად იყავი გუშინ? — დამარცვლა ნანა მასმა.

— ჩემს კატერს ვანყობდი. დამბებზე, — ალექსი დამარცვლა.

— რა გინდოდა რადოსადგურის ნანგრევებში? — ნანა მასი ცალი ხელით კარის სახელურს ჩაეჭიდა, ძალა რომ გაენაწილებინა სხეულში.

— რა იცი, დედაჩემო? მომიყვიე ყველაფერი! — უცებ ალექსი ხმაში გაჩნდა რაღაც უცხო და საშიში. ნანა მასი შეერთა. ამ შეტევას არ ელოდა.

— მე მოგიყვიე? მე როგორ გავიმეორო ის, რაც ვიცი? ან როგორ დავიჯერო?

— როგორ არიან? — ისევ ჩაქრა ბიჭში ის სიუცხოვე.

— ვინ? — შენი მოსწავლეები. ან ერთი, ან მეორე.

— ვინ ერთი და მეორე? გოგოს თუ გულისხმობ, გიჩივის ის გოგო და მისი მშობლები. ღმერთო... რეებზე ვლაპარაკობ!.. სიზმარში ვარ!.. და მეორე ვილა? ვის გულისხმობ?

— როგორ, აბა, არ უთქვამს ჯერ შენთვის არაფერი?

— ალექსანდრე! — უცებ იღრიალა ნანა მასმა, — ვიტანჯები! მითხარი ყველაფერი, ეს რატომ ჩაიდინე? ეს როგორ ჩაიდინე? ჩემმა შვილმა ეს როგორ იკადრე?

— შენმა შვილმა! — ჩაეცინა ალექსი. ნანა მასი მიხვდა, რომ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, — შენს შვილს ბოლოს როდის ჰკითხე, როგორ ხარო?

— მაგას მე მეუბნები? — ისევ ღრიალით განაგრძო ნანა მასმა. ახლა უკანდახევა კიდევ უფრო დიდ შეცდომად მიიჩნია, — სირცხვილი საერთოდ დაკარგე?

— დედა!.. — ისეთი სიბრაულოთი თქვა ალექსი, რომ ნანა მასს ისევ შეუქანდა ფეხქვეშ იატაკი, — რასაც გინდა, ვიზამ, როგორც გინდა, ისე მოვიქცე, თუ გინდა, ნავალ სადმე რომ შენს სახელს ჩირქი არ მოეცხოს, ოღონდ ცოტა ფული დამჭირდება. მომცემ?

ნინო სადღობელაშვილი

ვერცხლის სამაჯური



— ანუ, შენ ჩაიდინე? — კარს ხელისგული მიარტყა ნანა მასმა.

— რალა მნიშვნელობა აქვს, ვინ ჩაიდინა, თუკი უკვე მოგნამლეს.

— აქვს! თუ მართალი ხარ, მაშინ თავს რატომ არ იმართლებ? 15 წლის გოგოს გაუპატიურება მართო ცუდი საქციელი გგონია შენ? ეს იცი რამხელა დანაშაულია? მთელი ცხოვრება როგორ უნდა იარო ამ დანაშაულით? რატომ გინდა ეს ტვირთი აიკიდო? — ურტყამდა და ურტყამდა კარს, კედლებს, სულ დაუნითლდა ხელისგულები.

— ვინმე სხვა ხომ მაინც დაისჯება, და შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— ნუ მაგიუბნებ! რას ქვია მნიშვნელობა არა აქვს? სად იყავი გუშინ? რა გინდოდა იმ გოგოსთან? ან ეს ცხოველობა... ეს ძალადობა... როგორ გაბედე?

ალექსი ადგა. ნანა მასის გვერდით ისე ჩაიარა, რომ ქალი ვერც კი შეტოკდა. სამზარეულოში გავიდა, ონკანიდან წყალი დაისხა და დალია.

ნანა მასი მექანიკურად გაყვა უკან. — რა ვქნათ, ალექსი?

— დავექვი.

ნანა მასი დაჯდა. ალექსი, მის წინ.

— ვინ იყო კიდევ გუშინ იქ? თუ დამნაშავე არა ხარ, თავს რატომ არ იმართლებ?

— თვალეში შესცქეროდა და უკვიდა, რომ შვილი თვალს არ არიდებდა.

— იქნებ ამით შენი დასჯა მინდა... — მხრები უმწეოდ აიჩეჩა ბიჭმა.

— რისთვის?

ნანა მასმა რაფაზე შემოწყობილ წიგნებს გახედა. ზოგში ხელნაწერი ქალაქდები იყო შეჩურთული. მისი წიგნები. მისი სამუშაო და საყვარელი წიგნები. ამ წიგნებში იყო მისი სული გამომწყვედი. აქედან ამოკითხულს ასწავლიდა ამდენი წელი გაუნელებელი სიხარულით და ხანდახან ისეთი დიდებული იყო ეს სიხარუ-

ლის განცდა, ისეთი ბრწყინვალე, რომ სახელსაც ვერ არქმევდა.

— როდის დავუშვი შეცდომა?... თავი ჩალუნა ნანა მასმა, — რა შემეშალა?..

თავის თავს ეკითხებოდა. ალექსის თვალნი პირველად ამოიღო სიგარეტის კოლოფი და გააბოლა.

მერე ჯიბე მოიქეცა, ხელისგულით რაღაც გაუნოდა ქალს.

ვერცხლის სამაჯური იყო. ოდესღაც ნანა მასმა თავის ობოლ მოსწავლეს რომ აჩუქა დაკარგულის სანაცვლოდ.

— ეს შენს მოსწავლეს მიეცი. უთხარი, აღარ დაკარგოს.

ნანა მასმა სამაჯურს დახედა. ნამით რაღაც გაუნათდა გონებაში. მერე ეს შუქი ისევ ჩაქრა და ისევ აინთო. ყრუ ბიჭი იგრძნო. ფეხებიდან დაუარა რაღაცამ და მკერდთან გაუჩერდა. ჭერს ახედა — ჭალი არ იმძვრებოდა.

— შენც იგრძენი? — ალექსი ოდნავ შემინებული თვალებით შეხედა.

— რა ვიგრძენი?

ნანა მასს გაეღიმა. რახანია ასეთი ღიმილით ალექსის აღარ გაუღიმა. ხელი ნელა გააჩოჩა მისკენ შემხვედრი ხელის

— მოვა, ეხლავე მოვა, — ბიჭი თითქოს ჩქარობს, ვერ ისვენებს.

— აქაურობა საიდან აღმოაჩინეთ, — ეცინება გოგოს. ძველისძველ, გამოშვებულ კედლის საათს სწვდება, ზამბარას მოქაჩავს.

ტკლავს! — გაისმის სიჩუმეში.

— ეს ჩვენი შტაბია! — აცხადებს ბიჭი. — ჰოო? და რას საქმიანობთ შტაბში?

— გეგმებს ვანყობთ.

— რა გეგმებს, ქვეყნიდან გაქცევას ხომ არ აპირებთ, ან ტერაქტს? — გოგო უკვე ხალისობს ამ ყველაფერზე. თან ცალი თვალთ გზას გასცქერის. კაი მანძილზე მოშორდებიან კორპუსებს.

— ტერაქტს არა იმას! — იცინის ბიჭი.

ბიჭს სიცილი ძალიან უხდება. გოგოს მოსწონს, როცა ის იცინის. ზოგადად, გოგოს თვალში ბიჭი ცუდი არაა, მაგრამ...

მერე ორივე ჩუმდება. რაღაც იძაბება — ჰაერი, სივრცე.

— ზუსტად იცი, რომ მოვა? — გოგოსთვის უკვე სულერთია, რას იფიქრებს ბიჭი მასზე და ალზე.

— რა გინდა ალესგან?! — ბიჭის ხმაში აგრესია ჩნდება.

— არაფერი... ისე...

— აბა, ყოველნამს რატო ახსენებ?

— ე, შენ რა, ეჭვიანობ?

— მეე?..

ბიჭი აღარ იცინის. ავაზასავით იძაგრება. გოგოს უკვე სული ეხუთება.

— ნავიდეთ რა. აღარ მინდა თამაში, გავათავებ ლავაში.

— ვერსადაც ვერ ნახვალ.

— რა?

— რაც გაიგე.

— მომიტაცე? — გოგოს არ უნდა, რამე სხვა იფიქროს და თავს ისულელებს.

— ხო, მოგიტაცე.

— მერე, რომ დაგიჭერენ, არ იცი?

— ფეხებზე მკიდია.

— რა გკიდია, ბიჭო, ფეხებზე? მოიცა ერთი რა. მე წავედი.

— ვერსად ვერ ნახვალ-მეთქი.

— შენ რა, გაგიჟდი?

— ხო, გაგიჟდი.

— ე, ვასიკო, რას აკეთებ?

— რა დამიძახებ?

— ვასიკო.

— საიდან იცი ეგ სახელი?

— რა სახელი? ვასიკო? ალექსი მითხრა, ვასიკოს ვეძახი ხოლმე.

— როდის გითხრა?

— აუ, შემეშვი რა.

გოგო ბიჭს ხელს აუკრავს, როცა ბიჭი უახლოვდება. ბიჭი მაჯაში წვდება და ისე უჭერს, რომ გოგო კივის.

— ე, გამიშვი, შე მითხოვარო!

ბიჭი ორივე ხელით ბლუჯავს და თავს თავისი ტუჩებისკენ უტრიალებს.

— გამიშვი! გიჩივლებ! მოგკლავ!

ბიჭი წარმოუდგენელ ძალას ფლობს. ამ ძალის წინაშე გოგო ჩიტივით ფრთხება და ნაწილებად იშლება. ბიჭი გოგოს მუყაოს ყუთზე ავდებს და თვითონ ზედ ეცემა.

კოცნის, ლოშნის გაღებულ პირით, გეგონება, მის ერთ ლუკმად გადაყლაპვას ცდილობს. გოგო ყვირის, ურტყამს, წამოდგომას ცდილობს, მაგრამ ბიჭი ზედ რკინასავით ჰყავს მიდულებული, მის წითურ თმებშია გაბლანდული, ხავსიან წყალში მყვინთავივით. გოგო ტკივილის ბგერებს უმწეოდ ისვრის, ხავის, ბოლოს ჩუმდება...

გზისკენ დარჩენილი თვალის ლიბრში ხედავს — ალექსი. ჯერ დინჯად, მერე ფეხს უჩქარებს, მერე სიბრძნით. თავზე ადგება მათ, ორს, ერთმანეთს შენებებულეებს, დასისხლიანებულეებს, დაღურჯებულეებს. ხედავს, სახე რომ ემანჭება ალექსი და თავზე იწყობს ხელს გაოგნებული.

ხედავს მის ელამ თვალს და ეჩვენება, რომ ერთ-ერთიდან ცრემლიც კი მოსდის ალექსს, ეს ცრემლი ეწვეთება მას, გოგოს, თმაგადაგული შუბლზე და უხვრეტს შუბლს... და გრძნობს გოგო, როგორ იბადება მასში თოთო, ახალთახალი გრძნობა, ყოვლისმომცველი და ყველაფრისშემძლე — ზიზლი. შესცქერის ამ ზიზლის მშობელი დედა თავზე ხელეშემოწყობილ ალექსს და უკვირს, საიდანაა ალექსს დედამინაზე დღის სინათლე, საიდანაა შემოდის ჰაერი...

მუყაოს ნაგლეჯზე, მტვერში მიმოყრილ ნივთებს შორის ვერცხლის სამაჯური გდია და ოდნავ ირეკლავს ნოემბრის მიმქრალი მზის სხივებს.



ეკა კვიციანი

სიტყვების ქალაქი

*
შენი ხმა იყო,
მე რომ ბედისწერა დავარქვი,
გავყევი და ცაში აღმოვჩნდი.
უძრავად იდგა კამკამა სილურჯე
და არავინ იყო ამ სილურჯეში შენ გარდა,
არავინ იყო, ვისაც დაფუძახებდი და ხმას გავაგონებდი,
ავდექი და ვისწავლე შენი ენა.
ავდექი და ვისწავლე შენთან ლაპარაკი.

*
სხვა რა შემეძლო, გიშენებდი სიტყვების ქალაქს,
ცა იყო ირგვლივ, სიტყვაც იყო ცის და თხევადი,
ვარჩევდი ფრთხილად, მონდომებით,
ალაგ და ალაგ,
გრძნეულის ვნებით, აალებულ ცეცხლშიც ვფერავდი...

*
და გულმოდგინედ ვმალავდი ჩემს სხეულში მძინარე ქალს,
რომელიც ზოგჯერ ღრმა ძილიდან
გამოფხიზლებას ლამობდა
და თავს მახსენებდა.
ვმალავდი, რადგან მჯეროდა, რომ
მისი გაღვიძება არ შეიძლებოდა,
არც მისი გამოჩენა შეიძლებოდა
გამჭვირვალე სიტყვების ქალაქში...

*
და მდუმარებდა სიცხადემდე მქრქალი მანძილი,
და ვჭურჭულვდი: სიყვარულო, გამიხანგრძლივიდი...

*
ერთხელაც, როცა მეძინა,
მანძილი გალეულა
და იმდენად ახლოს მოსულხარ,
იმ ქალს დამალვა ველარ მოუსწრია...
გამელვია და შემრცხვა,
გამელვია და ხმა ჩამიწყდა,
გამელვია და მივხვდი, რომ დავყრუვდი
და აღარ მესმოდა შენი ენა...

*
ველარც შენ მცნობდი, ტკივილისგან მწარედ დაკბენილს,
არც ღონე მქონდა ამ ცხადიდან გზების გაკვლევის...

*
მერე უშენობის შიშმა ამომავსო,
ცაში დაკარგვის შიშმა ამომავსო,
გზის ვერგამოგნების შიშმა ამომავსო,
უცხოობის შიშმა ამომავსო.
მძიმე იყო სხეულში ჩამდგარი შიში
და გამოქცევა ვერ შეეძელი ქალაქიდან,
რომელსაც ეს სიმძიმე ანგრევდა...

*
სხვა არაფერი — სილურჯეში ვცადეთ თამაში,
არც ამინდები, კაცმა რომ თქვას, ჰგავდა ცვალებადს,
რა ვიცოდით თუ ნანგრევებად ქცეულ ქალაქში
მკვდარ სიტყვებს შორის მოგვიწევდა გარდაცვალება...

ნურასდროს იტყვი,
რომ შეძელი,
რომ კარგად მიცნობ,
თვალახვეული ნუ ენდობი
მოლიპულ ვინრობს,
ნუ იმახსოვრებ ღამეების
უმწეო ცახცახს,
მატყუარაა სხივამდგარი
დღეების ასხმაც...
თვალეში ბევრჯერ ნაპერკლეები
ავად რომ ელავს,

ნუ გაიოცებ, დამერწმუნე,
დღეს ესეც მე ვარ!
მე შემძლია უმონყალოდ
ყველაფრის ნგრევა!
შორიდან რაც ჩანს, ტყუილია,
პოზაა, ფარსი,
სხვა ყველაფერმა
დიდი ხნის წინ
დაკარგა ფასი...
ნურასდროს მეტყვი, რომ შეძელი
ნაკითხვა წვიმის,
ან ცრემლი წყლისგან გაარჩიე —
ნუ მომგვრი ღიმილს...
რომ ისე მიცნობ, შეგიძლია
ბრმასავით მენდო,
რომ დაკარგული ვერ იქნება
ვერაფრით ეს დრო...
მოურჩენელი ხდება ხშირად
და მძიმე ჭირი —
აუხილავად დარჩენილი
თვალეების ჭირი...
ჩემი დანახვა, დამერწმუნე,
შეგაკრთობს მხოლოდ,
და სანამ კიდევ ამოივლი
საფეხურს ბოლო,
გეტყვი: — ყინულის სასახლეა,
სადაც მე ვსახლობ —
ნუ მოხვალ ახლოს!

დასავიწყებლად გულმა მაინც ვერ გაგიმეტა,
დილაადრიან გაავებით ყეფდა წარსული,
ამოქოლილი, აკრძალული ხსოვნის მღვიმედან
ხელებს მიწვდიდნენ ღამეები, ყელგაბასრული.

მოგონება თუ ერთი ბნელი ხრამისპირია,
ვიდრე ბოლომდე ჩანავლდები და ჩამიქრები,
მოდო, მითხარი, უცრემლებოდ რას მისტირიან,
მთებზე ნისლეზად გაფენილი სველი ფიქრები.

სად გაქრა ის ხმა, ჩემს სინანულს რად არ დარაჯობს,
უხსოვარ დროში აბსურდებს რომ აგვირისტებდა...
თქვი, იქნებ, მართლა ქარაფიდან გადავარდნა სჯობს
ამ უკაცრიელ უდაბნოში ადგილის ტკეპნას...

უკურნებელი სახადისგან მიხსენი, მთაო,
ჩააქრე ცეცხლი!
გულზე ეჭვის ნემსების როკვა!
არც მწვავს ბოლომდე,
ველარც მისი
ალეებით ვთბები,
ათასი გველი შხამიანი ენებით მლოკავს...

ნუ მასმენინებ მდუმარების შემზარავ ექოს,
ნუ გამაბრუნებ სალოცავად წამოსულს, გზიდან,
ნუ დამაჯერებ, რომ ეს სენი სასჯელად მერგო
და ბოლო წამის ჩამოკვრამდე მე უნდა ვზიდო...

შენ დგახარ უტყვი,
მოლუშული და გათოშილი,
თითქოს, მიმზადებ კიდევ უფრო მძიმე განაჩენს...
მითხარი, მთაო, რომ უმტვერო თოვლით მოსილი,
ყინულის ლაქებს საკურნებლად სულზე დამამჩნევ...

თორემ, როდესაც ძველებურად თავხედი ვნებით
გადაურბენენ ჩემს ნახანძრალ სხეულს ალები,
გულის ნასვლამდე შემზარავი სიცხადით ვხვდები,
სასონარკვეთას
მომაკვდავი ქლექიანების,


შენს ცივ უბეში
განკურნების იმედით რომ
თავს აფარებდნენ,
და მეშინია...

იყო მუდარაც,
მრისხანებაც,
ხმაურიც,
წყენაც...
ის ყველაფერი
გადაიქცა
საძულველ წყველად:
სიჩუმედ,
შიშად,
მარტოობის
ბურანში რნევად...
გზამ,
ჯიუტად რომ
ვიკვალავდი
ერთ დროს
შენამდე,
ვერ მოგაგნო და
მომიყვანა
ამ მოწყენამდე...

„მაგრამ ამითი არაფერი დამთავრებულა“
ბექა ახალაია

მოულოდნელად,
სულ უბრალოდ — ფეხი დაუცდა.
მერე აღმოჩნდა
ბაყაყებით სავეს აუზთან,
შემოეტმანა
შავი გველი სხეულზე შიშველ
და უდღური ბავშვები იშვენენ...
მაგრამ ამითი არაფერი დამთავრებულა,
კვებავდა ჩვილებს,
აკნაველებულ, მჩხავანა დამლებს,
და პეშვებიდან ასმევდა ნაღველს,
კვებავდა ჩვილებს,
პირში მუჭით უყრიდა მიწას,
და მთელი ღამე იმ გველთან იწვა.
მაგრამ არც მაშინ არაფერი დამთავრებულა,
ხედავდა სიზმრებს
გახელილი თვლებით. სასჯელს
იხდიდა, ალბათ, ღამეში ასჯერ,
ხედავდა სიზმრებს,
სიზმარ-ცხადის შავ-თეთრ საზღვარზე,
ბევრჯერ, ჩავლილი წლები აზვავდნენ...
თუმცა, არც ამით არაფერი დამთავრებულა,
დაიმახსოვრა
სიზმარ-ცხადში განცდილი ძრწოლა
და აგრძელებდა კვლავ გველთან ნოლას...
ხმელი მკერდიდან
ანოვებდა მტირალა ჩვილებს,
აბინავებდა თვალეში ჩრდილებს...
და არც ამითი არაფერი დამთავრებულა.
სანამ იგრძნობდა
გამხმარ ტანზე შეფარულ თვალთვალს
ამოლამებულ, უფსკერო თვალთა...
საყვედურები
ჩაეღვარა სულში ამ თვალთა
და ყველაფერი მაშინ დამთავრდა...

როცა კითხულობ —
ის, ვინც ათასი წლის წინ
შენი ლექსის ბინადრად იქცა,
რა სიფაქიზით და განცდით წერს
ვილაცის გრძელ და მოქნილ თითებზე...
შენ
გახსენდება მხარბეჭიანი, მაღალი და ტლუ კაცი,
რომელიც აგერ, საუკუნეა,
გულმოდგინედ ცდილობს,
მთელი მისი ღირსება —
გაშლილი მხრები და
კუნთებად ასხმული ხორცის ნაჭრები დაგანახოს...
შენ კი ვერასდროს შეძელი,
ამ ათლეტური მონდომების სანაცვლოდ,
ერთი სტრიქონი მაინც გადაგეხადა...
გახსენდება და საკუთარ,
სიმწრით დაკვნეტილ თითებს უბრაზდები,
რომლებიც
ღმერთზე,
ტკივილზე,
არარსებულ სიღრმეებსა და სიმაღლეებზე
და (უკაცრავად!)
მიფურთხებულ
სიყვარულზე წერაში გაცვდნენ...



გივი ალხაზიშვილი

ლამის ანბანი

ფეხის ხმა სიჩუმის ანბანია. სმენა სწავლობს სიჩუმის კითხვას. ჩაჩუმებული ნაბიჯები — ნაგულისხმები სიტყვებია.

იცი, რას ნიშნავს ნაფორხილება ორ სიტყვას თუ ორ ნაბიჯს შორის?! მიყვარს ლამის ზეპირსიტყვიერება, — ის, რაც თავს იყრის შენი ყურის ნიჟარაში და თანდათან მძაფრდება ბგერა დიდი სიჩუმის დასაწყისისთვის.

სხეულით ვგავარ მოსიარულე იეროგლიფს და კიდურების გრძელი ჩრდილები არა მხოლოდ ფორმას მიცვლიან.

მე ვისვენებ საგნებთან ყოფნით და ქალაქის დამუნჯებას აგრძელებს ღამე. დუმის მეთქს ნურაფერს მეტყვიით. ისეც სავსეა მეხსიერება ინფორმაციულ ნაგვის ნარჩენით, რომელიც ღამით სადღაც გააქვთ ლამის ჭრიჭინებს და მახსენებენ სიყვარულზე დაფიქრების ბუნებრივ სურვილს.

ვარდი არ ჩანს, მაგრამ სურნელით აქამდე აღწევს. ბავშვობაშია ჩარჩენილი მისი ფესვები და ჩვენ უკან დაბრუნების იმედებით აღარ ვტყუვდებით.

მზე მოჩანს, როცა აღარ ანათებს, როცა გმორდება, გეძებს შენი მიზიდულობა...

ვჩქარობდი, აქვე მეგულბოდი და მოვედი შენს წასაყვანად, მაგრამ ვერ განახე...

შენ ჩემში იყავ და სხვაგან არსად, და დროდადრო ჩემშიც ქრებოდი.

ხანდახან მზესაც უნდა ამოსვლა და ვერ ამოდის, დაგვემალება ბგერებს შორის თანმდევი პულსი და დროის სიღრმეს უსახელო ნუთში პოულობს!

არ მეგონა, უთქმელ სიტყვაში თუ შევალწევი.

ხანდახან მზეც კი ვერ ამოდის, როცა იგი თავს ემალება და იძირება თავის ნათელში...

აქ არის ყველა, ყველაფერი, მაგრამ არავინ!

ხელის უნებლიე მოძრაობა ხსოვნის კარნახით — სიტყვის უხმო სინონიმი...

გაქეპებული კადრი, სადაც ფეთქავს მხოლოდ ბავშვის ღიმილი — ბიძგი — იმავე წრებრუნვის დასაწყებად. იქ ყველაფერი მეორდება განსხვავებულად. ერთფეროვანია მხოლოდ შედეგი და ამაზე არ ღირს ფიქრი...

როგორც იქნა, შევავროვე საკუთარი თავი და დავემგვანე ეკლის გვირგვინს, წილად რომ გერგო, გოლგოთას გზა რომ გაასრულე.

მე რა ვიცი, ვინ ატარებს ცოდვის ნაყოფს, ვინ აღსავსეა უსაზღვრო მადლით?! გაღიმებული წითელი ვაშლი — არც იშვიათად სახლია მატლის.

რა უჩვეულოდ გამოჩნდა მთვარე ჩვეულებრივი შავი ღრუბლიდან, როდესაც ხმები გაღმობილ მთვარეებს, ღამურებით ამოუფრინდათ.

მე კი ჩავბრუნდი საკუთარ თავში, სად უმეტესი სივრცე მომელის, იქ ახლაც ცხოვრობს შემერთალი ბავშვი — ღამიდან შუქის გამომდნობელი.

მე იქ მივიღვარ, რადგან აქ არ ვარ და ამ ქალაქის ხმაურს არ ვისმენ და ჩემს თვალბრუნვებში ჩაშლილი ქარვა ჩემში აგროვებს სიტყვებს მთვარისფერს.

ისე ძველია ვარსკვლავთა მრევლი, როგორც ეს რითმა, წინ რომ მიმათრევს, როგორც ხმის ტემბრში გამკრთალი ცრემლი და სინანულის ჩუმი სინათლე.

სალომე ნიკოლეიშვილი!

გახუნდა შენი შენაპირები, სულ იმას ვნატრობ, რასაც მიშლიდი... ქსოვენი სიჩუმეს შინაბერები, ამაქმანებენ სიღრმეს სიმშვიდის.

ძაფის შრიალი და სიფაქიზე, მოწყენას მუდამ რაღაც აკლია, დარბის ღიმილი ჩამქრალ ბაგეზე და იგი ნატვრის ანარეკლია.

აქ მუდამ ვილაც იგულისხმება და ოცნებაა მისი მძერწავი, ვინც იფანტება მთვარის მისხლებად და შენში მღერის, როგორც ლერწამი.

აიბურდება ლამის გორგალი, რომ გაუწყდება ფიქრის ძაფი ქალს, შავ-თეთრი ძაფი, მუდამ ორგვარი — ჩვეულებრივი ყოფის გრაფიკა.

დავინყებთისთვის, დავინყებთისთვის და დავინყებთის უარსაყოფად — ჩემი დღეები იქცნენ ფურცლებად, ძლივს დავაღწიე თავი საკოფაგს სიტყვით, დუმისში რომ იბურცება.

შენ ისევ მნახავ თუ მოინდომებ და რომელიმე გვერდზე მომძებნი, ვჩხაპნი აშიას, წიგნის მინდორზე გაფენილი მაქვს ჩემი ძონძები.

ის, ვინც თვალეები მომისარკვევა, მხოლოდ იგია ნათლის მომფენი და ახლა ვცდილობ იმის გარკვევას, სინამდვილეში სად ვიმყოფები.

ამინდი

ღრუბელი ისე მიიზნიქება, აუცილებლად წვიმა იქნება. განვიმდება და სახლში ჩავჯდები, სტრიქონი მაინც ჩამოიქნება.

ისე მღერის ბაღში ჩიტები, ლამის სიტყვები მექცნენ ჩიტებად, რომ არ გავფრინდე, მზეს ვეჭიდები, ღვინის ბოთლიდან რომ იჭყიტება.

ჭრილობა რომ იყოს, სულს შევუბერავდი, რამეს ვუშველიდი, მაგრამ რა ვუყო განცდას, რომელმაც მილიარდობით გული გამოიარა და ჩემში შემოაღწია სახადივით.

სათქმელი აღარ დამიტოვა დარჩენილ სახტად და სხეულს ჩემსას, მოარულ საყდარს, გადაუფრინა ჩრდილმა ქორივით და ამიხილა თვალი ჩამქრალი უსაგნო ფიქრით ამოქოლილი.

ქვეყნად მრავალი მიდის და მოდის, ვინ როდის ჯდება ქარონის ნავში და პაუზებში ჩარჩენილ მოტივს რა უნებლიეთ აგრძელებს ბავშვი.

მეც ნაწილი ვარ ამ მცოცავ ძაფის და მეშინია უღრმესი სიტყვის, მისი სიშიშვლის და მისი ძაბვის და პასუხებით გაცვეთილ კითხვის.

ირაო

გაუდღეურდა, ამ ღამესაც ამოხაზავენ და იმ დღის მერე ჩვეულებრივ მოვა ის ღამე, როცა ნუთები ისეთ სიტყვებს გამოისხამენ, რომ ველარ შეძლებ გაუქმებულ დღის მოხელთებას, რადგან საგნები დაკარგავენ ფორმებს პირვანდელს და შენელებულ დროის სუნთქვა მფეთქავ ელდებად ისე აგავსებს, ვერ ახერხებ სიტყვის მოძებნას, წარმოთქმამდე რომ გიდნება და სისხლსაც გინყალბებს, გაფიქრებითაც ვერ მიწვდები დაუვინყარებს, და შეეზრდები ჰარმონიულ გულმავინყობას, და შენი მზერა მოედება საგნებს ობივით, როცა იქცევი იმ ყველაფრად, რაც იარსებებს, მაგრამ უშენოდ და დროებით გამომხობილი

ცდილობ ამ ყოფას აედევნო ღიღინ-ღიღინით და გაეჯიბრო დროს ცრემლიან დროის შთანთქმვაში, შენი სიტყვები ცვივა, როგორც ძველი ბათქაში, ბაგეებიდან და გულიდან, შენი სისხლიდან და არსებობის სიტყვიერი მოძრაობითაც შენ ველარაფერს ემატები ერთი მისხლითაც და არც აკლდეები, არც გადიხარ, ცდილობ გაღწევას, რათა ფურცელზე მოიპოვო უწონადობა და თქვა, რაც უკვე ნათქვამია, რისი განდობაც შენი ხორხიდან უცაბედად ამოქოლილი ქარის დევნაა, ქარის, ქარის და საქართში ქორის ირაო, სადაც ფიქრიც ქრება ქორივით.

და ეს თამაშიც, რა თქმა უნდა, არის ირაო, ძველი ანბანის, ოდინდელის მცირე ფრაგმენტი, რასაც გეგონა, რომ პირვანდელ სახელს არქმევდი, ხორხისმიერი ბგერები რომ დიდხანს ეძებე და ამოღერდე, როგორც იქნა სხვისი სიტყვები, თვალს უპოვარი ბავშვებზე რომ აცეცებენ და თხოულობენ აღარაფერს, სულ აღარაფერს, მხოლოდ დანდობას და თანახმას გულმონყალების, მთელი სამყარო გადაივსო მათი თვალებით და თქვენ მიცურავთ, განისვენებთ და განცხრომაში ჩაძირულ დღეებს ვერ ინელებს ბილწი ღრეობა, თქვენ ერთმანეთში იმალეებით და უბრუნდებით ჭიქანყალივით მონყურებულ იგივეობას.

დომინო

დღე ილეოდა, შენ დაბრუნდი, კედლებმა სითბო რომ გაგრძობინეს, გაიფანტე თამბაქოს ბოლთან ერთად და ჩვეულ სიმარტოვს მწყემსავდა ბოლთა, ითვლიდი ნაბიჯს, იხსომებდი, სიჩუმე საგნის რას გკარნახობდა, ან უბრალოდ, რას გაგონებდა, სულ უმნიშვნელოს და თითქოსდა არაფრის მაქნისს,

მაგრამ რატომღაც, გულთან ახლოს ან იქნებ გულში, რაც არსებობდა, უცაბედად გადასხვაფერდა, ჩვეულებრივად, მზე ფანჯრებზე ნათელს აფენდა და მოინდომე, საიდუმლო გაანდობინო — ერთფეროვნებით დაცხავებულ მონყენილობას, კაცების ხორხოცს და ცხოვრებას, როგორც დომინოს,

სადაც მიდებო, მიშენებო საჭირო ქვაზე ჰკიდია მუდამ და დღეებიც მექანიკურად ელოდებიან მოსალოდნელ დღეს პანიკურად, რომ ჩაიკარგონ და მიეზან ღამის კვადრატებს და არ უსმინო მეზობლის ქალს, იგივეობის ჭრელა-ჭულაში გამონყობილს და მორატრატეს

და სიტყვა სიტყვას მიაწებო, მიაბგერნეო და ჩაისუნთქო ერთდროულად ყველა სადამო, რომ ყველა ერთად შეკრიბო და ხმა შეახამო სტრიქონს დაცდენილ-ნამღერებულს და მიატოვო, რომ შენი ტექსტი ჩაინეროს მხოლოდ ჰაერში, როგორც ვიდაცის სუნთქვა, ფიქრი და უავტორო

სიტყვებს მიბმულმა დაიჯერო, რომ მოგისმენენ იმ ლინინით, რომ მიჩქმალა ამოხვლება, მაგრამ ჰაერში სათუთა ხაზის გავლება, და ღამით ბავშვის უმიზეზო ნამოტირება სამყაროს ხმაა უნებლიე და ის აგრძელებს გაბნეულ ხმების შეგროვებას და ციტირებას...

ანდერძი

მადლობელი ვარ ყოველი დღისთვის, ყოველ წუთისთვის, ყოველ წამისთვის, რაც ხისტი იყო, დარჩება ხისტი, ზოგს გულთან ერთად თურმე ცა მისდის.

მოვიკლავ წყურვილს, ნატვრით მწყურვალნი, ვინ მომწყურდება, ვინ? ვინ? უფრო რე? და ამ უდაბნოს მკერდი მხურვალე უცდის, რომ ორბი გადაუქროლებს,

რომ გააგრილოს ფრთების შხუილით სულშემხუთავი ველი საყორნე, ყარს ყოველივე, როგორც ტყუილი ლეშის ჯიჯგნისას ჩხავილს აყოვნებს.

უნდა ავიკრა გუდა-ნაბადი, მაგრამ რაც არ მაქვს, როგორ ავიკრავ და მივატოვო ეს სიაფანდი, დევის ქალმა რომ თვალი ჩამიკრა.

ან სადღა უნდა გადავიხვეწო, ვის ვემათხოვრო ანდა ვეხვეწო, ქლესად რომ ვიქცე და არამზადად და ნაბიჭვრულად რომ დავიხვეწო.

ამას აჯობებს, სადმე გაქრობა, განა ბრიყვულად ხელეხ დავიკრეფ, მე შენზე ვდარდობ, ახლა, აქ რომ ვარ და უპოვართა ბედი მაფიქრებს.

ბათურა

ჩემი ბათურა, მე რომ მყავდა, მახსოვს ძვირფასი მეგობარი, ის იყო უფრო ადამიანური, ვიდრე ძალღური ან იმდენად ძალღური რომ, ჩვენ ვერასდროს წარმოვიდგენდით მის თვალეში ჩამალულ სითბოს, მოსაფერებლად ამოღწევას რომ ახერხებდა.

ვიცვლიდი დღეებს, როგორც ბინას ნაქირავებს, როგორც ბინის მეპატრონეებს; ძალს ვნახულობდი დროგამომშვებით და მიმქონდა ქალაქის პარკში გახვეული ბუტერბროდები და ჩემს ულუფას სტუდენტურად ვუნაწილებდი.

ყოველდღიურად მაცილებდა ავტობუსის გაჩერებამდე და ვიდრე მძლოდი არ დაძრავდა, ისიც იცდიდა და ავტობუსს ადევნებული თვალს მაყოლებდა.

დრო, რომელიც მახსენდება, ისე სავსეა სიხარულით, რომ ვერ ვივინყებ

და ქუჩას რომ მივუყვები, ძალის ლანდიც უკან მომყვება მაშინდელი მდგმურის ხვედრით!

ჩვენი ყოველი დაშორება შეხვედრის წუთს ელოდებოდა, ვმაღავდი გულის აჩუყების კვალს და ისევე თვალის ფსკერზე ვძირავდი, რომელიც მერე თვალებიდან ამოსახლდა და ჩემ გულში დაიდო ბინა!

თვალს ახელს მინა

ნადი სამხრეთის უკაცრიელ გზით...

გადაიარე ცისქვეშეთი, რახანია ეს მთებიც კი წასასვლელად ემზადებიან, გამოუჩნდება წინამძღოლი მთების ქარავანს, მე წარსული ვარ და მომავალი, აქ მხოლოდ ჩემი ლანდია და სხვის სიზმარში ვცხოვრობ, ახლა მე აქ არა ვარ..

გადავივლი ცა და ყველა, ვინც ცისქვეშეთში შეყუჟულა, მერამდენედ გადაიარა, მოვლენ მკვდრები და გაიღვიძებენ და იხილავენ, რომ აქ ყველა გადაირია.

ადგილი, სადაც მინა თვალს ახელს და ნარცისი როცა ამოდის, ჩნდება მზერა, რომ სამყაროს თვალი შეავლოს, წუთით მინც, ვიდრე დაჭკნება..

შენ მზად ხარ, თვალსა და ხელს შუა სიშორედ იქცე, მაგრამ ვერ სძლიე მიზიდულობა და აქვე რჩები, მოჯადოებულ სიახლოვეში, სადაც ნაბიჯიც კი არ არის დაუმუხტავი და გული გიცემს ისე ძლიერად, რომ არც კი იცი, საგულეში თუ გულის-გულში?!

ამ ჰაერს შენი სუნთქვა შერჩა და მე წამომყვა, ვფიქრობდი შენზე, ვიხსენებდი საღამურ სახელს...

სიმღერად იქცა შენი წესი ჩემს სამყოფელში და დღე და ღამე მორიგეობით ეფინება ცხოვრების ფურცლებს.

დედა არ არის სახლში, მაგრამ იგი აქვეა, ის უხილავად აქ არის და გაბმულად ფიქრობს, აჩქარდა სუნთქვა, რიტმს აედევნა და მომწუსხველი ბიძგების სინქრონს!



ტარიელ ჭანტურია

ინვანტილური

— გთხოვთ, ამოიგდოთ თავიდან „ფული“, და დაიტოვოთ „სული“ და „გული“, „დედა“ და „მამა“, „ბებო“ და „ბაბუ“, „ცოლი“ და „მეილი“, „რძალი“ და „მული“, „დავითი“, „თამარ“, „შოთა“, „ილია“, „აკაკი“, „ვაჟა“, „ლემრთი“ და „ჯუჯული“, „ცრემლები“, „დარდი“, „ლიმილი“, „ლოცვა“, „და“ და „დისნული“, „ძმა“ და „ძმისნული“, „მამულიშვილი“, „მამულ-დედული“ — სიტყვა ქართული! ცა დიდებული!

რა გახდა მაინც, ბოლოს და ბოლოს — გადავიწყეთ ეს სიტყვა „ფული“! — იყოს დღეიდან მისი ხსენება დანაშაული! შეცდომა! ფოლი!

შემთხვევა ქორინეაბის სახლთან

— სადედოფლო კაბაში კვლავ რომ გამონყობილა — ასე გამონყობილი ხომ შენს გამოც ყოფილა! დადებული ფიცი ხომ ერთხელ უკვე გატეხა! საქორნილო თეფშიც ხომ ერთხელ უკვე გატეხა! ხომ მთავრეს მაშინაც ვარდით სავსე კალათა! ერთგული რომ იყავი, ხომ მიტომ გიღალატა!

— ღმერთმა მაინც და მაინც ამ დღეს რატომ შემასწრო! — შენ რას დარდობ! — ზოზმა რომ ჯოჯოხეთში შეგასწრო?

!?!

პოეტი და ლექსი — კვიცი გვარზე ხტის! ნიგნი — ჰარმონია ლექსისა და ყდის! ავტორს შოთას სიბრძნის სურნელება მდის! კითხულობ, და თითქო ფრთები ამომდის! — მოიარო უნდა საქართველო ფრენით! — რა თქმა უნდა, შედეგს აქვს უნარი ფრანის... რომ არ გავეუჩინო შენს ნიგნს — შედეგს — მტრები, არ ვახსენებ შენს გვარს! გფურცლავ! მენატრები...

სიგიჟემდე მიყვარს ჩემი შვილიშვილები. სულ არ მაინტერესებს, ვუყვარვარ მათ თუ არა! როცა სადმე წავლენ, სიგიჟემდე მენატრებიან ისინი! სულ არ მაინტერესებს, მათაც ვენატრები თუ არა! მინდა, უსათუოდ მოესწრონ ჩემს სიკვდილს! სულ არ მაინტერესებს, დამიტირებენ თუ არა! არც ის, ჩემს საფლავზე ივლიან თუ არა!

ნეტა მაცოდინა, მალე გათხოვდებიან თუ არა! თუ მათ ქორნილებს მოვესწარი, უსათუოდ დავლევ თითო ჭიქა აკრძალულ ღვინოს — სულ არ მაინტერესებს, მანყენს თუ არა!

(არ ვიცი — ის, რაც დავწერე, დავბეჭდო უნდა თუ არა!)

გიგანტური კუს აგავა

მიდის ტარიკოსაკენ დიდი, გიგანტური კუ! უმზერს გაკვირებული გიგანტურ კუს ტარიკო! ნეტა მართალი იყოს, და სიზმარი არ იყოს! სიზმარია? ცხადია? — დგას და ფიქრობს ტარიკო! ტელეფონიც არა აქვს, ბაბუსთან რომ დარეკოს! ისე, შეშინებულიც კია ცოტა ტარიკო! ნეტა, სად დაიკარგენ ვანიკო და ზურიკო! — ველარ შეაშინებდა მაშინ გიგანტური კუ!

...უცებ კედლის საათმა ძველებურად დარეკა! ჩამოთავდა სიზმარი! — გამოფხიზლდა ტარიკო! რა სიზმარი იყო — ეცინება ტარიკოს! — ნეტა ფხიზელს მანახა ერთხელ გიგანტური კუ!



როსტომ ჩხეიძე ლირიკის სამოციქულო ნიბნი

აჰმად შამლუ — გირლანდად

ერთი ჩირალდანი ხელში მაცეს
და ერთი ჩირალდანი — გულში...
აჰმად შამლუ

პინ მოთვლის, რამდენი გოდება და ცრემლი მოჰყოლია სიყვარულს, ყველა თავთავისი ტკივილითა თუ იერით აღბეჭდილი, თავთავისი განუმეორებელი ნიუანსობრივობით, და აჰმად შამლუც თავისას დაიჩივლებდა: ნეტავ სიყვარულს სამეტყველო ენა ჰქონოდაო...

ეს უნდა ყოფილიყო მისთვის გზა-ჭრილი გრძობათა ამ ქარბორიაში გასაგნებად, ხელმოსაჭიდად, თორემ ვინც გეტყვოდა: მიყვარხარო, — მხოლოდ ნაღვლიანი მემუსიკე თუ აღმოჩნდებოდა, თავისი სიმღერა რომ დაეკარგა.

ქალის თვალეში ღამის ათასი ტორი-ლა იფეთქებდა?

კაცს ყელში ათასი მდუმარე კანარის ჩიტი გაეჩრებოდა?

და როგორ არ გენატრა სიყვარული-სათვის სამეტყველო ენა.

ვინც გეტყვოდა: მიყვარხარო, — ღამის სევდიანი გული თუ იქნებოდა, თავის მანათობელ მთვარეს რომ დაეძებდა.

ათასი მომლოდინე მზე აბრდღვიალდე-ბოდა ქალის სიხარულში?

ათასი ცრემლიანი ვარსკვლავი აკი-აფდებოდა კაცის ნატვრაში?

ეჰ, აკლდა სიყვარულს თავისი სამეტყველო ენა, თორემ ეს ენა რომ ჰქონოდა...

ამ ნატვრაში ჩაინურებოდა აჰმად შამლუს „სატრფიალო“, მისი ათასფერადი ლირიკული ხილვანი გრძობის ამ სიღრმითაც რომ უნდა განმსჭვალულიყო თუ დანაღვლილიყო, ჩვენამდე კი ამ ხილვათა ჭაშნიკი ხელშესახებად უნდა მოეტანა გიორგი ლობჯანიძის და სრულფასოვნად განეცდებინა ქართულ ენაზე, თუ რატომ აღიარებულყო ეს პოეტი დიდებულ შემოქმედად ირანში.

ერთ მომხიბლავ გირლანდად ჩანსულა ეს ლირიკული რკალი ვეებერთელა ნიგნ-ში „თანამედროვე სპარსული პოეზია (XX-XXI სს.)“ („კავკასიური სახლი“, 2015), პოეზიისათვის თითქოსდა შეუფერებელ გამოცემაში, რადგანაც ამხელა პოეტური კრებულები — ორიგინალური თუ თარგმნილი — უმეტესწილად წამგებიათა მკითხველის აქქმა-წარმოდგენაში.

უმეტესწილად, მაგრამ ყოველთვის ხომ მაინც არა.

გამონაკლისი შემთხვევები სწორედაც ყველაზე კანთიელი დასტური აღმოჩნდება ხოლმე, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას ვრცელი ასპარეზი უფრო ესაჭიროება გადმოსაფრეჭვევად და საკუთარი ძალ-მოსილების აღსაბეჭდად საზოგადოებრივ მიმოქცევასა და ცნობიერებაში.

ამ მხრივ სანამეფო „თანამედროვე სპარსული პოეზია“ ეს კრებული.

თორემ გვახსოვს დიდტანიანი კრებულები, ცალკეული პოეტური თარგმანები დიდ შთაბეჭდილებასაც რომ ახდენს, მაგრამ ერთად თავმოყრილი ერთფეროვნების გარეშე ექვევით, და ეს მაშინაც, როდესაც ავტორები სტილისტიკით ხომ დაცილებიან ერთმანეთს, და ეპოქებითაც და ეროვნებითაც...

ეს საფრთხეც ისეთივე მარადიულია, როგორც პოეტური გარდასახვანი ახალ ენობრივ სივრცეში. მაგრამ მარადიულია მისი დაძლევის გზებიც, წინასწარვე რომ გავსებს შეუპოვრობითაც და იმედოვნებითაც, შენი ხალხი აზიარო ჭეშმარიტ პოეტურ მიღწევებს — მარტოა კი არ ამცნო, არამედ მთელი არსებით განაცდევინო, თითქოს ის ლირიკული მონაპოვარი იმთავითვე შენს მშობლიურ ენაზე შექმნილიყოს: ნიმა იუშიჯის, აჰმად შამლუს, მეჰმადი ახავან-სალესის, სოჰრაბ სეფეჰრის, ფორუყ ფარ-ოხზადის, ალი შარიათის, სიმინ ბეჰბაჰა-

ნის, ბიჟან ჯალალის, ნადერ ნადერფურის, ჰამიდ მოსადეყის, აჰმად რეზა აჰმადის, აბას ქიაროსთამის, ფირაიე იაყმაის, მაფ-თუნ ამინის, ჩისტა იასრების, რასულ იუ-ნანის, ვაჰმენი არმენის, ფუნე ნედაისა თუ ალი მოჰამადზადესი.

ამჯერად ასეთ მეგზურობას გიორგი ლობჯანიძე ითავებდა.

პოეზიის ამხელა ტომის გამოცემა დიდი გაბედულებაა მთარგმნელისაგან?

ის კი არა, სულაც რისკი? თუმც... რას ამბობს ფრიდონი?

ძალიც შემწევს ქადილისაო... და თუ შეგწევს ძალი, რა ბედენაა სტერეოტიპული წარმოდგენები დიდ და პატარა პოეტურ კრებულებზე!.. ვერ გაცამტყვერდება ეს წარმოდგენები ჭეშმარიტი ოსტატობის წინაშე თუ რა!..

მაინც რუსთველურ სამყაროში აღიქვამს გიორგი ლობჯანიძეს, თუნდა ალი მოჰამადზადე, სპარსული პოეზიის ახალი ტალღის წარმომადგენელი, შინისაკენ გზას რომ დაჰკარგავდა, მაგრამ:

შუა გზაზე მხოლოდ რუსთველის ხმა შემომესმა, მომცა შენი მისამართი და დამარიგა: გიორგი არის ჩემი შვილი კეთილშობილი, ვისი ლექსითაც თერებინ თბილისის სავენახენი, ვინც სალბუნს ადებს გადატეხილ ბალახის ღეროს, რომ მინდორმა არ მოისაკლისოს ერთი თავისიანი.

ეს დიტირამბული სტრიქონები უპირველესად მაინც კულტურათა შორის გადაძახილია, ბუნებრივი და თავისთავადი, და ისეთივე აუცილებელი, როგორც სალბუნის დადება გადატეხილ ბალახის ღეროზე.

ამჯერად ასეთ მეგზურობას გიორგი ლობჯანიძე ითავებდაო...

იგი ჩვეული პროფესიონალიზმითაც მიმოიხილავდა XX საუკუნის ირანული პოეტური აზრის მდინარეებს შესავლად წამდარებულ ნარკვევებში „თანამედროვე სპარსული პოეზია“ — ინდივიდუალიზმის ახალი ტრადიცია, დასავლურ გავლენაზე მეტად სპარსულ ტრადიციულ ლექსნ-ყობას რომ დაიბეჯითებდა მხატვრულ-სტილისტურ სიახლეთა, სულაც გარდამტეხ მოვლენათა სათავედ; დაურთავდა განმარტებებსა და პოეტთა შესახებ ცნობებს და... ამ გამორჩეულ ნამუშავეს, ოცი წლის განმავლობაში დაუღალავი გარჯით მოპოვებულს, მიუძღვნა... ბორენა ჯაჭვლიანის, ესმა ონიანის, ნათელა ქუთელიას, იდა თვარაძისა და ყველა იმ ადამიანის ხსოვნას:

— რომელთაც თავისი შვილები არ ჰყოლიათ, თვითონ იყვნენ სამყაროს შვილები და მთელი სამყარო შვილივით უყვარდათ.

ეს ოცწლიანი ძიებანი — ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესი — თანამედროვე ირანული ლექსის გადმოსატანად ქართული ენის სტიქიაში გიორგი ლობჯანიძეს უნებლიეთ შეაქმნევინებდა ზოგიერთი ნიმუშის სხვადასხვა ვერსიასაც. უნებლიეთ იმიტომ, რომ განა პირველი თარგმანი აღარ დააკმაყოფილებდა, არამედ... აღარ ახსოვდა, უკვე მოესინჯა თუ არა და... ისე მოჰკიდებდა ხელს კიდეც ერთხელ თუნდა სოჰრაბ სეფეჰრის რამდენიმე ლექსს, თითქოს ახლავდა ცდილობდა მათ გაქართულებას.

და ახლა კრებულის შედგენისას რომელიმე მინაჩქება უპირატესობას? არა, დაინტერესდებოდა პირწინდად



პროფესიული ნიუანსის გამოვლენით და... გვერდი-გვერდ მოათავსებდა სხვადასხვა ვერსიას, რათა მკითხველისათვის კარგი საშუალება მიეცა დაფიქრებულიყო, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ერთი და იგივე ტექსტი ერთი და იმავე მთარგმნელის ხელშიც კი და რამხელა მნიშვნელობას იძენს თუნდა მთარგმნელის მყისიერი გუნება-განწყობა შემოქმედებითი პროცესისას.

ნიმა იუშიჯი არამარტო ქრონოლოგიურად მოექცეოდა სათავეში ამ კრებულს, არამედ იმ დიდი ლიტერატურულ-ესთეტიკური ღვაწლის წყალობით, მას რომ უნდა გაეჭრა ახალი სპარსული პოეზიის კალაპოტი, რომლის განტოტება-დაც უნდა მოგველენოდნენ მერმინდელი ეპოქის ლირიკოსები:

— ზოგი ამ კალაპოტის მძლავრ განშტოებად იქცა, ზოგი შედარებით უმნიშვნელო ჭრილად, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ახალი ლექსი უკვე მთელი თანამედროვე ეპოქის ძირითადი მიმართულება გახდა და ის პოეტებიც, რომლებიც ამ მიმართულების მიუხედავად, ცდილობდნენ ჯიუტად შეენარჩუნებინათ კავშირი ძველ პოეზიასთან, პოეზიის ტრადიციულ ფორმებთან, მაინც უკვე სხვანაირად წერდნენ იმ ტრადიციული საზომების ჩარჩოებშიც კი, რადგან ნიმა იუშიჯისა და მისი გამოცდილების უგულვებლყოფას უკვე ვეღარაფრით ვეღარ ახერხებდნენ.

როგორც ჩანს, ნიმა იუშიჯს სპარსული ლექსის განახლებაში იგივე როლი უნდა შეესრულებინა, რაც უოლტ უიტმენს — ინგლისურენოვანი პოეზიისა, თუმც მისი გავლენა გაცილებით მრავლისმომცველი აღმოჩნდებოდა და მთელი დასავლური ლირიკის განვითარების გზას განსაზღვრავდა. და როდესაც კრიტიკოსები თუ მკვლევარები მსჯელობენ სპარსულ პოეზიაში ევროპულ-ამერიკულ ნაკადის შეჭრაზე, უშუალოდ თუ მოიარებით სწორედ უოლტ უიტმენის მიერ გარდაქმნილ პოეტურ სტრუქტურას გულისხმობენ.

ხოლო ნიმა იუშიჯს აჰმად შამლუ რომ მოსდევს, ისიც არამარტო ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გამოისობით, არამედ იმ მიღწევის წყალობით, სპარსული ლექსის განვითარებაზე თავისი წინამორბედის შემდეგ ყველაზე დიდ ზემოქმედებას სწორედ იგი რომ იქონიებდა.

სრულფასოვნად განეცდევინებინა ქართულ ენაზე, რატომ აღიარებულყო ეს პოეტი დიდებულ შემოქმედად ირანში... აჰმად შამლუს პირველი კრებული უსახელოდ უნდა ჩაკარგულიყო ლიტერატურის ნაცრისფერ მდინარეებში და მოგვიანებით ავტორს სავესებით ბუნებრივად უნდა მიეჩნია მკითხველის გულცივობა მისი დებიუტის მიმართ: ეს ფრამენტები დასანავავი უფრო იყო, ანკი რა მოეთხოვება იმგვარ ცდებს, ბავშვის პირველი ნაბიჯებისაგან რომ არ განსხვავდებოდა, სიარული კი სწავდა, მაგრამ ძალაუნებურად ეკედელს ეჭიდება, ხელი უკანკალებს, სუსტია, დაბნეული და აცაბაცა მიქანჯალებსო.

მაგრამ, აი, 1957 წელს უნდა გამოჩენილიყო „სუფთა ჰაერი“ და... ეს სახელწოდება სიმბოლური აღმოჩნდებოდა სპარსული ლიტერატურული პროცესის-

სათვის — როგორც მართლაც სუფთა ჰაერის შემოჭრა დახუთულ სივრცეში.

მეტაფორულად ასეც გამოითქმის კრებულის მრავალფეროვნება, თემატური სიახლე და ახალი აზრობრივი აქცენტები, მისი გამორჩეულობის საიდუმლოს ძიებისას კი შამს ლანგარუდი „ახალი სპარსული პოეზიის ისტორიულ ანალიზში“ (მთარგმნელი ამ თემაზე შექმნილ ნაშრომთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად რომ მოიხსენიებს) ამგვარ დაკვირვებას გამოთქვამდა: შამლუ მიხვდა, რომ სიტყვების ძველ მუსიკას შეეძლო თავისი სული მისი შინაარსისათვის შთაებერა და არა ყოველდღიური სამეტყველო ენის მუსიკასო.

ამის წყალობით შეიქმნებოდა ლექსები, რომელთა ფორმაც და შინაარსიც ერთმანეთთან იქნებოდა შეთანხმებული და სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავდა მისი პოეტური მონაპოვრის მიზიდველობას.

თავისთავად ბევრისმთქმელია ამ რანგის ლექსების შექმნა, მაგრამ მკვლევარი ვერ იკმარებდა ამ თავისებურების სათავეს ამოცნობას, რადგანაც შამლუს ლირიკა კიდევ იმარხავდა რალაც ისეთ საიდუმლოს, გადამწყვეტი სწორედ ის რომ უნდა ყოფილიყო ამ პოეზიის შთამბეჭდაობის მთავარმიზეზის ამოსაცნობად.

ამ მხრივ მას მართლაც მცირერიცხოვან პოეტთა შორის თუ დავიგულებდით, მათი, რომლებიც ყველა თაობისათვის წერდნენ.

— დაბადებიდანვე შეიძლება ბავშვს ჩურჩულით წაუკითხო შამლუს „წვიმა მოდის ნკაპანკუპით“, ყმანელობისას ადამიანი მისმა „სამიჯნურო ციკლმა“ გაიტაცოს, ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობისას რეკლამური ლექსების ნაკადმა, სიბერის ზღურბლთან კი მისმა მარადიულმა ლექსმა „ზღურბლთან“.

აკაკი განერელია ამ ყაიდის შემოქმედთა მკითხველის ინტიმურ მეგობრებად მოიხსენიებდა და ირწმუნებოდა, რომ შესაძლოა დიდი მწერალი ყოფილიყავი, მაგრამ მკითხველის ინტიმური მეგობრობის ღირსი ვერ გამხდარიყავი.

სიასაც ჩამოწერდა ამ მხრივაც გამორჩეულ შემოქმედთა, და მათგან კიდევ გამოაცალკევებდა „სულიკოს“ ავტორს:

— ჩვენ არ ვიცით ქართულ მწერლობაში მორე პოეტი, აკაკი წერეთლის გარდა, რომელიც მუდმივ ინტიმურ მეგობრად თან ახლდეს მკითხველს მთელი ცხოვრების მანძილზე. ამ მხრივ აკაკი წერეთელი უპირველესი მგოსანია ქართულ პოეზიაში.

„თანამედროვე სპარსული პოეზია“ გამოცემას რომ მოსწრებოდა, აკაკი განერელია აჰმად შამლუსაც უთუოდ მიუჩენდა ადგილს თავის სიაში, გიორგი ლობჯანიძეს კი არაერთხელ სთხოვდა: უკეთ გაგვაცანი ეს მწერალი, ჯერ მარტო ამ თავისებურების გამოა ღირსი, რაც შეიძლება ღრმად შევეთვისოთ მისი მხატვრული ნააზრები და ნულა გადასდებ მის საბოლოო და შესაფერის დამკვიდრებას ქართულ ენობრივ სივრცეში.

ეამაყებოდა, წილს რომ დაიდებდა ხოლმე დიდ და მნიშვნელოვან მხატვრულ ქმნილებათა გაქართულების პროცესში — შთამაგონებლად თუ შემგულიანებლად, რაკილა ცოცხალი არსებასავით განიცდიდა ახალი ნიგნის გამოჩენას, და თვისტომად და თვისიანად დაიგულვებდა ხოლმე მანამდე მისთვის უცნობ ავტორებს, უეცრად რომ შეუძრავდნენ ცნობიერებას და სულსაც აღარ მოათქმევინებდნენ.

მითუმეტეს, შამლუ იმ მცირერიცხოვან შემოქმედთა შორისაცაა, პიროვნული მომხიბვლელობითაც რომ გამოირჩეოდნენ და მათი ადამიანური თვისებები ჰარმონიულად ერწყმედა მათსავე მხატვრულ მონაპოვარს, ამაღლებული ფიქრი ძალდაუტანებლად რომ გარდაისახებოდა ლირიკულ სტრიქონებად — უღრმესი განცდებით, დიდი ტკივილებით გაჯერებულად, ჰამლეტური მიმოწყდომაც რომ სჩვეოდა, შიგნიდან შეეგრძნობდა დანიე უფლისწულის ტრაგიკულ ხვედრს და ყოფნა-არყოფნის ტოყმანის მიღმა ამიტომაც მიაკვლევდა საგულისხმო შტრიხსა თუ დეტალს: ეს საკითხავი კი არა, ცდუნებააო.

რა გასაკვირია, ჰამლეტური განცდანი მისთვის მარტოდენ ლიტერატურული რემინისცენციები კი არა ყოფილიყო,



არამედ სწორედაც შიგნიდან განცდილი იმ პიროვნების მიერ, რომელიც — მიუხედავად განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობისა — შიგნიდან განიცდიდა იესო ქრისტეს ჯვარცმის მისტიკას („ნაზარეტელის სიკვდილი“), თითქოს თვითონაც მონაწილე ყოფილიყო ჯვარის ტვირთისა გოლგოთის მთაზე, სტრიქონსა და სტრიქონს შორის არამცთუ გამოსჭვივის, არამედ მძლავრად რომ მოჩქევს ეს განწყობილება, მზისა და მთვარის ერთდროული ამოსვლით მოშარავანდებული.

მარიამ ღვთისმშობლისა და იესოს სახელებანი ამაღლებულად რომ წარმოდგება ყურანსა და საერთოდ მუსლიმურ ლიტერატურაში, გიორგი ლობჯანიძე მონოგრაფიულადაც შეისწავლიდა და გაიაზრებდა (დისერტაციად სწორედ ამ თემას შეარჩევდა: „იესო და მარიამი ყურანში“), და მისი კვლევა-ძიება ერთხელ კიდევ დაადასტურებდა მუჰამედის მოძღვრების მიმდევართა რწმენა-შეხედულებას: იესო აღიარებულიყო ერთ უდიდეს მოციქულად ღვთისა დედამიწაზე, მაგრამ არაფრისადიდებოდა — ძედ მისად.

ამიტომაც მის ჯვარცმას შეუძლებელია მოჰყოლოდა აღდგომა და ზეცად ამაღლება მამის გვერდით!..

აჰმად შამლუ მკვეთრად ვერ დაუპირისპირდებოდა ამ რწმენა-წარმოდგენას, მაგრამ შეეცდებოდა თვითონაც გამოხვეულიყო ჯვარის მტვირთვლის სამოსელში და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყოლოდა ამ ტრაგიკულ გზას გოლგოთისაკენ, რათა გადაეხედა ჯვარცმის მიღმა და ეხილა სასწაული.

ნამდვილ პოეტებს სწვევიათ ამგვარი გარღვევანი, ბედისწერასაც რომ არად აგდებენ და მარადისობის კარიბჭეში შეღწევას უსაზღვრო თავისუფლების შეგრძნებით ლამობენ.

და ჰამლეტის საკითხსა თუ საცდურს რომ უბრუნდებოდა, ძალდაუტანებლად მოცურავდა მის ხილვებში... გეთსიმანიის ბალიც, თავისთავად გადაეხმოდა ერთმანეთს ეპოქები და ჭეშმარიტება უნდა გამოცხადებოდა მოუსვენარ, მძრწოლავ აჩრდილად, რათა ქვეყნის სიმყარაღეს, ნაყალბევი სცენაზე მხრწოლავი პატრუქივით, აენვა მისთვის ნესტოები, და რა საკითხავი და რომელი საკითხავი, მხოლოდ-და-მხოლოდ ცდუნებად გათვალსაზრისოებულიყო ყოფნა-არყოფნის ტკივილი, დილემა, სასწაული...

1953 წლის 19 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალებას პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრება უნდა მოჰყოლოდა ირანში, პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრებას — აჰმად შამლუს პოეტური კრებულის დანვა სტამბაშივე, პოლიციის აგენტები არც სახლს რომ არ დაუტოვებდნენ გაუჩხრიკავს და ჩამოართმევდნენ ორიგინალურ მოთხრობებსაც და მის მიერ თარგმნილ თხზულებებსაც (რიგობდ მორისის „ოქროს ტალახში“ და მორ იოკის „გულქვა კაცის შეილები“), შემდგომ ვეღარც ვერავენ რომ მოიძიებდა... და თუმცე ჩხრეკისას მწერალს ბედი გაუღიმებდა და მოახერხებდა პოლიციელთა ხელიდან დასხლტომას, მაგრამ ბედის ეს ღიმილი იმდენ ხანსაც არ გასტანდა, სამშვიდობოზე დაეგულებინა თავი — სამ დღეზე მეტს ვერ განვდებოდა!.. და ერთწლიან პატიმრობას გამოჰკრავდა ხელს.

მის ბიოგრაფიულ ცნობებში საგანგებოდ აღინიშნება, ტუსალობის ვადასაც ნაყოფიერად რომ გამოიყენებდა მწერალი და შეადგენდა „შაჰ-ნამეს“ კომენტარებსაც და „სპარსული ენის გრამატიკის“ პირველ, სამუშაო ვარიანტსაც.

და შემთხვევითი სულაც არა ჩანს ენათმეცნიერული ინტერესების გამოვლენა იმ კაცისაგან, რომელსაც მოგვიანებით მეუღლესთან, აიდა სარქისიანთან (მე შენი შემოხედვიდან ვინყებო, — ერთ ლექსში ვისაც ასე მიმართავდა. — და გარიჟრაჟი შენი ხელებით იღვიძებო, — ამასაც დაურთავდა და კიდევ იმას: შენი აქ ყოფნა სამოთხეა, ჯოჯოხეთიდან გაქცევას რომ ამართლებს. ზღვა, რომელიც თავის თავში მიძრავს, რომ ყველა ცოდა და ტყუილი ჩამოვირეცხო, ერთად უნდა გამოეცარამდენიმეტომიანი „ქუჩის ნიგინი“ — სპარსული სამეცნიერო ენის მთელი საგანძურის შემკრები, ირანული ხალხური ყოფისა

და სპარსული ენის „მდაბიო“ პლასტის ნამდვილი ენციკლოპედია.

აჰმად შამლუს მოქალაქეობრივ და პიროვნულ ღირსებებს რომ ითვალისწინებდა, და მის დრამატულ ცხოვრებას, ამიტომაც გადაწყვეტდა გიორგი ლობჯანიძე — მასთან პირადი შეხვედრისა და საუბრისას 1998 წელს — გაეცნო ირანელი მწერლისათვის მისი ქართველი თანამოქალაქის ოთარ ჩხეიძის რომანიდან „ბორიყა“ ცალკეულ ფრაგმენტთა თარგმანი, საგანგებოდ რომ შეესრულებინა ამ შეხვედრისათვის.

ისედაც ვარაუდობდა, ძალიან დაინტერესდებოდა.

თუმცე ეს უკვე ვეღარ წარმოედგინა, ასერიგად თუ აღტაცდებოდა ირანელი პოეტი.

და სიტყვა-სიტყვით ჩაებჭედებოდა გულსა და გონებაში აჰმად შამლუს ის ლაკონიური და ზუსტი, ღრმა და შთამბეჭდავი შეფასება:

— მე უკვე ვხვდები, როგორ გადაურჩით საბჭოთა ურჩხულს. იმიტომ, რომ თქვენ გყოლიათ ოთარ ჩხეიძე.

და ეს დასკვნა მხოლოდ ერთი რომანის რამდენიმე ნაწყვეტის მიხედვით!..

მაგრამ ესეც სასუსებოთ კმაროდა ამ შეფასების გამოსათქმელად — ალლო უბიძგებდა, ფრაგმენტთა მხატვრული ძალმოსილება მიხვედრებდა, სულიერ გზათა გადაკვეთა აგრძნობინებდა.

აჰკარაა, ირანელი მწერალი ახერხებს ქართველი თანამოქალაქის სტილისტიკაში ჩაფლვის და შიგნიდან დაინახოს და განიცადოს ის, რაც ხელშესახებად აირეკლავს ოთარ ჩხეიძის მხატვრული სამყაროს თავისებურებებს.

რა გასაკვირია, ეს რომ შეიძლო.

აკი შიგნიდან დაინახავდა „ჰამლეტის“ სულს.

აკი შიგნიდან დაინახავდა ოთხთავის სულსაც.

„ჰამლეტის“ სული...
ოთხთავის სული...

ამ გზაზე ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო — ძე კაცისა“ უმეგზურება?

ვინ რას გიმეგზურებს, თუკი შენი ძალღონეც არ მოგდევს — ტალახტა და ერუდიციასთან ერთად გადახსნილი გულიც სამყაროს წინაშე და უკიდურესად ფართო თვალსაწიერიც, თვით სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზეც ლაღად და თამამ-თამამით რომ გივლია.

— მინახავს სიკვდილი, — კიდევ ირწმუნება „ლამის ლექსთა“ ციკლის მე-9 ნიმუში, — მწუხარე შეხვედრისას ხელითაც შევხებივარ ფრთხილად.

ეცხოვრა სიკვდილი, დიახაც ეცხოვრა სიკვდილი — მწუხარე, მწუხარე ჰანგითა და ძალიან ხანგრძლივი, ძალიან დამქანცველი სიცოცხლით.

და ემღერა სიცოცხლეზე უფრო ხმაურისანი სიკვდილი („მე სიკვდილი...“).

ნიავის გადასასვლელზე სხვაგვარი სიმღერა წამოეწყო, წვიმის გადასასვლელზე სხვაგვარი და ჩრდილის გადასასვლელზე — კიდევ სხვაგვარი.

სხვაგვარი — „მის“ გადასასვლელზეც. იმღერებდა ფოთოლს — ხეობაზე უფრო მწვანეს, იმღერებდა ტალღას — ადამიანზე უფრო მთრთოლვარეს, იმღერებდა სიყვარულს — სიკვდილზე უფრო ბუკნალარისანს.

ტყეზე უფრო ამწვანებულ ფოთოლს იმღერებდა, იმღერებდა ზღვის გულზე უფრო აძვერებულ ტალღას.

და მერეა, სიცოცხლეზე უფრო ხმაურისანი სიკვდილსაც რომ დაიმღერებდა!..

შერწყმის აუცილებლობას მარტოდენ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის კი არა ხედავდა, არამედ დაეძებდა ჰარმონიულ შეზავებათა ყოველგვარ გამოვლენებას, მოულოდნელსაც და პარადოქსულსაც.

ამიტომაც მის ხილვაში მდუმარე უსაზღვროების პირისპირ პატარა ფოთლის მოძრაობა შესაძლოა პუკელას დაემგვანოს, დრო აჩქარებული ნაბიჯით წამოდგეს და დაბნეულობაში დაიფანტოს, ხმელ ნალკოტში შერწყმის სასწაულმა გაზაფხული მოიყვანოს, წყურვილის დედანყარო დაცარიელებულ წყლის ავზს დაემსგავსოს და კოცნის შეგირდმა ბელურებმა სიხარული ბალის გამმარ ტოტებზე ააცეკონ.

და კვლავ უნდა შემოიჭრას სახარები-

სეული ხილვანი, სულაც ექსტაზით განცდილი და ამაღლებული, მანამდელი გამჭვირვალე მინიშნებანი აქ ხელშესახებად რომ უნდა გადადნეს სტრიქონებად, სამყაროს გარდაქმნის წუთების უშუალო გამოძახილად:

ის ხომ მე ვარ,
ვინც ხეტიალები
ამ გოლგოთის მთის წვერზე ავიტანე.

ის ხომ მე ვარ,
ვინც ჯვრის ლურსმნები
ხელისგულებიდან
კბილებით ამოვიძრე.

ის ხომ მე ვარ,
ვინც დაბრეცილ ჯვარზე
ყვირილისხელა სიმალლით შევაბიჯე.
რელიგიური მრწამსი რელიგიურ მრწამსად, მაგრამ იესო ქრისტეს პიროვნებით მოხიბვლა და აღტაცება როგორ დაეფარა წარმოსახვის სრბოლისას, ხილვათა მრავალფერადოვნებისას, ექსტაზური ალტკინებისას...

— ჩემო კაპიტანოო, — ამ ლაღადისად რომ დაიღვრებოდა უოლტ უიტმენი, აბრაამ ლინკოლნის აჩრდილი ამოსახოდა თვალწინ, ის ენამა სიმბოლოდ და ამ ქრილში მიმოავლებდა მზერას თავისი ქვეყნის წარსულსაც და მომავალსაც.

და: ჩემო კაპიტანოო, — აჰმად შამლუს ლექსშიც („მგზავრობა“) რომ იღვებდა ეს განწყობილება, ბიბლიური ნოეს აჩრდილს გახედავდა, ყურანის სიუჟეტურ ქარგაში გადმოსახლებულს, მას იწამებდა სიმბოლოდ და ამ ქრილში მიმოავლებდა მზერას თავისი ქვეყნის წარსულსაც და მომავალსაც.

და ენუკვოდა: რომელ კუნძულზეა ის უსაფრთხო ტბორი, რომლის გზაც შვიდ უთუმიცაო ზღვას გადასერავსო.

იქ ხომ არა, სადაც ამას თავი დაეკარგა, რათა ნოეს ნაფეხურების თაყვანსაცემად დაეხარა თავი და ძველი რჯულისათვის, საუკუნეთა წინათ მუმიად რომ ექციათ, შელოცვის მსგავსი დუღუნით შთაებერა სული?!.

თავის სამოციქულო წიგნს ქმნიდა აჰმად შამლუ — ლირიკის ფესვზე ამოზრდილსა და განფენილს, წიგნს სიყვარულისა და სილაშხისა, რათა მინის ნიაღს მუცლად არ

ელო ბოღმის თესლისაგან, თორემ დაღლილი მოციქულები მონამეთა მოდგმას შეუერთდებოდნენ, და პოეტებიც მონამეთა მოდგმას შეუერთდებოდნენ, როგორც ლაღადმფრენი მტრედები, ყმანვილთა ხელით რომ იკვლებიან ბატონების სუფრათა გასაფერადებლად... და გამოეთხოვება გალობა და სილაშხაზე დედამიწას, რომელიც ადამიანის კუთვნილება აღარ იქნება, სამარეს დაემსგავსება და მოთქმას და ადამიანი უკუნითი უკუნისამდე ფეხდაბორკილი დარჩება მონობის ციხეში.

კიდევ კარგი, რომ იქმნება ლირიკოსთა სამოციქულო წიგნები, რათა ეს კომმარული, ტრაგიკული ხილვა არ აგვიხდეს. და ამ ნაკადში ისე კანთიელად ბრწყინავს აჰმად შამლუს სამოციქულო წიგნიც მარადიული რწმენის ტაძრად, სადაც მლოცველიც, სალოცავიც, ლოცვაც და ისიც, ვიზედაც ლოცულობენ, ერთნაირად ჩანან: კაცი თაყვანს სცემს უფალს ზუსტად ისე, ვით უფალი — კაცს.

და აღარ გიკვირს მის ბიოგრაფიულ მონახაზს მთარგმნელი ამ სურვილით რომ აბოლოვებს:

— აჰმად შამლუს პოეზიის სრულად თარგმნა და გამომზეურება მომავლის გადაუდებელ საქმედ გვესახება.

საკუთარ თავს თუ აგულიანებს ამ გაბედული განზრახვის ხორცშესახსმელად. ანკი სხვაგვარად როგორ იქნება, ჩვენი ხალხური სიბრძნისა არ იყოს: ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასაო...

ქალის თვლებში ღამის ათასმა ტორილამ შეიძლება იფეთქოს.

ათასი მომლოდინე მზე აბრდღვი-აღდეს მის სიხარულში.

კაცს ყელში ათასი მდუმარე კანარის ჩიტი შეიძლება გაეჩაროს.

ათასი ცრემლიანი ვარსკვლავი აკი-აფდეს მის ნატვარში.

და დაეძებდეს ნაღვლიანი მემუსიკე თავის ნაღვლიან სიმღერას, ღამის სევდიანი გული კი თავის მანათობელ მთვარეს დაეძებდეს.

ეჰ, ნეტა სიყვარულს... ნეტა სიყვარულს... ნეტა სიყვარულს თავისი სამეტყველო ენა ჰქონოდა...





მარტო ყოფნა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა რამე ღირებულს ქმნი. რა სისულელეა და გულისამრევი „რამე ღირებულის შექმნა“ რომ უნდა დაისახო მიზნად და თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ ვერაფერს გააკეთებ, უიღბლო, საცოდავი ადამიანის სტატუსი გენიჭება.

ვიგრძენი, როგორ ამეჩქავა თავის კანი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვნერვიულობდი. ყოველთვის, როცა ვნერვიულობ, თავს ვიფხან. საქმიანად და ჩაფიქრებით კი არა, ქეციანი ძალღვივით, ტილიანი ბავშვივით და მუნიანი კაცივით. არცერთი ვარ, მაგრამ არც ერთს ვფლობივარ.

როცა ვინმეს შევყვარებულან შეხმატკბილებულად მოლულუნეს დაინახავენ, ამბობენ, როგორ გაუმართლაო. ნათელია, სიტყვა „გამართლების“ ნამდვილი მნიშვნელობა ფართო მასებისთვის უცნობი ან დამახინჯებულია. გაუმართლა იმას, ვინც ჰოლივუდური გარეგნობით ან სულაც ჰოლივუდულ მსახიობად დაიბადა. ყველა ლამაზ და სიმპატიურ ადამიანს საშინლად გაუმართლა, მათ ჯექ-პოტი მოხსნეს, კარგი გარეგნობა აქვთ, განძი, რომელიც ადამიანებში ყველაზე ძვირად ფასობს, ყველაზე მოთხოვნადია, ყველაზე ხშირად ექცევა ყურადღების ცენტრში.

მე არ გამომართლა, ამიტომ ნაშების დასაკერად ინტელექტუალური გზების ძიება მინევს, რაც გაცილებით რთული, ხანგრძლივი და დამლელი პროცესია. გარეგნული უთანასობა უსამართლობის ყველაზე ნათელი მაგალითი და წყაროა. ერთი სიმპატიური მეგობარი მყავს, რომლის ყველაზე დიდი ღირსება ლამაზი ცხვირ-პირია, სხვა ვერაფრით დაიკვებინს. მისი შინაგანი სამყარო ისევე ღარიბია, როგორც იყო, მაგრამ კონკურენციას ვერასოდეს ვუნენ. მის გვერდით თავს ისე ვგრძობ, როგორც რობინი ბეტმენტან. არადა, გონებრივი მონაცემების გათვალისწინებით ბეტმენტანზე მე უფრო შევფერვებ. მაგრამ თავცარიელი და მკერდსავსე გოგონები, რომლებმაც, დიდი ხანია, უარი თქვეს საკუთარ გონებაზე და უხვად ბოძებულ ფიზიონომიურ სიკეთეების ექსპლაცაციას მიჰყვეს ხელი, ყოველთვის მას ანიჭებენ უპირატესობას. რა გინდა რომ ქნა?! უფრო სწორედ, შეგიძლია, ბევრი რამე ქნა: დაიბოლოო ადამიანებზე, სამყაროზე, ღმერთზე; წარმოადგინო, რა მოხდებოდა და რას იზამდი ბრედ პიტად ან ჯონი დეპად რომ დაბადებულიყავი, თავი გაიმხნევო, რომ შენზე მახინჯებიც არსებობენ, მაგრამ საბოლოოდ ფაქტი ფაქტად დარჩება — არ გამომართლა.

ხომ არსებობს თეორიები რაღაცნაირ შარმზე, ეშხსა და სექსუალურობაზე, რომლებიც შეიძლება უშრომამაკაცებსაც ჰქონდეთ და ქალებისათვის მაინც უსაშველოდ მიმოზიდველები იყვნენ? მე არც ეგ რაღაცები მაქვს. შემძლია ბევრი ვინუნუნო, ვცადო კიდევ ამ ნაკლებს გამოსწორება, თავი ვიმშვიდო, რომ ყველა გზა გარეგნობისკენ არ მიდის, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმედგაცრუებული და უსამართლობის საკუთარ თავზე გამოცდით გულგატეხილი დავრჩები, ეს გარდაუვალია. რატომ? იმიტომ, რომ ყველა გზა ზუსტადაც რომ გარეგნობისკენ მიდის. კაცობრიობის მთავარი პრობლემაც სწორედ ესაა — მახინჯი და ლამაზი ადამიანები. მახინჯებს უნდათ ლამაზები იყვნენ, ლამაზებს უნდათ ლამაზებთან იყვნენ.

თავის კანი კიდევ უფრო ამეჩქავა, შეიძლება გავმელოდი, თმა საგრძობლად შემითხვლდა. რა ბედნიერება იქნება, კიდევ ერთ ანტიფეკპოტს მოვხსნი.

აი, ასეთი დღე მაქვს დღეს. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე ასე ვარ: დილით მანამდე ვდგავარ სარკის წინ გაუზრეველად, სანამ რამე ნაკლს, პრობლემას არ ვიპოვი, და მერე მთელ დღეს მის შესწავლას და მასში ნიაღვრებს ვუთმობ, ყველაფერს ამ პრობლემას ვუკავშირებ, ვაბრალებ, ვუსადაგებ. ყველა მხრიდან ვიკვლე და სანამ ბოლომდე არ ამოვწურავ, სანამ თავს არ მომაბებრებს და მასზე ფიქრი გულს არ ამირევს, თავს არ ვანებებ (მაგალითისთვის, გუშინ სილაბაკე ვაგამათრახე, გუშინწინ უნიჭობა, იმის წინ სიმსუქნე და ასე უსასრულოდ). ამ დილით გადავწყვიტე, ჩემს გარეგნობაზე გამემახვილებინა ყურადღება. თემა მოცულობითაა, რამაც თავიდან ჩამაფიქრა — ხომ არ აჯობებდა, რამდენიმე ნაწილად დამეყო და რამდენიმევე დღეზე გადაემენილებინა?!

აი, მაგალითად, იქნებ უფრო ჭკვიანური იქნებოდა, რომ პირველი, ანუ დღევანდელი დღე ჩემი უსიმპატიო ცხვირისთვის დამემთმო; ცხვირი ხომ გარეგნობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ათასნაირი თეორიის მოფიქრებაა შესაძლებელი, ათასნაირი მოვლენა შეიძლება დაუკავშირო იმ ფაქტს, რომ მახინჯი ცხვირი გაქვს. ასე რომ მოვეცეულიყავი, ხვალ დილით ალბათ ახალ სამიზნედ ჩემს კვერცხისებრ თავს ავირჩევდი, ანუ, ზოგადად — მახინჯი ფორმის თავებს; მაზევ — თხელ ტუჩებს მივადგებოდი, მერე კიდევ ვიპოვიდი რამები, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დიდიან ენერჯის უჩვეულად მოზრავდა ვგრძობ, გადავწყვიტე, გამოწვევას არ შევქმნივოდი, არამედ შევებოდი და ასეც მოვიქეცი.

შეიძლება დიდი ნინდახედულება ვერ

ბექა ბერულავა

ფარშეჰანები

გამოვიჩინე, იქიდან გამომდინარე, რომ მაინცდამაინც იმ დღეს შევეჩვიე ამ თემას, როცა პაემანი მაქვს მიმზიდველ გოგოსთან, რომელსაც კარგა ხანია ვკერავ (ინტელექტუალური გზებით), მაგრამ ნინდახედულობა არც არასოდეს ყოფილა ჩემი სტიქია.

ხანგრძლივად მარტო ყოფნა ძალიან დამლელია (მოსანყენში ნუ აურევთ) და ბოლოს აუცილებლად ამოუშვებ სასონარკვეთილ ხმას — დამეხმარეთო. ადამიანს ადამიანი სჭირდება, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ დასუფლდეს. ჰოდა, მეც დამჭირდა და ვიპოვე კიდევც. რა თქმა უნდა, ვნერვიულობ, სიმპატიური რომ ვიყო, სადარდებელი არაფერი მექნებოდა, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ არ ვარ. იმას გაუმართლა, მე — არა. ჰოდა, ახლა იმდენი უნდა მოვახერხო, ეს დისონანსი ვერ შეამჩნიოს, რაც წარმოუდგენლად რთული მისიაა. მაგრამ ეს რომც მოვახერხო, ერთმანეთი ძალიანაც რომ მოგვეწონოს და შემდეგ შევეყვარებულვართაც ვიქცევი, ხომ მაინც მუდმივად შემანუხებს იმის შეგრძნება, რომ რაღაც დაუშვასხერბელს ვეპოტინებო? როცა ხელისხეჩაკიდებულებს სიმპატიური ბიჭი ჩაგვივლის, ხომ შემომიტევს თავის ქავილი და გავიფიქრებ, ალბათ როგორ უნდა ისეთი გარეგნობა მქონდეს. ან: ალბათ როცა ჩემთან კოცნისას (მოვგაინებოთ — სექსისას) თვალებს დახუჭავს, იმ ბიჭს წარმოვიდგენს.

ამ ფიქრების მიუხედავად, არ შემინელიებია ფეხი, რომელსაც ავტომატურად მივყავდი დანიშნულების ადგილისკენ.

„ჩაი გიყვარს? კი, ძალიან.

ჰოდა, მე და შენ აუცილებლად უნდა დავლიოთ ჩარ და ვისჯვლოთ მაღალ მატერიებზე. მაღალი მატერიების განხილვას ისე არაფერი უხდება, როგორც კარგი ჩაი. კარგი. შენც გიყვარს ჩაი? ვერ ვიტან.“

ჰო, ზუსტად ჩაისთვის შევიწუხე თავი. თავი კარგი კონტურების მქონე საჯდომისა და საშუალოზე დიდი მკერდისთვის შევიწუხე. მაშასადამე, თავი კარგი გარეგნობისთვის შევიწუხე. ეს მოცემულობა აბიტიურიენტებისთვის განკუთვნილ ლოგიკურ ამოცანას ჰგავს. საერთოდაც, ცხოვრება ერთი დიდი უნარების ტესტია, ოღონდ მაღალი ქულის ალებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ სიმპატიურიც ხარ. თუ არა, სულ ნაკერავზეც რომ გასკდებ, მაინც არავინ დაგაფინანსებს.

მაღალ მატერიებსაც გავკარი. კაცი ფიქრს მაშინ იწყებს, როცა მახინჯია. თუ ლამაზი ხარ და ფიქრს იწყებ, გამონაკლი-სი გქვია. ჰო, ფიქრი მახინჯების საქმეა, ბედნიერება — ლამაზების.

რაზე უნდა ვისაუბროთ, არც დამიგვმავს, ამ მხრივ, ასე თუ ისე, მაქვს საკუთარი თავის იმედი. არა, იმას კი არ ველოდები, რომ პირველივე პაემანი სექსით ან ხანგრძლივი ფრანგული კოცნით დაგვირგვინდება. პრინციპში, ზუსტად ამას ველოდები, All in უნდა გავაკეთო, ბლიცკრიგის ტაქტიკას მივანვი, ან ყველაფერი, ან არაფერი. აბა, სად მაქვს ახლა მე განელიური ურთიერთობების თავი და ნერვენი? ვნებების დაკამყოფილება საერთო

ჯამშიც დამაკამყოფილებს, არაა საჭირო მაღალ მატერიებთან პირფერული პოტი-ნი, მაშინ, როცა ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა აქვს — გარეგნობაა. რეალობა მაღალ მატერიებს ყოველთვის ხმარობდა, ხმარობს და იხმარს კიდევ.

„უნდა გაიპრანჭო?

რა თქმა უნდა, მოვიწერეგებ თავს, პაემანზე მოვიდივარ, ბოლოს და ბოლოს.“

რა თქმა უნდა, მოიწერეგებს, ჰო, შეეცდება რაც შეიძლება სექსუალური და მიმზიდველი იყოს. რაც შეიძლება ბევრჯერ გამომავროს სასქესო ორგანო პაემანის განმავლობაში. რაც შეიძლება ღრმად ჩამიბეჭდოს თავისი სექსუალური ტრაკი და მკერდი მეხსიერებაში, რომ სახლში, მარტო ყოფნისასაც, რაც შეიძლება მეტჯერ გამომავროს სასქესო ორგანო. რა

მზრუნველი და ყურადღებია. ანუ ლამაზი.

დათქმულზე ცოტათი ადრე მივედი და აღმოვაჩინე, რომ ჩაის სახლში ლუდის დეფიციტი ყოფილა, ამიტომ ორი ჩაი შევუკვეთე და ლოღინის რეჟიმზე გადავედი. „ხვალ?.. რატომაც არა, მაინც მოწყენილი ვარ.

მოგუვლით მაგ ამბავს. გამამზიარებლად? მოგიხერხებ რამეს.“

შენი მოწყენილობა ყველაზე ნაკლებად მალე დავხვდები, მთავარი ის ჯილდო, რომელსაც ამ მოწყენილობის გაქარგვების შემდეგ მივიღებ. ყველას ჩვენი-ჩვენი მიზნები გვაქვს და კეთილი საქმე მხოლოდ მაშინ გამოვდის, როცა ჩვენი მიზნისკენ მიმავალ გზაზე ვინმე სანჯალობლად გდია, ჰოდა, იმისთვის, რომ გზა, ანუ მიზნისკენ სვლა განვაგრძოთ, ამ ვინმეს წამოდგომამი ვეხმარებით, სინამდვილეში კი მხოლოდ გზას ვითავისუფლებთ.

ძალიანაც არ დაუგვიანია, მაგრამ სანამ მოვიდოდა, კიდევ ბევრი სიტყვა იქნა ნინადადებლად და არანაკლები ნინადაცხა — აზრად. როცა შემოვიდა და გადაეკოცნე, მუცელთან რაღაცამ შემოიღიგინა. პეპელა კი არ აფარფატებულა, უფრო გველის გასრიალებას ჰგავდა; სიყვარული კი არა, მყისიერი პორნოგრაფიული კადრებით გაფორმებული ვენება იყო, რომელიც ჩემმა სხეულმა გამოხსროლა ლამაზი სხეულის დანახვისას, ლამაზ სხეულთან შეხებისას. დავსხედით.

— ჩაი შეუკვეთე.

— ვხედავ, — ისე მოკლედ მიპასუხა, ვიფიქრე, ალბათ გამიბრახდა იმისთვის, რომ სიმპატიური არ ვარ-მეთქი და მოვი-ლეუმი.

ყველანაირი უფლება აქვს, თავი ჩემზე მაღლა დააყენოს, მაგრამ მაინც ნერვების მოშლელია, როცა ვილაც გახსენებს, როგორ იქეცი უზუნაესი უსამართლობის მსხვერპლად, ანუ გახსენებს, რომ მახინჯი ხარ.

— დალი, — ვერ დაიწყო ყველაფერი საუკეთესო ნოტაზე. თუ იმის მიღებას ვაპირებ, რაც მიზნად დავისახე, უფრო უნდა მოვიწოდო და ვიპოვებ, — რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე, რომ უცნაური უნარი მაქვს.

— რა უნარი? — დაინტერესდა და თვალეში ღიმილიც გაუკრთა.

ახლა უნდა ავდგე და რაღაც ჩახლართული სისულელე მოვიგონო, რითაც ხაზს გავუსვამ, რომ ყველას არ ვგავარ, გონებრივად განვითარებული, უჩვეულო და საინტერესო (ან უჩვეულოდ საინტერესო) ადამიანი ვარ. დავუშვავთ, რომ შევძლებ მოწყენილობისას გავართო და ცხოვრება გავუმრავალფეროვნო. თუმცა ეს რომც მოვახერხო, ამით ჩემი მისია მაინც არ ამოიწურება. მერეც მუდმივად მომიწევს იმაზე ზრუნვა, რომ ჩემი გარეგნული ნაკლოვანებები, გონებრივი ღირსებებით ავანაზლაურო და მუდმივად მიზანდასახული ვიქნები, მუდმივად დამაბულიც. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა იმ ჩემს სიმპატიურ მეგობარს ორი სიტყვის თქმაც არ მოუწევდა, ახლა აქ რომ მჯდარიყო. შეხედავდა თავისი ლამაზი თვალებით და მთელი

პაემანის განმავლობაში ეს შტერი ილაპარაკებდა პორნო-ალტყინებით, პორნო-აზრებითა და პორნო-შეგრძნებებით ალვსილი.

არაუშავს, უარესებიც არ ხდება, მაგრამ მაინც არაუშავს. მიმზიდველმა ოფიციატმა გოგონამ ჩაგვიარა სექსუალური ტრაკით, მექანიკურად გავაყოლე თვალი, მერე ჩემ პირისპირ მჯდომის თვალებს დავუბრუნდი, რომელშიც მოდამცინავო და მოგაკვირვებულ გამოხედვა დამხვდა.

- რა იყო?
- რა ქენი ნელან?
- რა ვქენი?
- იმ გოგოს შეხედე უკანალზე!
- აჰ, ჰო, კარგი ტრაკი აქვს, ვერ გაუშვებდი ამ შანსს.
- ამაზრზენი ხარ.
- თავი გაბია.
- რა თქვი?
- აბა, როდის აქეთა ტრაკების მხერთი დევეუსტაცია ამაზრზენი?
- პაემანზე ხარ!
- პირველზე. ჩვენც ახლა უცებ ოჯახი არ შევქმნათ.
- ნადი შენი!
- მოიცა, არ ნახვიდე.
- რატომ?
- გადამახდევინეს უკვე ამ ორი ჩაის ფული.
- ორივე შენ ჩაისხი!
- კაი, ჰო, დაწყნარდი. ჩემს განსაკუთრებულ უნარს გიმხედი, არ გაინტერესებს? დარჩი, ჩაი დალი და მომისმინე, რას კარგავ.

როგორც იქნა, დააბრუნა ნავარჯიშევი დუნდულები სკამზე, მაგრამ ისევ გაბრაზებული მიყურებდა, უნებურად მკერდზე შევხედე, რომელიც თვალმისაცემად მიმოვლელა.

- თვალეში მიყურე! — მომესმა.
- ერთი ნუთით-მეთქი, თითით თვალაუნევლად ვანიშნე, ცოტაც და მოთმინებიდან გამოვიდოდა, მაგრამ დავასხარე და თავალი გავესწორე, მერე ცერა თითი ვაჩვენე და ქვედა ტუჩი გამოვბურცე. გაცივინა.
- ჰო, იმას გუეუნებოდი, რომ უჩვეულო უნარი მაქვს.
- აღარ ამოლერდავ, რა?
- გეტყვი, ჰო. აი, მაგალითად, შემოძლია ჩემი ცხოვრების ნებისმიერი ეპიზოდი ხელოვნების ნაწარმოებად ვაქციო.
- როგორ?
- მაგალითის სახით აგიხსნი. სახეობა აირჩიე, მუსიკალური ნაწარმოები გირჩევინა, მხატვრული თუ...
- მხატვრული იყო.
- პროზა, პოეზია?
- პოეზია, — თვალეში ზედაპირული კრძალვა გაუკრთა ამ ლორდ ბაირონზე მხდრველს.
- კიბატონო. დახუჭე თვალეები და მისმინე. დახუჭე, ჰო, ნუ გეშინია.

როცა დახუჭა, კიდევ ერთხელ შევუთვალურიე გულმკერდი, მერე გარშემო მიმოვიხედე და ტრანსფორმაციის პროცესიც დაინწყო, საგნები თანდათან იქცნენ სიტყვებად, სიტყვებმა თანდათან იპოვეს მსგავსებები ერთმანეთს შორის და დაწყვილდნენ. სანამ ყველაფერი დასრულებულ სახეს მიიღებდა და შეიკვრებოდა, ჩაი მოვხვრიპე. სახე დამემანჭა და სითხე კვლავ ჭიქაში ჩავაბრუნე. ცოტა ხანს კიდევ მომიხდა ლოდინი, იმ ოფიციატის უკანალიც უფრო დეტალურად შევისწავლე. შემდეგ კი როგორც იქნა პროცესი დასრულდა და თვალდაუხამხამებელი სიმშვიდით, მონოტონურად გავაჩხოვანე ის, რაც თითქმის ჩემგან დამოუკიდებლად შეკონინდა ჩემს თავში.

როცა დავამთავრე, ის შტერი ისევ თვალეშიწაშლი იჯდა, სახეზე პოსტორგაზმული ნეტარება ეფინა. გაახილე, მოვრჩი-მეთქი, ვუთხარი და ძალიან ნაზად აფახულდა, თითქოს სიყვარული ამეხსნას. ლამაზი არ ყოფილიყო, ვინ დახარჯავდა ამაზე დროს და სიტყვებს. მე ნამდვილად არა, შინაგანი სამყარო ჩემიც მყოფის.

- პოეტი ხარ?
- ღმერთმა დამიფაროს.
- ულამაზესი იყო. თითქოს ავმალღი, სანამ გისმენდი.
- ჰო? კაია. მაკოცებ?
- ახლა?
- რატომაც არა, ხომ ამაღლებული მომენტია?
- შეიშუშნა, რაც უარს ნამდვილად არ ნიშნავდა და გადავიხარე, ისიც დაიძრა

ჩემკენ. ერექცია კოცნამდე დამენყო, კარ-გა ხანს და ვნებიანად ვკოცნიდი, თვალდახუჭულსაც მახსოვდა, როგორი ლამაზი და სექსუალური იყო. ნაგრძელე-ბული კისერი რომ დამელაღა და ადგილს დავეზურუნდი, ეს ისევ თვალდახუჭული გაირინდა.

„შენი ჰობი რაა? თვალების დახუჭვა.“
წყალი მომინდა. ჩაი არა. უმწეოდ მიმოვიხედე.
— რამეს ეძებ?
— იმ ოფიციატის ტრაქს.
— ჩემი ჯობია.

გაკვირვებულმა შევხედე, ისევ ისტერიკებს ველოდი. ეტყობა, იმოქმედა ჩემმა „უნარმა“ და ჩემივე არასიმპატიურობა დაიჩრდილა. გამომწვევად მიღიმოდა, „მოდი, გამოვიდე“ სახით. ანუ ნვალებამ შედეგი გამოიღო.

მაგრამ არსებობს გამარჯვებები, რომელთაგანაც ორგანოებში სიამოვნებას მხოლოდ მაშინ იღებ, როცა ჯიღლოზე უარს ამბობ. ისლა დამრჩენოდა, ორ მოსალოდნელ სიამოვნებას შორის უფრო ძლიერი ამერჩია და ასეც მოვიქეცი.

— უნდა ნავიდე.
— სად?
— იქ, სადაც ქარიშხალია.

ყველაფრის ამ ნოტაზე დასრულება სულაც არ მესახებოდა ურიგო პერსპექტივად და წამოვდექი, უკანმოუხედავად დავტოვე ეს სულელური ადგილი. არასიმპატიურებს ის უპირატესობა გვაქვს, რომ შეგვიძლია ცხოვრების სხვა ფონტებზე გავაკეთოთ აქცენტი, ძალები სხვაგან გადავისროლოთ. მაგრამ სადაც არ უნდა გადაპარტიზანულდე, თანდაყოლილი სუსტი ნერტილი მუდამ სუსტ ნერტილად დაგრჩება და იქ, საიდანაც გაიქეცი, მუდამ დამარცხებული იქნები. ამიტომ გაქცევას აზრი არ აქვს. დამარცხებასთან შეგუებასაც არ აქვს აზრი. აზრი არც გამარჯვებას აქვს.

ფარშევანგი ხომ ლამაზი, მაგრამ უსარგებლო ქათამია, ზოოპარკში კი მაინც დიდის ამბითაა გამოჩენილი, მაშინ როცა სასარგებლო, თუმცა მახინჯ ქათამებს ნაჯახებით დავსდევთ დასაკლავად. ის კი გასაგებია, რომ სრულყოფილება სრული კომპლექტის გარეშე წარმოუდგენელია და ეს სრული კომპლექტი ჰირველ რიგში სწორედ მახინჯსა და ლამაზს მოიცავს, მაგრამ ვის რა ჩემს ფეხებზე უნდა უსამართლობანარევი სრულყოფილება? რა დააშავა ქათამმა, რომელსაც ლამაზი და გაფოფრილი კუდი არ აქვს და ამიტომ მენვისთვისაა განწირული? რით დაიშახურა ფარშევანგმა თანდაყოლილი გრაციოზულობა და მისით მოხიბლული ადამიანების აღფრთოვანებული შეძახილები?

გავჩერდი, მერე ქუსლებზე შევტრიალდი და სწრაფადვე დავეზურუნდი უკან, თვალი მოვკარი, როგორ გამოდიოდა ჩაის სახლიდან დაბნეული, მაგრამ მაინც ლამაზი. თვითონაც რომ დამინახა, თვალები ბრაზისგან აენტო და კიდევ უფრო გაღამაზდა. მივუახლოვდი და სანამ რამეს მეტყოდა, დავასწარა:

— ფარშევანგი ხარ.
ისევ გამობრუნება და ნასვლა დავაპირე, მაგრამ ხელი მომიკიდა და თავისკენ დამქაჩა.

ყველაზე საშიში რამ, რაც ერთმა ადამიანმა შეიძლება მეორეს გადასდოს, განწყობაა.

თვალში რომ გავუსწორე, მეორე (უფრო ლამაზი) მესავით იყო და გავიფიქრე, რომ ზუსტად ასეთი მინდოდა ვყოფილიყავი მთელი ცხოვრება. მაგრამ ის, რაც გადამდებია, მუდმივი ვერ იქნება. პრინციპში, მუდმივი ვერაფერი იქნება.

ნელა, მაგრამ ძლიერად მიმიზიდა და როცა მეგონა, მაკოცებდა, მითხრა:

— ადამიანები მხოლოდ თავდაჯერებულობის დონეებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გარეგნობას კი, შე ქათამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა სულაც არ აქვს.

რა თქმა უნდა, ეს არ უთქვამს, მხოლოდ სილა გამანა და ზურგი დემონსტრაციულად შემაქცია, მაგრამ სილის განვნის მომენტი ჩემმა გონებამ ამ სახით გარდაქმნა.

ერთხანს გაბრუნებული ვიდექი, მერე ისევ შენობაში შევედი და ჩაი შევეუკვეთე, რათა იმ ლამაზ ოფიციატს გამოვლაპარაკებოდი.



დაიხუტი ილია ჭანტურია ნიკუშამ ნასვლა გადაწყვიტა

სისხლის გათეთრებაო, ვილაც თეთრს ალათიანმა.

მე ვთქვი — არა, დედა, ეს კაცი გატყუებს. გუშინ ვთამაშობდით, ნაიქცა და ფეხიდან სისხლი წამოუვიდა. თეთრი საერთოდ არ იყო, წითელი იყო, წითელი. მატყუარაა ეს ვილაც-მეთქი.

დედამ — არაო, ექიმი არ იტყუებო.

მიდი და უმტკიცე ახლა ამათ. ამათ რა იციან, იქ იყვნენ, როცა ვთამაშობდით თუ რა?! თან ამ უფროსებს რას გაუგებ, რამეს რომ დაიჩემებენ, ვერ გადაათქმევენებ. თითქოს არც არაფერი გითქვამს, ისე გაატარებენ. ბაბუაჩემი იყო ეგრე. სულ სახლში იყო ხოლმე და ტელევიზორში გადაცემებს უყურებდა. ვილაც ლამაზად გამოწყობილ კაცებს აჩვენებდნენ, რაღაც უცნაურ სიტყვებს რომ ამბობდნენ, ეგეთებს. თან ბოლო ხმაზე აუნევედა. მე ვთხოვდი, ტრანსფორმერების მულტიკი ჩაერთო, მაგრამ საერთოდ არ მისმენდა — აი, წინათ როგორც ვთქვი, თითქოს არც არაფერი მეთქვა, ისეთ სახეს იყენებდა. სანამ წინ არ გადავეფარებოდი, აქეთ არ მოიხედავდა.

მერე დედამ მითხრა, მოხუცდა ბაბუა, იმიტომ არ გპასუხობს, რომ ყურში არ ესმისო.

არადა, ვიცი — დედა და ბაბუა ერთმანეთთან იყვნენ შეკრული, ყურში არ ესმის, არა ისა კიდო. მე ხომ მესმის? აბა, ბაბუაჩემს რა დაემართებოდა. ბოლოს რომ ვნახე ბაბუაჩემი, უცნაური ფორმის მაცივარში იწვა. მინიდან ჩავხედე, თვალე-ბი დახუჭული ქონდა, ერთი დავეჯღანე, არც გამოუხედავს.

მერე ვუთხარი, ახლა ნავალ და ჩემს მულტიკებს ვუყურებ-მეთქი, თან ხმამალდა.

ისევ ეგრე მომექცა, არაფერი უთქვამს — ვითომ ხმაც არ ამომიღოს და არაფერი მეთქვას მაცივრის. არ მპასუხობ და იყავი ეგრე-მეთქი, მივამახე.

მერე მივხვდი, ცოტა ცუდად რომ ვუთხარი და კაი, მაპატიე, ბაბუა-მეთქი.

არც მაშინ გამოუხედავს. აი, ასეა. იმ დღესაც, როცა სახლში მივიდოდით, ვეუბნებდით დედაჩემს, რომ ეგ კაცი ატყუებდა, მაგრამ არ დამიჯერა, არც მისმენდა. მიდიოდა და თვალე-ბი ცხვირსახოცი იწმენდა. მეგონი, ტიროდა. ალბათ დედასაც ფეხსაცმელის გამო დასცილიან და ამიტომ ტირის-მეთქი. აბა, მე რა ვიცი, მე ამის გამო ვტირი ხოლმე. არადა, ძანაც რომ მომწონს ჩემი ფეხსაცმელი, მერე რა, რომ ჩემი უფროსი დის გამონაცვალაია. დედამ მითხრა, საერთოდ არ არის სირცხვილი, ბიჭს ასეთი ფეხსაცმელი ეცვასო. ცოტათი ძველი კი არის, მაგრამ მე მომწონს. დედასაც ესეთი აცვია, ჩემი ფეხსაცმელივით ნაოჭიანი.

იმ დღეს, სანამ სახლში მივიდოდით, დედამ მითხრა, შენ არაფერი უთხრა ნიკუშასო.

მე ვთქვი, რა უნდა ვუთხრა, რაც მართალი არ არის? არ ვეტყვი, არ მოვატყუებ, შენ არ მითხარი, ტყუილი არ შეიძლება? ჰო, მართალი ხარო და მერე არაფერი უთქვამს. მეც ეგრე მოვიქეცი, შევედი ჩემს ოთახში და ნიკუშა იქ დამხვდა.

ნურაფერს მკითხავ, არაფერსაც არ გეტყვი-მეთქი.
რა არ უნდა მითხრაო?
რა და ის, რომ ვითომ თეთრი სისხლი გაქვს-მეთქი.

სიცილი აუტყდა, ეგ როგორ უნდა მქონდესო.

აბა, მე რა ვიცი, დედას უთხრა ვილაც თეთრხალათიანმა-მეთქი.

თეთრი ხალათი თუ ეცვა, ალბათ თეთრი ფერი უყვარს და მაგიტომ უთხრაო. ხო, ეგრეა ალბათ-მეთქი.

გვერდითა ოთახიდან დედას ტირილის ხმა ისმოდა. ჩუმად შევიხედე, მამაჩემი გვერდით იდგა და არაფერს ამბობდა.

ნიკუშამ, რა მოუვიდა, რატომ ტირისო? მე ვუთხარი, ფეხსაცმელზე დასცილიან ალბათ და მაგიტომ-მეთქი.

შენც ეგრე არა ხარო?

ხო, მეც ეგრე ვარ-მეთქი.

არა უშავს, მე მომწონს შენი ფეხსაცმელიო.

გამეღიმა. დედა შემოვიდა, სხვანაირი ხმა ქონდა. საჭმელი შეჭამეთ ახლა და დაწექითო. ჩვენც ეგრე მოვიქეცი.

მეორე დღეს მამამ თქვა, ამდენი ფული საიდან მოვიტანო.

არაფერს ამბობდნენ და მერე დედამ, სახლი, სახლი, ბანკში, ბანკში ჩავდითო. ვერაფერი გავიგე და ოთახიდან გამოვედი.

მერე ჩემს უფროს დას ვკითხე, ნინოს, ფული უნდა მამას-მეთქი?

და კიო. ოცდახუთი ათასიო. ეგ ბევრია-მეთქი?

და თავი დამიქნია, ბევრიაო. ძანა ჩირდება-მეთქი?

და კიო.

მე კიდევ გამახსენდა, პულტიანი მანქანისთვის ყულაბაში თეთრიანებს რომ ვყრიდი. ცოტა კი გამიჭირდა მაგრამ, მაინც გავუძელი. გავტეხე ყულაბა და ჩემს დას მივეცი შეგროვებული ფული.

აგერ, მიეცი მამიკოს, ჩირდება-მეთქი. შემომხედა, ატირდა და ჩამეხუტა. მე ვიფიქრე, რა ჭირთ ჩემებს, სულ რომ ტირიან-მეთქი. მაგის მერეც, სადამოობით, დედას და მამას ოთახს რომ მივაყურადებდი, დედას ტირილის ხმა მესმოდა. ყოველ საღამოს ეგრე იყო, მერე მამა ამშვიდებდა ხოლმე. მე კიდევ ვერ ვხვდებოდი, რა ჭირდათ, დედა ჭკვიანია, იმ კაცის ტყუილს არ დაიჯერებდა-მეთქი.

ერთ დღესაც ნიკუშა წაიყვანეს. მეორე დღეს სახლში რომ მოიყვანეს, თავი სულ გადაპარსული ქონდა.

ეს რა არის, რანაირად შეგიჭრია-მეთქი, გამეჭინა.

მე რა ვქნა, იქ რაღაცები გამიკეთეს, მერე, დღეს, დედამ წამიყვანა ვილაც ქალთან, თავი გადაპარსაო.

მოდი, ნიკუშტები გაცვალაოთ, შენს თავზე მაგრად გამოვავ-მეთქი.

გაეცინა, მეც გავუღიმიე. იმის მერე სულ ცუდად იყო ხოლმე, ლოგინში იწვა და ჩემთანაც არ თამაშობდა.

რა გჭირს, ხომ არ გამეზუტე-მეთქი. არაო, უბრალოდ არ შემიძლია თამაშიო, ვერ ვითამაშებო.

თავიდან მენყინა და გავბრაზდი. შენ სულ ასე ხარ, სულ არ შეგიძლია და არ შეგიძლია-მეთქი.

რა ვქნა, ჩემი ბრაზი ხომ არ არისო?! ცოტა ხანი გავებუტე. მერე გადამიარა წყენამ და შევეურიგდი.

კითხე, რატომ ხარ ესე-მეთქი. ქიმიის ბრაზია, დედამ თქვაო. მე ვუთხარი, ცუდად ეს ქიმია. არ გახსოვს? ნინო სკოლაში რომ დადიოდა, სულ

ამბობდა, მძულს ეს ქიმიაო. ალბათ ღირსია და მაგიტომ ამბობდა, შენც ვერ ხედავ, რა გიქნა-მეთქი?

მართალი ხარ, საზიზღრობააო.

ამის მერე ცოტა უკეთ იყო. ფეხზეც დგებოდა, ერთადაც ვსერილობდით ხოლმე, მაგრამ თამაში მაინც არ შეეძლო. მერე ერთხელაც არა და არ გამოვიდა ოთახიდან, ისევ ეგეთები დაეწყო, სულ ლოგინში იწვა და ვერ გამოდიოდა. მეც მოვიწყინე და მშობლებსაც არ ეცალათ ჩემთვის, არც ჩემს დას, და სულ მარტო ვიყავი ხოლმე. ერთხელაც საღამოს გამეღვიძა, დედა გაბრაზებული ჩანდა და ოთახებში დადიოდა. ნიკუშას ოთახში ვცადა შესვლა, მაგრამ მამამ არ შემიშვა, აცადა, ექიმები მოვლენ, ისინი უნდა შევიდნენო. მერე დიდი მანქანაც მოადგა სახლის კარს, მწვანე ტანსაცმელი ეცვათ, ჩქარა შემოვიდნენ სახლში და ბორბლებიან ლოგინზე დანოლილი გაიყვანეს ნიკუშა. თავიანთ დიდ მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს.

მე ვთქვი, კიდევ კარგი, მწვანეები ეცვათ, თორემ ეს თეთრტანსაცმლიანები სულ მატყუარები და დებილები არიან-მეთქი.

მერე მამამ ჩვენც ნაგვიყვანა და იმ მანქანას გაჰყვანა. სადღაც დიდ სახლში შევედით, ოთახები სულ თეთრი იყო და ისევ ის თეთრტანსაცმლიანები არ ვნახე?!

მე ვთქვი, ცუდადაა ნიკუშას საქმე. ესენი რამე ცუდს გაუკეთებდნენ-მეთქი.

დიდი ხანი ვისხვდი იქ, მერე ის თეთრტანსაცმლიანი გამოვიდა და რაღაც უთხრა დედას და მამას, ორივე ატირდა. არ ვიცოდი, რა ხდებოდა. ძანა შემეშინდა და მეც ავტირდი. თავიდან რამის თქმის შემეშინდა.

მერე ვკითხე ჩემს დას, ნინოს, რა მოხდა-მეთქი. ცოტა ხანი ჩუმად იყო.

მერე მითხრა, ნავიდაო. ვინ ნავიდა-მეთქი?

ნიკუშა ნავიდაო. მერე, არ მოვა-მეთქი? და არაო.

გავბრაზდი. ჩემთან სათამაშოდ არ გამოდიოდა და ახლა სად ნავიდა? არ ნდომებია და მაგიტომ აკეთებდა ეგრე-მეთქი.

ნინოს არაფერი უთქვამს. მეორე დღეს ნიკუშა ვნახე — აი, ბაბუა-ჩემი როგორ მაცივარშიც იყო, ეგეთი იწვა, ოღონდ უფრო პატარაში. ეძინა. მე კიდევ მივედი და ვუთხარი:

უკვე არ ვარ შენზე გაბრაზებული, ნინომ მითხრა, აქ კი წვეს, მაგრამ სხვაგან ნავიდაო. მე კიდევ ვიცი, რაღაცას მატყუებს, ეგ კი ვიცი, რომ აქ ხარ და გესმის, როცა თვალს გაახედა, ნავიდეთ და ერთად ვითამაშოთ-მეთქი.

არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიცი, რომ ესმოდა. გამოვედი და ჩემს ოთახში შევედი. მაგის მერე ნიკუშა არ მინახავს. ერთ დღესაც გამომანყვანა ლამაზ ტანსაცმელში და სადღაც წამიყვანეს, ბევრი ხალხი იყო და ბევრიც ტიროდა. ქალაჩუნები ყოფილან-მეთქი, გავიფიქრე. ეგრე გვეძახის ჩვენი მასნი, ტირილს რომ დავიწყებთ. ხალხი ერთ ადგილას იყო შეგროვილი. მე არ მივსულვარ, ჩემმა მეზობელმა გამიყვანა და მასთან ვიდექი.

თავიდან ცოტას ვბრაზობდი, ასე უცხად რატომ ნავიდა, ჩემთვის მაინც ხომ შეეძლო რამე ეთქვა, მაგრამ მაინც მენტრება ნიკუშა. რამდენი ხანია, ერთად არ გვიტამაშია. ჰოდა, ახლა მინდა, ძანა მინდა, აქ რომ იყოს.

დღეს ვილაც კაცები მოვიდნენ ჩვენთან სახლში.

მამაჩემს უთხრეს, ბანკიდან ვართ, ზუსტად არ მახსოვს, რაღაცის გადაუხდელიობის გამო სახლი უნდა დაცალკოთო.

მერე ვილაც კაცებიც შემოვიდნენ და მამაჩემს ხმამალდა ელაპარაკებოდნენ. მამაჩემიც გაბრაზებული იყო. ყველაფერი ვერ გავიგე, რას ამბობდნენ. მარტო ეს ვიცოდი, რომ სახლიდან გვაგდებდნენ. ნამოვდექი და იმ კაცთან მივედი, სახლიდან წადიო, მამაჩემს რომ უთხრა და ვეუბნები — რანაირად უნდა ნავიდეთ, ეს ხომ ჩვენი სახლია-მეთქი.

არ შემოუხედავს, ვითომ არც გაუგია. ხომ გითხარით, არა? ასეთები არიან, რაღაცას ეტყვი და ისე მოიქცევიან, ვითომ არც არაფერი გითქვამს...



აბა, რა იცოდა ცხოვრებულმა პაპაჩემმა, რომ ყველა ხერხი ამოვსებისთვის სულაც არ იყო განკუთვნილი, თორემ იმ დასაწავივს ორმოში რამეს ჩაყრიდა?!

იაკობს იქვე, ქალაქთან ახლოს, ორი ჰექტარი მიწა ებადა და ბევრი რომ ვერაფერი გააწყოს, ადგა და სიმინდის მოყვანას მიჰყო ხელი. დიდად აქაც ვერ იხეირა, მაგრამ სხვა რამ წამოწყების არც საშუალება ჰქონდა და არც შნო, ამიტომაც, ისევ ტაროსა და ფურჩხს დასჯერდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, უფრო სწორად იაკობისათვის ერთობ უკუღმართს, ცაშირალაცამ დღიერად დაიგრუხუნა, მიწა შუაზე გაიპო და ორი ჰექტარი ყანა შთანთქა. დიახ, სწორედაც რომ უკვლოდ გააქრო და ეს ყანა კი, როგორც გაჭირვებულთ ემართებათ, ჩვენი იაკობისა აღმოჩნდა!

დილაადრიანად კაცი გარეთ გამოვიდა და რას ხედავს! აღარც სიმინდია და აღარც მიწის ნაკვეთი. შემინდა იაკობი და აუკანკალდა ქვედა ყბა. ნაიწინა თავში ხელები, მაგრამ ვაი რომ, ვაითა და ვიშით ვერას გახდა! არ გათენდა სხვა დღე და არ ამოივსო მის ნინ მდებარე ორმო. სრული ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთად, ახლა სრული ორი ჰექტარი სიტყვიერების პატრონი შეიქმნა. თან ისეთი ღრმა და უძირო სიტყვიერებისა, რომ შიგ ჯოხი და ქვა კი არა, თვითმფრინავი თუ მატარებელიც თავისუფლად ჩაიფრენ-ჩაიფრინებდა. ორმოს ძირი არ უჩანდა და მისი შავი გულიდან ისეთი სიბნელე გამოსჭვივოდა, რომ კაცს სამარე სანატრელი გაუხდებოდა.

იაკობი თავიდან მედგრად იდგა და იხტიბარს არ იტყვდა. ხან იქაურობის გამგობას მიაკითხა და ხანაც ქალაქის მუნიციპალიტეტს. ვინ აღარ შეანუხა და როგორ აღარ წარმოაჩინა თავისი პრობლემა, მაგრამ სულ ტყუილად ირგებოდა. ჰაერში ფულის გასროლასა და უძირო ორმოში კომპენსაციის გადახდას აშკარად არავინ აპირებდა. არა, მართალია, ბევრსაც დაპირდნენ, ასე ვიზამთ და ისე მოგხედავთო, მაგრამ საბოლოოდ კი არაფერი გადაუხადეს. აი, მაშინ კი გატყდა იაკობი და ჩამოყარა ყურები. მიხვდა, რომ მშრომელი კაცის სატიკვარს ზემდგომი არასდროს მიიტანდნენ გულთან და დამძიმდა. აღარც დღე უხაროდა და დაღამება კი ჭირივით ეზარებოდა, რადგან თვალწინ სულ ის თავისი ხახხადღებულის სიცარიელე ედგა, რომელიც მარტო მის ქონებას კი არა, სულსაც ბნელში ნთქავდა. ამიტომაც, მთელი დღეები ტახტზე იწვა, შიგადაშიგ უმიზნოდ ჭერს ასცქეროდა და თან ცალი თვალით ტელევიზორს უცქერდა.

ერთ ფრიად ჩვეულებრივ დღეს კი, სწორედ ტელევიზორის ყურებისას, უეცრად გაუნათდა გონება და მისთვისაც გაიხსნა სიბრძნის სამყაროს ბჭენი. მარტივად რომ ვთქვათ, იაკობი მიხვდა, რამაც უნდა გამოეყენებინა თავისი ორი ჰექტარი სიტყვიერე და თან სარგებელიც ენახა. საქმე კი ის იყო, რომ იმხანად, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, იაკობის სამშობლოშიც ძალზე აქტიურად იდგა ეკოლოგიისა და სისუფთავის პრობლემა. მომრავლებული ნაგავსაყრელები და ნარჩენებით გადავსებული ქუჩები მოსვენებას არ აძლევდნენ როგორც ქალაქში, ასევე სოფლად მცხოვრებთ. ჭუჭყსა და სიბინძურეს თავისი აქტიულობით მშვიერი კაცის ნინ წამოზრდილი მუცელიც კი გადაეფარა. ყველაზე უდარდელ მოქალაქეთაც მოსვენება დაჰკავებდათ და ერთი სული ჰქონდათ, საკუთარი ნაგავი მოემორებინათ და სხვისი კარის წინ აეყუდებინათ, მაგრამ, აბა, კეთილგონიერება და სინდისი როგორ გაუშვებდათ და, ამიტომაც, იტანჯებოდნენ. თანამედროვე ქალაქებიც ნელ-ნელა მუხასუკუნებისდროინდელ დასახლებებს დაემსგავსნენ, რომლებშიც ანტისანიტარია და სიბინძურე ჩვეული ამბავი გახდა.

ტელევიზორში გამუდმებით აალებულ ნაგავსაყრელებსა და სხვის კართან აყუდებულ ნაგავით სავსე ტომრებს უჩვენებდნენ. ყველგან დაძვარი ნარჩენებისა და უიმედობის სურნელი ტრიალებდა. გაჩენილი ხანძრები კი თავად დედაქალაქსაც ემუქრებოდნენ და გადაბუგებს უქადდნენ. და სწორედ ამ გაჭირვებისა და ძნელებდობის უამს, იაკობს თავში ერთი უცნაური აზრი მოუვიდა. მოაფიქრდა, რომ თავისი უძირო ხერხი ნაგავისა და ნარჩენების საბოლოო ნავსაყუდლად ექცია. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მხოლოდ ალტრუიზმით, ანუ

სხვათათვის სიკეთის ქმნის სურვილით როდი იყო გამსჭვალული და მას ამ მომსახურებაში ერთგვარი კომპენსაციაც უნდა აეღო. დარწმუნებული იყო, ნებისმიერ მსურველს დააკმაყოფილებდა და მათთვის უსარგებლო ტვირთს უპრობლემოდ დააბინავებდა თავის „ჰაეროვან ნაკვეთში“. მცირე ფიქრის შემდეგ დედაქალაქის მუნიციპალიტეტს ეახლა. აალებული ნაგავსაყრელებით გულშეღონებულ მოხელეთ თავისი უმნიშვლო გეგმა და ხერხი შესთავაზა. შესავალი სიტყვის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა და ხელისუფალთ ნათლად აუხსნა, თავისი უძირო ორმო შესაძლებლობისა და პერსპექტივის შესახებ. და რადგან ხერხი მისი საკუთრება გახლდათ, მოურიდებლად შესთავაზა, ქალაქის ნაგავსაყრელები მის ყბადაღებულ ორმოში გადაეტანათ. ხელისუფალთ ნინადადება საინტერესოდ ეჩვენათ, რადგან ხერხი მისი ვერც ცეცხლი გაჩნდებოდა და შესაბამისად, არც წარმოქმნილი მავნე

გიორგი შერვაშიძე იაკობის სვრელი



ნივთიერებებითა თუ ტოქსინებით მოინამლებოდა გარემო.

იაკობის ნინადადება გულზე მალამოდ მოედო როგორც ქალაქის თავს, ასევე მთელ მუნიციპალიტეტს, რომლის ნევრებიც უზომოდ შეწუხებული გახლდნენ მოქალაქეთა კართან დატოვებული ნაგავითა და გაუთავებელი საყვედურებით ანტისანიტარიის შესახებ. გადამწყდა, იმავე დღეს შექმნილიყო კომისია, რომელსაც დაევალებოდა იაკობის ნინადადებისა და ხერხის ადგილზე შესწავლა. შესაბამისად, საქმიანი და ჰალსტუხიანი ბიუროკრატები იმავე საღამოს ესტუმრნენ პოტენციურ ნაგავსაყრელს და ზედაპირული დათვალიერების შემდეგ დაკავდნენ დარწმუნდნენ იაკობის შემოთავაზების რეალურობასა და პერსპექტიულობაში. სავსე ექსპერიმენტის პირობებში ორმოში ჯერ ქვები ჩაყარეს, მერე ჯოხები, და ბოლოს ფურთხითაც კი სცადეს მისი ამოვსება, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შავი ხახიდან ხმა თუ ჩქამი კი არადა, ექოც არ მოისმოდა. ხერხი უმაღლესი საოცრების სტატუსი მიანიჭეს და დედაქალაქში გახარებულნი დაბრუნდნენ.

რა თქმა უნდა, იაკობს მეორე დღესვე გაუფორმეს ხელშეკრულება და თანაც პირდაპირი ნესით. მართალია, მათი შეთანხმება საკმაოდ ბუნდოვანი და საეჭვო გამოდგა, თუმცა, პირველი სატიკვართო თვითმცლევები იმავე დღეს დაიძრა უძირო ნაგავსაყრელისკენ. ერთი კვირის თავზე კი შავი ხახის ფონზე მარტო ქალაქის თავი კი არა, მთელი ხელისუფლება იღებდა თავმომწონი სელფებს და ფოტოებს ინსტაგრამზე ათავსებდა. მსოფლიოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, სწორედ იაკობის სამშობლო აღმოჩნდა ის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ერთი ხელის მოსმით შეძლო ნაგვისა და ნარჩენების პრობლემის მოგვარება. ამ გასაოცარმა ამბავმა მალევე შემოუფრინა მთელ მსოფლიოს და უცხოური საინფორმაციო საშუალებებიც განუწყვეტილად მოსცემდნენ გასაოცარი აღმოჩენის შესახებ. მათ ყოველ რეპორტაჟსაც თან იაკობის დარცხვენილი და მორიდებული ლიმილი სდევდა. და, ალბათ, მისი მოკმაცდებული ხასიათი რომ არა, კარს მომდგარ მსოფლიო ტაბლოიდებსაც მისცემდა ინტერვიუებს, მაგრამ რატომღაც სინდისი ენას უბამდა და ამუხვებდა.

თვეს თვე მიჰყვა და წელს წელი. სულ მალე კი ყველაზე დიდი სკეპტიკოსებიც შეცბუნდნენ და მოიდრიკნენ. მათი ხმადა

ღალი კრიტიკა და ვითომ უტყუარი არგუმენტები, აქაოდა, ორმო რამდენიმე თვეში პირამდე გაივსება და დასამარდებო, არ გამართლდა. ხერხი მართლაც რომ უძირო გამოდგა. მათ კვალს ჯიუტი მეცნიერები და იღუმალ ხერხელთა შემსწავლელი სპეციალისტები მიჰყვნენ, რადგან მიუხედავად მათი მრავალი მცდელობისა, გამოეკვლიათ, რა სიღრმისა იყო ორმო, მაინც ვერაფერს გახდნენ. მოწინავე ტექნოლოგიები და თეორიებიც კი მარცხისთვის იყო განწირული, რადგან ვერავინ მოსთვლის, ხერხელთა რამდენი ხელსაწყო თუ დანადგარი შთანთქა უკვლოდ. პირდაღებულ შავი ხახა უკლებლივ ყველაფერს ნთქავდა და მის გულში საგნები ისევე უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ, როგორც ნაწყენი ქალი არეულ ფიქრებში. ყველა ექსპედიცია თუ სავსე გასვლა სრული კრახით მთავრდებოდა და ვერც ის ხელსაწყო მოიძია, რომელიც ორმოს მასშტაბების სრულად შესწავლას შეძლებდა.

ხერხელმა უამრავი საფრენი აპარატი, დრონი, სამი პარაშუტისტი, ხუთი ხუთკაციანი ექსპედიცია და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი მექანიკური მოწყობილობა თუ სულიერი არსება უკვლოდ გააქრო. რაც შეეხება თავად იაკობს, მიუხედავად უსაზღვრო თავმდაბლობისა, მასში რაღაც მაინც შეიცვალა. ჯერ ერთი, პირველად ცხოვრებაში, მისმა იდეამ იმუშავა და წარმოუდგენლად დიდი თავდაჯერებულობა შემატა; მეორე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი ის გახლდათ, რომ ამ იდეამ უჩვეულოდ დიდი შემოსავალი მოუტანა. დასაწყისში თუ ნაგავსა და ნარჩენებს კილოგრამებსა და კუბურ მეტრებში იზარებდა, სულ მალე მისი საზომი ერთეული მეგატონა და ეშელონი შეიქნა. ხერხელად რკინიგზა გაიყვანა და მეზობელი ქვეყნიდან ნამოსულნი ნაგვის დასაწყობებასაც შეუდგა. შესაბამისად, ფულის ნაკადიც უწყვეტი გახდა და იაკობიც ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და წარმატებულ მენარმედ იქცა. მისი შემოსავალი და პატივმოყვარეობა ფანტასტიკური სისწრაფით იზრდებოდა. არადა, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ სიმინდის ყანიდან ამდენ ფულს გამოადნობდა, მაგრამ, როგორც სანარმოს მეპატრონესა და მენეჯერს, გამუდმებით ერთი კითხვა ტანჯავდა: სადამდე?

სულ მალე უფრო დიდი და განვითარებული ქვეყნებიც დაუფარავად ჩაერთნენ უძირო ხერხელის ამოვსების ესტაფეტაში. ოკეანის გაღმიდანაც კი დაიწყეს განსაკუთრებით სახიფათო და რადიოაქტიური ნარჩენების გამოგზავნა. იაკობის ხერხი კი ყოვლად უდრთივნივლად იღებდა ყველა სახის, ფერისა თუ რჯულის ნაგავს და დაოსტატებული თაღლითივით ხელის ერთი ჰაეროვანი მოძრაობით უკვლოდ აქრობდა. ორმოში ნავთობით დაბინძურებული ზღვაც კი ჩაახსენ და წყვილიამა ისიც უპრობლემოდ შთანთქა. ყველა უზომოდ ბედნიერი და კმაყოფილი ჩანდა. მაგრამ სიტყვა ჩანდა, სულაც არ ნიშნავდა, რომ იყვნენ. მართალია, ეკოლოგიისა და სისუფთავის პრობლემამ აშკარად უკან დაიხია, თუმცა ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ასეთი პოტენციის მქონე „სარენის“ არსებობამ უსაზღვრო შუღლი და პაექრობა გააჩინა. უკლებლივ ყველას სურდა, რომ იაკობის ხერხელს დაპატრონებოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მსოფლიო საზღვრების ხელახალი გადახედვა ისევ დღის წესრიგში დადგა. შესაბამისად, იაკობის სამშობლოსაც ათასი მუშტარი

გამოუჩნდა, რომლებიც სხვადასხვა საუკუნეებში არსებული საზღვრების აღდგენას ითხოვდნენ და მეტიც, პირდაპირ იჩენებდნენ მის მიწა-წყალს. აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, როდესაც უძირო ხერხელმა მარტო იაკობი კი არა, მთელი ქვეყანა და რეგიონიც დიდად ახეირა. მსოფლიო ნარჩენების გზამ სწორედაც რომ ზედ ორმოზე გაიარა და გზას კი, შესაბამისად, თან ვალუტა, ტურისტი და დამპყრობელი მოჰყვა.

არავინ იცის, საქმე სადამდე მივიდოდა და შესაძლებელია, თოფიც გავარდნილიყო, რადგან იაკობის ხერხი მთელი გალაქტიკის ნაგვის გადასამუშავებლადაც კი მზად აღმოჩნდა. ერთ მშვენიერ დღეს კი (ეს მშვენიერი დღე უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ, მაგრამ სიმართლე იქვეა, ის დღეები არც იაკობისთვის და მითუმეტეს, მსოფლიოსთვის, სულაც არ გახლდათ მშვენიერი. უბრალოდ, თავისთავად, დღე იყო მშვენიერი და მეტი არაფერი) ხერხელმა ამოვსება დაიწყო. დიახ, ორმოს წყვილიადი ჯერ მკრთალმა ჩრდილებმა ამოჭამა და მერე კი ნაგვის პირამიდაც წვერი გამოაჩინა. ერთ კვირამ კი აისბერგის მწვერვალს მხარბუტიც ამოჰყვა და ნარჩენების გროვამაც წყალქვეშა ნავით მოულოდნელად ამოყვინთა. პანიკამ და სასონაკვეთილებამ რიგრიგობით მოიცვა ჯერ იაკობი, შემდეგ ქვეყანა და ბოლოს — მსოფლიო. უმალ გამოჩნდნენ დავისყვას მიცემული სკეპტიკოსები, მიჩუმებული კრიტიკოსები და მედიამაც მისტიკური ხერხელის რაობას მყისიერად აწხადა ფარდა. ორმო ამოივსო და ამ ფაქტს ველარც ვერავინ დამალავდა და შეცვლიდა. ხერხელიდან ამოწერილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები ველარც გრეიდერებმა დატკეპნეს და ველარც იაკობის ტკბილმა სიტყვამ გაჭრა, ქვეყნის გულიზა, ახლა არ ამოივსო და თავი არ მომჭრაო. სამწუხაროდ, ხერხელმა არავის ათხოვა ყური და მიუხედავად ტკეპნა-შელოცვისა, მაინც გაივსო და თან ისე, რომ ერთ დღესაც იფეთქა...

აბა, რა იცოდა ცხოვრებულმა პაპაჩემმა, რომ ყველა ხერხი ამოვსებისთვის სულაც არ იყო განკუთვნილი, თორემ იმ დასაწავივს ორმოში რამეს ჩაყრიდა?!

და განა მთავარი ის იყო, რომ ორმო ამოივსო და ამით ყველას ძლიერ დასწყვიტა გული? არა, ეგ სულაც არ იყო გადამწყვეტი. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არც კვლავ დღის წესრიგში დამდგარმა ეკოლოგიურმა პრობლემამ დაამწურა მავანი. არც იაკობის სამშობლოს მხარედი ეკონომიკის ბედი გამხდარა სამსჯელო. და საერთოდ, სხვა რაზე უნდა ედარებოდა, როდესაც ხერხელის ამოვსება-აფეთქებით თვით სამყაროს წყობა შეიცვალა. როგორ? როგორ და პაპაჩემის დროებაში ვერავინ მიხვდა ერთ მარტივ რამეს, რომ ყველა ხერხელს, ისევე როგორც ნებისმიერ ბნელ ღრმულს, ჰქონდა თავი და ბოლო. შესაბამისად, მისი ამოვსებაც ისეთივე შესაძლებელი გახლდათ, როგორც დამმრალი ჭისა. დიახ, ჩვენმა წინაპრებმა დედამიწას უკანალში იმდენ ხანს ტენეს თავისი ნაგავი, სანამ იგი არ გაივსო და იფეთქა. და იფეთქა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ორმო უბრალოდ ველარ შეასრულა ის „გაზგამტარი“ ფუნქცია, რა მიზნითაც წარმოქმნილიყო. შედეგად, დაბეჭდილი საარყე ქვაბივით გასკდა და დედამიწას თავსახური წააძრო. პლანეტა ორად გაიხლიჩა და ზედა ნაწილიც ქვედას სრულად მოწყდა (ამ ზედა-ქვედა ნაწილებმა არ დაგაბნითო, რადგან პირობითი ცნებებია და, ამიტომაც, უბრალოდ შუაზე გაჭრილი საზამთრო წარმოიდგინეთ). არავინ იცის, უკეთესი თუ უარესი ნაწილი დავკარგეთ, თუმცა დაგუბებულმა აირმა და წვევამ ძალიან შორს, გალაქტიკაშიც კი გასტყორცნა. რა ბედი ენიათ დედამიწის პოლუსის მოპირდაპირე მხარეზე მცხოვრებთ, არავინ იცის, მაგრამ ერთი კი დანამდილებით ცნობილია, პაპაჩემი გადარჩა. მასთან ერთად კი ჩემი სამშობლოც გადარჩა, თუმცა, ამ დიდი კატაკლიზმის ფონზე, როგორც ივარაუდებოდა, მაინც ვერ გაბრწყინდა. და იცით რატომ? ძალიან მარტივია. აფეთქებისა და ამოფრქვევის შემდეგ მთელი მსოფლიოს ნაგავი ჩვენს მხარეს დარჩა.

P.S. მას მერე ჩვენთან აღარც სიმინდი მოდის და აღარც სხვა რამ მარცვლული კულტურაბარობს, თუმცა უხვად გვაქვს ჭანჭური, რომელსაც რატომღაც თევზის ვემო აქვს და მისგან არაყიც კი აღარ იხდებდა.

იტალიელი მწერალი, ჟურნალისტი, მხატვარი, დრამატურგი, ლიბრეტისტი, სცენოგრაფი და პოეტი დინო ბუცატი 1906 წლის 16 ოქტომბერს დაიბადა სან პელოვინოში და გარდაიცვალა მილანში 1972 წლის 28 იანვარს. ის, როგორც უამრავი რომანისა და სიურრეალისტური მოთხრობების ავტორი, იტალიის კალენდრისა და ტომასო ლანდოლფისთან ერთად მე-20 საუკუნის ფანტასტიკური ჟანრის უდიდეს მწერლად მიიჩნევა. ცნობილი ნაწარმოებები „თათრების უდაბნო“, ალბერტო მორავისთან ერთად ევზისტენციალური ნარატივის ფუძემდებელიცაა და მას „იტალიელ კაფკასაც“ უწოდებენ.

დინო ბუცატი

შურიანი მუსიკოსი

სახელმწიფო, ხანშიშესულ, შურიით აღსავსე კომპოზიტორ ავგუსტო გორჯას სალამოს, უბანში სეირნობისას, ფორტეპიანოს ხმა შემოესმა, რომელიც ერთი მაღალჭერიანი ბინიდან გამოდიოდა.

კაცი შეჩერდა, ყური დაუდგო... მუსიკა თანამედროვედ ეჩვენა, მაგრამ ძალიან განსხვავდებოდა მისი შემოქმედებისაგან. კოლეგებიც კი არ ქმნიდნენ ასეთ ნაწარმოებებს; უფრო მეტიც, მსგავსი არასოდეს მოესმინა და ვერც გაიგო, საესტრადო მუსიკას ეკუთვნოდა თუ არა; ხალხური სიმღერების მელოდიებსაც შეადარა, მაგრამ დამახასიათებელი ვულგარულობის გამო მაშინვე გამოიცილა მათთან მსგავსება; სახუმარო რამ გეგონებოდათ თითქოს, სიღრმეში კი რალაც სხვას, ამოუცნობს ირწმუნებოდა. ყველაზე მეტად, რამაც გორჯას ცნობისმოყვარეობა გამოიწვია, იყო ამ მუსიკის ენა, მეტყველება — ჩვეული ჰარმონიული ნუსებისგან თავისუფალი, მყვირალა და ამპარტავანი; მაგრამ ამავე დროს, ყველასაგან განსხვავებული, გამორჩეული. ზოგჯერ მსუბუქი და დაუბრკოლებელი გადასვლებიც ახასიათებდა, რაც გარკვეულ სილამაზეს ანიჭებდა.

მოულოდნელად ფორტეპიანოს ხმა შეწყდა და გორჯამ ამაოდ დაიწყო აქეთ-იქით სიარული ხელახალი დანყების მოლოდინში.

„ამერიკული იქნება... ასეთი ჯოჯოხეთური ქმნილებები მათ აქვთ,“ — გაიფიქრა და სახლისკენ გაემართა.

იმ საღამოს და მეორე დღესაც ვერ იქნა და ვერ მოიშორა ის ხმა გონებიდან. მონადირე უყურადღებოდ რომ ტოვებს ტყეში მიღებულ ჭრილობას და მთელი ღამის განმავლობაში აწუხებს ტკივილი, ვერც იხსენებს, სად და როგორ დაშავდა, ისე დაემართა. ერთი კვირა მანაც რომ სჭირდება ჭრილობის შეხორცებას...

გავიდა ხანი. ერთ დღეს ექვსი საათი მანაც იქნებოდა, სახლში რომ დაბრუნდა. კარი გააღო თუ არა, სასტუმრო ოთახიდან გამოშავალი რადიოს ხმა შემოესმა. მაშინვე შეიცნო ის მელოდია, ოღონდ ახლა მას მხოლოდ ფორტეპიანო კი არა, ორკესტრი უკრავდა. ზუსტად იგივე მელოდია იყო, იმ საღამოს რომ მოესმინა, ისეთივე ცოცხალი რიტმითა და პერიოდული სიგჟით, თავანყვეტილი ცხენებით რომ მიისწრაფოდა ფინიშისკენ.

გორჯამ კარის დახურვაც კი ვერ მოასწრო, რომ მუსიკა შეწყდა და სასტუმრო ოთახიდან სწრაფი ნაბიჯებით გამოსული ცოლი შეეგება.

— გამარჯობა, ძვირფასო! არ მეგონა, ასე ადრე თუ დაბრუნდებოდი.

რატომ ჰქონდა ასეთი დაბნეული სახე? რამეს ხომ არ უმაღავდა?

— რა ხდება? — ჰკითხა ქმარმა.

— როგორ, რა ხდება? ან რა უნდა მოხდეს? — უცებ მოიაზრა პასუხი მარიამს.

— არ ვიცი, ისე უცნაურად მომესალმე!.. მითხარი ერთი, რა გადაცემა იყო რადიოში?

— ოჰ, თუ გგონია, ყურადღებით ვიყავი!

— მაშინ, რატომ გამორთე, როგორც კი შემოვედი?

— დაკითხვას მიწყობ? — გაელიმა ქალს, — თუ სიმართლე გინდა, გაიგო... გამოვრთე, შენ რომ შეგხვედროდი. ჩემს ოთახში ვიყავი და ის ჩართული დამრჩენია.

— რალაც მელოდიას გადმოსცემდნენ, უცნაურ მელოდიას... — ჩაილაპარაკა გორჯამ და სასტუმრო ოთახისკენ გაემართა.

— დალოცვილო კაცო, ვერასოდეს ძღები ამ მუსიკით? დილას — მუსიკა, საღამოს — მუსიკა... დაინებე თავი რადიოს!

— მიაძახა, როგორც კი ქმარმა მისი ჩართვა დააპირა.

გორჯა ცოლისკენ მიბრუნდა და დააკვირდა — ალღევებული მოეჩვენა, თითქოს შიშს შეეპყრო. მერე რადიო ჩართო. მუსიკის ანთებას ზუსტად მოჰყვა, რის შემდეგაც გაისმა ხმა: „...ცით კამერული მუსიკა, შემდეგ კონცერტს შემოგვთავაზებს ტრემელი...“

— დაკმაყოფილდი? — ამოისუნთქა მარიამს.

იმავე საღამოს, მეგობარ ჯაკომელისთან ერთად სეირნობისას, გორჯამ რადიოს გადაცემათა ჟურნალი იყიდა და დღის პროგრამის ძებნა დაიწყო. „16:45 სთზე კამერული მუსიკა სერჯო ანფოსის დირიჟორებით. ნაწარმოებები: კუნცი, მისენი, რიბენცი, როსი, სტრავენსკი და პინდემონტი“. არა, მელოდია, რომელიც მან მოისმინა, სტრავენსკისა არ იყო. კომპოზიტორების გვარები ჟურნალში ანბანის მიხედვით ეწერა. ნამდვილად რალაც შეიცვალა კონცერტის მსვლელობისას. ის მელოდია არც პინდემონტს ეკუთვნოდა და არც — მისენს. გორჯა მათ შემოქმედებას ძალიან კარგად იცნობდა. აბა, რიბენცი? არა, შეუძლებელია. მაქს რიბენცი მისი ძველი მეგობარია კონსერვატორიდან — ათი წლის წინ პოლიფონიურ სიმღერას ჰქმნიდა; უბრალო სამსახური ჰქონდა, სასკოლო იცნო, მაგრამ მალევე დაანება თავი. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. სულ ცოტა ხნის წინ ისევე გამოჩნდა სახელმწიფო თეატრის სცენაზე საკუთარი ოპერის წარსადგენად. სწორედ ახლა, ამ დღეებში უნდა ჩატარებინა კონცერტი. ილი მისახვედრი იყო იყო მისი ნაწარმოების სტილი... ესე იგი, არც რიბენცი... კუნცი და როსი რჩებოდნენ, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი? გორჯას არასოდეს სმენოდა მათ შესახებ.

— რას ეძებ? — ჰკითხა ჯაკომელიმ, აფორიაქებული რომ დაინახა.

— არაფერი. დღეს ერთი მუსიკა მოვისმინე რადიოში და მაინტერესებს, ვისია რალაც უცნაური მელოდია იყო... ამ ჟურნალში კი ვერაფერი გავარკვიე.

— როგორი მუსიკა იყო?

— ვერ გეტყვი, იცი? რალაცნაირი, ვულგარული მელოდია იყო, ასე ვიტყვოდი.

— ნაღი, ნაღი, გაიარე და აღარ იფიქრო! — გაეხუმრა ჯაკომელი, თუმცა მშვენივრად უწყობდა მისი ფეთქებადი ხასიათის შესახებ, — კარგად იცი, პიანისტი, შენ რომ დაგამარცხოხ, ვერ არ დაბადებულა.

— პირიქით, პირიქით, ბედნიერიც ვიქნებოდი, — მიუხედავად ირონიას გორჯა, თან შემანუხებელმა ფიქრმა გაუელვრა: „კი ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს, ვილაც რომ...“

— ჰო, მართლა, რიბენცის ოპერა ხვალაა?

— არა, მგონი, გადადეს, — დაუგვიანა პასუხი ჯაკომელიმ.

— შენ აპირებ ნავსლას?

— არა... ჩემს ძაღვს აღემატება... ამის გაგონებაზე გორჯას კარგი ხასიათი დაუბრუნდა, გამხიარულდა.


— საწყალი რიბენცი! საწყალი მოხუცი რიბენცი! კმაყოფილი ვარ მის გამო. ეს სიამოვნება მაინც ერგო... ჰოდა, მიდი, მიდი!.. — ნაშობიძასა გორჯამ.

მეორე საღამოს, სახლში, ფორტეპიანოზე დაკვირვებას, გვერდით ოთახიდან ჩუმი ლაპარაკი შემოესმა. ეჭვი აიღო, მიუახლოვდა და მიაყურადა. სასტუმრო ოთახში მისი ცოლი და ჯაკომელი ჩურჩულებდნენ.

— ადრე თუ გვიან მაინც ხომ გაიგებს?! — ამბობდა კაცი.

— რაც უფრო გვიან იქნება, მით უკეთესი, — პასუხობდა მარიამს, — მან არაფერი უნდა იცოდეს ვერ, გესმის?!

— ძალიან კარგი, მაგრამ ჟურნალები? მათ კითხვას ხომ ვერ დაუშლით?!



ამ სიტყვების გაგონებაზე გორჯამ მოულოდნელად შეაღო კარი. ორივე, ქურდებს რომ შეუსწრებენ საქმეზე, ისე გაფითრდა.

— ვინ არ უნდა ნაიკითხოს ჟურნალები?

— მე... მე ჩემს ბიძაშვილებს ვყვებოდი, ფლანგვის გამო რომ დააპატიმრეს. მამამისმა ანუ ბიძაჩემმა არაფერი იცის, და!..

გორჯამ ამოისუნთქა. კიდევ კარგი... ცოტა არ იყოს, შერცხვა, ასე უხეშად რომ შევარდა ოთახში. საკუთარი ეჭვიანობის გამო უსიამოვნო გაცნობაც კი დაეუფლა, მაგრამ როცა ჯაკომელი პასუხობდა, ერთ-ერთ ფიქრმა მაინც გაურბინა თავში, — ნეტავ, მართლაც ამბობს მის ბიძაშვილებზე? იქნებ იგონებს ამ ყველაფერს? აბა, რატომ ჩურჩულებდნენ?

ავადმყოფს რომ უმაღავნე ექიმები და ნათესავები ცუდი დიაგნოზის შესახებ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, თუმცა გორჯა ტყუილს გრძნობდა; გრძნობდა, როგორ ატყუებდნენ, ეშმაკურად ცდილობდნენ მის შეცდომაში შეყვანას. საერთოდ, ავადმყოფის დამშვიდებას თუ ვერ ახერხებენ, საშინელი სიმართლისგან მაინც ამყოფებენ შორს.

გორჯა სახლის გარეთაც ამჩნევდა საეჭვო სიტუაციებს. მაგალითად, კოლეგების გამომხდევამი, თუნდაც მაშინ, მისი გავლისას რომ ჩუმდებოდნენ ან მასთან საუბრისას ენა რომ ებმებოდათ. ის საკუთარ თავსაც ამომეშვებდა, კითხვებს უსვამდა... ნევრასტენია ხომ არ მჭირსო, ფიქრობდა. რაც უფრო ბერდება ადამიანი, მით უფრო მეტ მტერს ხედავს ირგვლივ. აბა, რისი უნდა შემინებოდა? ცნობილი კი იყო, ხალხისგან დაფასებული, ფინანსურადაც გამართული; თეატრში მისი ნაწარმოებები სრულდებოდა; ჯანმრთელობას რაც შეეხება, უკეთესს არც ელოდა; ცუდი არასდროს გაუტყუებია. მაშინ? მაშინ რა საშიშროება ემუქრებოდა? არა, ამგვარი მსჯელობა არასწორი იყო.

ნერვიულობა მეორე დღეს, სადილის შემდეგაც გაუგრძელდა. ასე, ათი საათი იქნებოდა, ჟურნალის თვალყურებისას ერთ განცხადებას ნაწყობად, რომელშიც იწყებოდნენ, რომ რიბენცის ახალი ოპერის წარდგენა იმ საღამოს გაიმართებოდა. კი მაგრამ, როგორ? ჯაკომელიმ ხომ უთხრა, კონცერტი გადაიდო? რატომ არ უთხრა ვინმემ, შენც დაესწარი? თეატრის დირექტორმა რატომ არ გაუგზავნა მოსანვევი ჩვეულებისამებრ?

— მარია, მარია! — იყვირა გულამოვარდნილმა, — შენ იცოდი, რომ რიბენცის პირველი წარმოდგენა ამ საღამოს ტარდებოდა?

— მე? მე მეგონა... — ასევე გულამოვარდნილ უპასუხა მარიამს.

— რა გეგონა? მოსანვევი? დავიჯერო, რომ მოსანვევი ჩემთვის არავის გამოუგზავნია?

— კი, კი. არ გინახავს კონცერტი? ტუმბოზე დაგიდე.

— და რატომ არაფერი მითხარი?

— მეგონა, არ გაინტერესებდა. არასოდეს ნავალ მის კონცერტზეო, ასე ამბობ-

დი, და! მეც გადამავინცდა, რომ მეტყვა დამიჯერე.

— არაფერი მესმის... არაფერი მესმის... — იმეორებდა გორჯა, ჭკუიდან კინალამ გადავიდა, — თერთმეტის ხუთი წუთია უკვე. ველარც მოვასწრებ... ის სულელი ჯაკომელი (ეჭვი, რომელიც კარგა ხანს ანვალებდა, ახლა რეალობად ექცა: რიბენცის ოპერაში არასასიკეთო რომ იყო რალაც. ისევე შეხედა ჟურნალს, მაგრამ გაუგებრობამ უფრო მოიცვა)... რადიოთი გადმოსცემენ და მოგუსმენ. ამ სურვილს ასე მაინც დავიკმაყოფილებ.

— ავეუსტო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რადიო არ მუშაობს, — შენუხებული ხმით უთხრა მარიამს.

— არ მუშაობს? და როდის არ მუშაობს?

— ხუთი საათისთვის ჩავრთე და რალაცამ წაკაპუნი გამოისცა, მერე გამოირთო. გადაინვა ალბათ.

— მაინცდამაინც დღეს? თქვენ რა, ყველამ მოილაპარაკეთ?

— რა უნდა მოგველაპარაკებინა?! — ატირდა მარია, — რას მამბობ?

— კარგი, მე გავდივარ. რადიოს როგორ ვერ მოვძებნე სადმე?!

— არა, ავეუსტო... წვიმს... და შენ გაციებული ხარ, თანაც გვიანია უკვე... მერეც კი შეძლებ იმ დანყველილი მუსიკის მოსმენას, — უთხრა მარიამს, მაგრამ გორჯას ქოლგა უკვე აელა და გარეთაც გასულიყო.

მანამდე იარა, სანამ მისი ყურადღება ბარის სინათლეებმა არ მიიპყრო. ხალხი არა, მაგრამ ადამიანების ერთი ჯგუფი კი იყო შეკრებილი ბოლოში, ჩაის დარბაზში. ზუსტად იქ მუსიკაც ისმოდა. საერთოდ, ხალხი რადიოს მაშინ უსმენდა, როცა ფეხბურთს გადმოსცემდნენ. გორჯას ეჭვმა გაურბინა: იქნებ რიბენცის მუსიკას უსმენენ? არა, შეუძლებელი იყო, რადგან მსმენელები სულ სხვანაირი ტიპები ჩანდნენ: ორი პულოვერში ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი იყო, ერთი — მსუბუქი ყოფაცხვის ქალი, ერთი — თეთრი პიჯაკში გამონყობილი მიმტანი.

გორჯას შინაგონი ხმა შემოესმა, თითქოს გრძნობდა, რომ რამდენიმე დღის, უფრო სწორად, რამდენიმე თვის და წლის წინაც კი იცოდა, ამ ადგილას რომ უნდა მოსულიყო, ამ ბარში და არა სხვაგან, ზუსტად ამ დროს, ამ საათზე. ის უახლოვდებოდა და მუსიკაც უფრო და უფრო მძლავრად ისმოდა; უფრო ნათელი ხდებოდა მისი რიტმი და ნოტები. კაცს თანდათან გული ეკუმშებოდა. მისთვის ახალი მუსიკა კი იყო, მაგრამ ამავე დროს ისეთი, ტვინში წყურვლს რომ უჩენდა. ეს უცნაური მელოდია პირველად გზაში გაიგონა, მერე — სახლში იმ საღამოს, მაგრამ ახლა უფრო თავისუფლად და ამაყად ესმოდა, უფრო ველური გამბედაობით. შტერი ადამიანები, ხელოსნები, ქუჩის ქალები, მიმტანები დამარცხებული და მონებდნენ და პირდაღებულნი უსმენდნენ.

— გენიოსი! გენიოსი! — ისმოდა მათი შეძახილები.

...და ამ გენიოსს რიბენცი ერქვა.

ცოლი და საუკეთესო მეგობარი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გორჯას მასზე არაფერი გაეგო, ეცოდებოდნენ. გენიოსი კი, რომელსაც ნახევარი საუკუნის მანძილზე მაინც ელოდებოდა კაცობრიობა, გორჯა კი არ იყო, არამედ სხვა, მისი ასაკის, აქამდე უცნობი და დაუფასებელი. ეს მელოდია მას მთლიანად ფარავდა და თანაც ირგვლივ დასადგურებულ სიმშვიდეს არღვევდა; ტალღებით ექვემოქით ეხეთქებოდა, თითქოს ყველაფერში გამარჯვებული მსოფლიოს დაპყრობასაც აპირებდა. რა სასიამოვნო იქნებოდა მისი გაშიშვლება, მისთვის ნიღბის ჩამოხვევა, ყალბი სახის ხალხისთვის ჩვენება, დაცინვა და შერცხვენა!

— მაპატიებ, ბატონო, ცუდად ხომ არ ხართ? — მიმტანმა ხელი გამოსდო გორჯას, რომელიც ბარბაცებდა.

— არა, არა. გმადლობ! — უპასუხა.

არც არაფერი დაუღვივია, ისე გავიდა გარეთ, წვიმში — სასონარკვეთილი.

— ოჰ, ღვთისმშობელო!.. — ბუზღუნებდა თავისთვის. იცოდა, რომ მისთვის ყოველგვარი სიხარული და სიამოვნება დასასრულს უახლოვდებოდა; უნდოდა, ღმერთისთვის მაინც მოეთხრო ამ ტკივილის შესახებ; მხოლოდ ის თუ გაუგებდა...



მწერალი ანა კორძაია-სამადაშვილი

ანა კორძაია-სამადაშვილი ლიტერატურულ ასპარეზზე წლების წინ გამოჩნდა და მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ის არის რამდენიმე პრემიის ლაურეატი. მისმა ტექსტებმა კი შეძლეს ქართველი მკითხველის მოხიბვლა და დაინტერესება.

ანა კორძაია-სამადაშვილი ყოველთვის გიყვება ამბებს, რომელთა წაკითხვის პროცესში დროის შეგრძნება გეკარგება და კონცენტრირებული ხარ მისი მონათხრობის გარშემო. იგი, ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, არის პროფესორი, რომლის მიმართაც დიდ სიყვარულს გამოხატავენ სტუდენტები. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალბატონი ანა ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ავტორის ტექსტი გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისათვის. ცოტა ხნის წინათ მან თარგმნა ინგებორგ ბახმანის რომანი „მალინა“, რომლის შესახებაც ინტერვიუში თავად მოგვიყვება.

— ქალბატონო ანა, ახლახან „ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობამ“ გამოსცა ინგებორგ ბახმანის რომანი „მალინა“, რომელიც თქვენ თარგმნეთ. რა იყო სანდო იმისა, რომ თქვენი და ბახმანის ურთიერთობა შედგა?

— „მალინას“ და, საერთოდ, ინგებორგ ბახმანის თარგმნა ნამდვილად არასდროს მომსვლია თავში. მიუხედავად იმისა, რომ ამბიციური ქალი ვარ, ალბათ ეს უკვე მეტი სიმეტი იყო ჩემთვის. უბრალოდ, დამირეკა გამომცემელმა გია ქარჩხაძემ, რომელსაც უხსოვარი დროიდან ვიცნობ, და მითხრა, რომ კონკურსისათვის, რომლის მიზანიც იყო მთარგმნელობით პროცესების განვითარება თუ რაღაც მსგავსი, ქარჩხაძის გამომცემლობას შეჰქონდა პროექტი „მალინა“. ამისათვის კი სჭირდებოდა მთარგმნელი. მე შევთავაზე ჩემი მეგობარი და კოლეგა მაია ბადრიძე, რომელმაც, უცნაური დამთხვევით, ორიოდ დღით ადრე მითხრა, რომ ოცნებობს „მალინას“ გადმოთარგმნაზე. იქვე ვუთხარი, რომ მალინა, წაკითხული არ მაქვს, მან მითხრა, რომ ეს არის საოცარი წიგნი და სხვა და სხვა. როგორც გაირკვა, მოუცლელობის გამო, მაიას უარი ჰქონდა ნათქვამი. ასე თუ ისე, ვიფიქრე, ვითხოვე წიგნი, რომელიც იყო საოცარი, ოღონდ, გარწმუნებთ, „მალინა“ არ არის ის წიგნი, რომელიც ადამიანმა თარგმნის წინ უნდა წაკითხოს. მანდ გავბრწყინდი! იმიტომ, რომ ცოტათი ვერ გავზომე წიგნის სირთულე, საკუთარი ძალები და, საერთოდ, ამ ქალის გენიალურობა. ასე დავიწყე თარგმნა. რვა თვე, ფაქტობრივად, ერთად ვცხოვრობდით მე და ინგებორგ ბახმანი, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. მაღლობელი ვარ, რა თქმა უნდა, გია ქარჩხაძისა და განგების, უბრალოდ, ერთი რამაა, როდესაც თარგმნი ბახმანს, სრულიად წარმოუდგენელია, რამე დანერო. ეს არის დიდი არასრულფასოვნების კომპლექსის სანინდარი, იმიტომ, რომ იმის ჩრდილის ანარეკლსაც ვერ გააკეთებ, რასაც აკეთებს ინგებორგ ბახმანი. ეს არის და ეს.



— როგორი იყო თარგმნის პროცესი და რა სირთულეებს გადააწყვედით?


— ძალიან რთული. ეს არის პოეტის პროზა — ასეთი რამ მანამდე არ გამეკეთებინა. საერთოდ, ყოველი ავტორი ხომ სხვაა. დიდი მთარგმნელია, დიდი გამოცდილება აქვს — ასეთი რამე არ მუშაობს. ტყუილია. რთული იყო, და იყო წუთები, როცა სასწრაფო ვიყავი, რომ რამე მომდიოდა. მაგრამ ერთი კარგი რამ ხდება ჩვენთან. არსებობს ასეთი გადასარევი ერთობა, გერმანულიდან ქართულად მთარგმნელი ხალხისა, რომელსაც ყოველთვის შეგიძლია, მიმართო, და ისინი დაუზარებლად გეტყვიან, მსგავს, ანალოგიურ ან მიახლოებულ სიტუაციაში როგორ გამოიმჯვარალან. საბოლოოდ გამოვიდა. რა გამოვიდა, მართლა არ ვიცი.

— თქვენს მიერ ნათარგმნი სხვადასხვა ტექსტიდან რა ნიშნით გამოარჩევდით „მალინას“?

— ამ გაქანების ტექსტი მე არ მითარგმნია.

— დღეს ძალიან ბევრი წიგნი ითარგმნება საქართველოში. როგორ შეაფასებდით მთარგმნელთა საქმიანობას? რამდენად შეიძლება, ვენდოთ გადმოქართულ-ბულ ტექსტებს?

— ძალიან მომწონს ის ამბავი, რომ ქართულ ენაზე ამდენი წიგნი ითარგმნება. რასაკვირველია, მყავს ჩემი რჩეული, ძვირფასი და საყვარელი მთარგმნელები, რომელთა ახალ ნათარგმნ ტექსტებს სასწრაფოდ ვყიდულობ და ვკითხულობ, იმიტომ, რომ სავსებით ვენდობი. დანარჩენი რა გითხრა, ჩემო კარგო, ცოტა ხნის წინათ, მგონი, ესწრებოდით ამ საუბარს, კოლეგამ და მეგობარმა მითხრა, რომ ახლა ინგლისურად კითხულობს „მოზი დიკს“ და თურმე სულ სხვა წიგნი ყოფილა. მე არამც და არამც არ ვაქინებ იმ უზარმაზარ წვლილს, რომელიც „მოზი დიკს“ მთარგმნელმა ამ საქმეში შეიტანა. ქართულად თარგმნილი „მოზი დიკს“ ვკითხულობ დიდი ხანია, მას მერე, რაც წერა-კითხვა ვისწავლე. არ ვიცი, რას ნიშნავს სანდო თარგმანი და იგივე არასანდო თარგმანი. არის რაღაც, რასაც ვერასოდეს გადმოიტან, სულ რომ ჩაბჭირდე. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ტექსტს ვერ იცნობ და იფიქრებ, ეს რა დაუნერია, ღმერთო ჩემო, რამ მოაფიქრაო, მაგრამ ეს იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც მე ვიცი ორიგინალი. წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება ესპანურ ენაში. ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, როგორ უღერს ვიიონი ფრანგულად. არ ვიცი, მაგრამ მიყვარს ქართულად და ეს ძალიან მაგარი! და მაღლობა!



— რა ხდება დღეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში? რას გვეტყვით ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესახებ?

— მგონი, ისევე როგორც დედამიწის ყველა სხვა მხარეში, საქართველოშიც იწერება ძალიან კარგი წიგნები, იწერება ისე რა წიგნები, უამრავი საშინელება — ალბათ ეს ნორმალურია. ალბათ, ყველგან ასე ხდე-

ბა სინამდვილეში. უბრალოდ, რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო პატარა ქვეყანა ვართ და უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ ეს რაღაცა არის თავზარდამცემი და ეს რაღაცა არის შესანიშნავი. ეს არის და ეს. დანარჩენი, მგონი, არაფრით გამოვიჩინეთ, უბრალოდ, რაოდენობრივად ვართ ცოტა.

— სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ქართველი შემოქმედის წიგნი რჩება მაღალიზების თაროებზე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ახალგაზრდების დიდ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენაც არა აქვს, რა ხდება დღეს ქართულ ლიტერატურაში. რა არის ამის მიზეზი?

— სიმართლე რომ გითხრათ, ის, რომ თანამედროვე საზოგადოება ნაკლებად კითხულობს ქართულ ლიტერატურას, შეიძლება, ბუნებრივიც იყოს. ჩვენ არ ვიცი, ვინ არის ავტორი. წიგნი არ არის იაფი სიხარული. შესაბამისად, ალბათ, გამომცემელმა უნდა იკაუჭოს და მანამდე უნდა ამიხსნას რამენაირად, რისი წაკითხვა მომიწევს, მითუმეტეს, ეს დიდ ხარჯებთან აღარ არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, სანამ არ წაკითხავ, ვერ გაიგებ, კარგია თუ ცუდი. ისე კი, ოცდაათი გვერდიც საკმარისია, რომ მივხვდეთ, უნდა ვინვალთ თუ არა.

— საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ თქვენ გიცნობენ როგორც პროფესორს, მწერალსა და მთარგმნელს. თუ წარმოდგენდით ამ ყოველივეს, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი იყავით?

— ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ცხოვრებაში რაიმეს დავწერდი. არ მიფიქრია იმაზე, რომ ვიქნებოდი უნივერსიტეტის პროფესორი, არც იმაზე მიფიქრია, რომ რაიმეს ვთარგმნიდი. მაშინ, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, სამყარო შეცვალა ამოტრიალდა. ამიტომ სრულიად სხვა გზით წავიდი. უნივერსიტეტზე ვიფიქრებდი უფრო, ალბათ იმიტომ, რომ ასე თუ ისე დავამთავრე უნივერსიტეტი და ჩავაბარე ასპირანტურაში. მერე რას ვიფიქრებდი ან რას გავაკეთებდი, ამაზე არ მიფიქრია. არ ვიცი... ალბათ დავრჩებოდი კათედრაზე... არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მიზნების, გეგმებისა და საშუალებების აწონ-დაწონვა ნამდვილად არ გამიჭირდებოდა.

— შეცვლიდა თუ არა რაიმეს ანა კორძაია-სამადაშვილი განვლილი წლებიდან? როდის გრძნობდა ან გრძნობს თავს ყველაზე ბედნიერად?

— საერთოდ არაფერს შევცვლიდი ჩემს ცხოვრებაში. უაღრესად კმაყოფილი ვარ ყველაფრით. რა თქმა უნდა, არ დავუშვებდი სამოქალაქო ომს, რა თქმა უნდა, არ დავუშვებდი ომებს და სხვა და სხვა, მაგრამ რაც შეეხება ჩემს პირად გზას, ნეტავ, სხვა რა უნა მექნა?!

ყველაზე ბედნიერი სტუდენტობისას ვიყავი. როდესაც ვაკეთებდი რაღაცას, რაც ძალიან მომწონდა და ყველა ამბობდა: ვიშ, რა კარგია, რომ ამას აკეთებ! ზუსტად იმის კეთება, რაც გინდა, ზუსტად იმ ხალხთან ყოფნა, ვისთან ერთადაც გინდა და სინამდვილეში პასუხს აგებ მხოლოდ იმაზე, მიიღებ განათლებას თუ არა. თუ არ მიიღებ — დაუდგა დარდი სამყაროს, და მე ეს მომწონდა და ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მეგონა, რომ დრო არის ძალიან ბევრი და უსასრულოდ გრძელი, ერთი დღე-ღამე არის არა ოცდაოთხი საათი, არამედ, რა ვიცი, დედამინა სამჯერ დაარტყამს წრეს...


— თუ გვპირდებით რაიმე სიახლეს?

— წესისა და რიგის მიხედვით, უნდა დავამთავრო რაღაც, რასაც შეიძლება, რომანი ვუნოდოთ, ოღონდ ალბათ გავიზარდე და საფინიშო სწორზე გასვლა ძალიან მიჭირს. ველავ, ვსწავლობ, ორმოცდამეცხრედ გადავუარე, ერთი მესამედი გადავავადე და ცუდ გუნებაზე ვარ. ეს თუ დამთავრდება, მე მოვრჩები. მეორედ ამ სისულელეში თავს აღარ გავყოფ.

— რას ეტყოდით მათ, ვინც ახლა დაიწყო წერა?

— მე ასე ვიტყვით: წაკითხონ ძალიან ბევრი და ამის მერე იფიქრონ, ღირს წერა, თუ არა...

ესაუბრა გურამ დავითიძე



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 1772346 1794004